

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა და მასალები

2008 წელი, 15-16 მაისი

ახალციხე 2008

ახალციხის ინსტიტუტის
სასწავლო-სამეცნიერო სამსახური

სტუდენტთა თვითმართოველობა

რეზიუმე

მოსხენებისათვის: 10 წუთი

მსჯელობისათვის: 5 წუთი

კონფერენცია, პროგრამა და მასალები მოამზადეს
მერაბ ბერიძემ და **მარია ბაბლუანმა**

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო
კონფერენციის პროგრამისა და მასალების გამოცემა
დააფინანსა **თამაზ პეტრიაშვილმა**

დააკაბადონა **დარეჯან ვედიაკოვმა**

ISBN 978-9941-12-178-4

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის

პ რ ო ბ რ ა მ ა

15 მაისი, ხუთშაბათი, 2008 წელი
16.00 – 16.30 სთ.

ახალციხის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის

ბ ა ხ ს ნ ა

შესავალი სიტყვა: სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორი
სრული პროფესორი **თინა გელაშვილი**

მისალმებები: **სრული პროფ. მერაბ ბერიძე**
სრული პროფ. ტარიელ სიხარულიძე
სრული პროფ. ცისკარა ზარანდია
ასოცირებული პროფ. ვასილ კაკულია
ასოცირებული პროფ. დავით თუთბერიძე
თამაზ პეტრიაშვილი

16.30 საათიდან კონფერენცია იმუშავებს სექციების
მიხედვით.

15 მაისი 2008 წ. 16.30 სთ.

**კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სემცნია**

აუდიტორია №410

სექციის ხელმძღვანელები: სრული პროფ.

*თინა იველაშვილი,
ქეთევან დვენოსაძე*

1. **თეონა ალავეიძე** (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, IV კურსი) – **ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღება**
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **გულიკო ბექაური**

2. **ოქსანა ანტონიანი** (ინგლისური ენა, IV) – **სიტყვა ვარტ და მისი სემანტიკური ველი**
ხელმძღვანელი-ასისტენტ პროფ. **გულიკო ჯანოვა**

3. **ნინო ბალახაშვილი** (დაწყებითი განათლება, III კურსი) – **სოფელ უდის №1 საშუალო სკოლის ისტორიის შესწავლისათვის.**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **ნატო ყრუაშვილი**

4. **ნინო ბერიძე** (ფილოლოგია, II კურსი) – **ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“**
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **დადი ბეთხოშვილი**

5. **მარინა გვარამაძე** (ინგლისური ენა, IV კურსი) – **“სიტყვა ანდ და მისი სემანტიკური ველი“**
ხელმძღვანელი ასისტენტ პროფ. **გულიკო ჯანოვა**

6. **სოფიკო გვარამაძე** (ფილოლოგია, IV კურსი) –
ჩემი გვარისა და შტოგვარების შესწავლისათვის
ხელმძღვანელი სრული პროფ. **მერაბ ბერიძე**

7. **ნინო გვირჯიშვილი** (ისტორია, III კურსი) --
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩაცმულობა
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **მედეა ბურდული**

8. **ნათია გიგაური** (ისტორია, III კურსი) – **ბავშვის**
აღზრდასთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური
რიტუალები აღმოსავლეთ საქართველოში
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **მედეა ბურდული**

9. **ქეთევან დევნოსაძე** (ინგლისური ენა, III კურსი) –
გრამატიკული გვარი ინგლისურ და ქართულ
ენებში
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **ლიანა მიქელაძე**

10. **ნინო დიასამიძე** (ისტორია, III კურსი) – **ხელოს-**
ნობა და შინა მრეწველობა მესხეთში (მატყლის
დამუშავება)
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **მედეა ბურდული**

11. **შორენა იაკობაძე** (ფილოლოგია, II კურსი) –
რელიგიური პრობლემატიკა „ცხრა ძმა კოლაელთა
წამებაში“
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **დალი ბეთხოშვილი**

12. **ქეთევან ენდელაძე** (ფილოლოგია, III კურსი) –
ბედისა და ბედისწერის საკითხი მიხეილ ჯავა-
ნიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“
ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. **ვახტანგ ინაური**

13. **დიანა ივანიძე** (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკა-ასტრონომია, IV კურსი) – **განათლების რეფორმა და ეროვნული სასწავლო გეგმა**” (ასპინძის საჯარო სკოლის მაგალითზე) ხელმძღვანელი სრული პროფ. **ირმა ქურდაძე**

14. **ნინო კაპანაძე** (ინგლისური ენა, IV კურსი) – **ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული დიომები** ხელმძღვანელი ასისტენტპროფ. **გულიკო ჯანოვა**

16 მაისი 2008 წ. 16. სთ.

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სექცია**

აუდიტორია №410

სექციის ხელმძღვანელები: სრული სრული პროფ.
ნესტან სულავა,
სოფიკო გვარამაძე

1.ნათია კბილაშვილი (დაწყებითი განათლების IV კურსი) – **მოსწავლეთა აზროვნების დონეების საკითხი სკოლის დაწყებით საფეხურზე (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით)**

ხელმძღვანელი: ასისტენტპროფ. **მარეს ნათენაძე**

2. ლელა კულუმბეგოვა (ფილოლოგია, III კურსი) –
**გმირთა სამარეს, როგორც ხატს სამთხვევლად
დავეღირები**

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფ. *ქეთევან გრძელიშვილი*

3. თინათინ ლაბაძე (ისტორია, III კურსი) –
ამინდის გამომწვევი მაგიური მოქმედებები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *მედეა ბურდული*

4. მარგალიტა ლომაშვილი (ინგლისური ენა, III
კურსი) – **პესიმისტური განწყობილებები ბაირონისა
და ბარათაშვილის შემოქმედებაში.**

ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფ. *ვახტანგ ინაური,*
ასოცირებული პროფ.: *დიანა მიქელაძე*

5. გურანდა მოდებაძე (ინგლისური ენა, III კურსი) –
**ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკურისა“ და ჯეკ
ლონდონის „ხორცის“ ნაჭერის“ ძირითადი პრობლემატიკა**

ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფ. *ვახტანგ ინაური,*
ასოცირებული პროფ. *ნინო მაჭავარიანი*

6. ნინო მჭედლიშვილი (დაწყებითი განათლების, IV
კურსი) – **ეროვნული სასწავლო გეგმის განხორ-
ციელების საკითხისათვის**

ხელმძღვანელი: ასისტენტპროფ. *მარეხ ნათენაძე*

7. თამარ ნახაპეტიანი (ფილოლოგია, II კურსი) –
**ბილინგვიზმის ერთი ნიმუშისათვის სოფელ
საძელის მაგალითზე**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. *ტარიელ სიხარულიძე*

8. ნანა ნატრიაშვილი (ფრანგული ენა, IV კურსი) –
განათლების რეფორმის შუქნრდილები ვარხნის
საშუალო სკოლის მაგალითზე

ხელმძღვანელი: სრული პროფ. *ირმა ქურდაძე*

9. თინათინ ტაბატაძე (ფილოლოგია, II კურსი) –
მრწამსი “ვეფხისტყაოსანში”

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *დალი ბეთხოშვილი*

10. ლელა ტატურაშვილი (ისტორია, III კურსი) –
ქალის როლი რელიგიაში (სვანეთის მაგალითზე)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *მედეა ბურდული*

11. ნინა ულარჯიშვილი (ფილოლოგია, III კურსი) –
ტრადიციები და პიროვნება ვაჟა-ფშაველას პოემაში
“სტუმარ-მასპინძელი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *ვახტანგ ინაური*

12. მარეს ქაფიანიძე (ისტორია, III კურსი) –
ქორწინების ამკრძალავი ფაქტორები და ნიშნობის
ტრადიცია აჭარაში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *მედეა ბურდული*

13. თეა შავაძე (ისტორია, II კურსი) –
სოფელ რუსთავის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ხელმძღვანელი: სრული პროფ. *მერაბ ბერიძე*

14. ია ხარაიშვილი (ფრანგული ენა, IV კურსი) –
ვიქტორ ჰიუგოს რომანის „კაცი, რომელიც იცინის“
ერთი საკითხის კრიტიკული ანალიზი

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფ. *მერი თათეშვილი*

15 მაისი 2008 წ. 16.30 სთ.

**ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი**

აუდიტორია №304

სექციის ხელმძღვანელები: სრული პროფ.

**გიორგი მაღასიძე,
თამარ სამსონიძე**

1. ნათია ათოშვილი (მათემატიკა-ასტრონომია, IV კურსი) – გალაქტიკის ცენტრის ეკვატორული კოორდინატების განსაზღვრა სფერული გროვების გალაქტიკური განაწილების ანალიზის საფუძველზე

ხელმძღვანელი: მასწავლებელი **გივი ქიმერიძე**

2. ნატალია ავეტისიანი, ოლღა მურმანიშვილი (ინფორმაციული ტექნოლოგიები, IV კურსი) – ბუნებრივი და მანქანური ენები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **ვასილ კაკულია**

3. ლაშა ბაღასაშვილი (ეკოლოგიის სპეციალობა, II კურსი) – მდინარე არაგვის წყლის ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობა ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ფონზე

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის დოქტორი, პროფ. **ჟულეერ მამასახლისი**

4. ანა გელაშვილი (მათემატიკა-ასტრონომია, III კურსი) – მნათობთ ეკვატორულ კოორდინატებზე რეფრაქციის გავლენის ცხრილი

ხელმძღვანელი: მასწავლებელი **გივი ქიმერიძე**

5. ანა გელაშვილი (მათემატიკა-ასტრონომია, III კურსი)
– იუპიტერი

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **რევაზ ჭილაძე**

6. გიორგი გორგოძე (ეკოლოგიის სპეციალობა, II კურსი) – პოლიმეტალური მადნის გენეზისი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **ვახილ კაკული**

7. კობა თათეშვილი (ეკოლოგიის სპეციალობა, II კურსი) – ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა საქართველოში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **იოსებ ბურჭულაძე**

8. დიანა ივანიძე (მათემატიკა-ასტრონომია, IV კურსი)
– უახლოესი კოსმოსის პრობლემები

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **გიორგი მაღასიძე**

16 მაისი 2008 წ. 16 სთ.

**ზუსტი და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი**

აუდიტორია №304

სექციის ხელმძღვანელები: სრული პროფ.

რევაზ ჭილაძე

ხათუნა ლომსაძე

1. შორენა კუპრაძე, თეონა ჩაჩანიძე (ინფორ-
მაციული ტექნოლოგიები, IV კურსი) – როგორ მოვიზიდოთ
უცხოური ინვესტიციები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **ომარ მაისურაძე**

2. **ხათუნა ლომსაძე, თამარ სამსონიძე** (ინფორმაციული ტექნოლოგიები, II კურსი)– **მონაცემთა სტატისტიკური მონაცემების მახასიათებლების პროგრამული უზრუნველყოფა**

ხელმძღვანელი: პროფ. **მირზა მდივანი**

3 **ხატია მინაძე** (ინფორმაციული ტექნოლოგიები, II კურსი) – **ლითოსფერული ფილების დინამიკა**

ხელმძღვანელი: პროფესორი, **გიორგი მესხი**

4. **მანანა მაღრაძე** (მათემატიკა-ასტრონომია, III კურსი)
– **მზის მოძრაობის ჰიპარქეს თეორია**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი **გივი ქიმერიძე**

5. **მანანა მაღრაძე** (მათემატიკა-ასტრონომია, III კურსი)
– **რატომ ჩამოწერეს პლანეტა პლუტონი დიდი პლანეტების სიიდან?**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **რევაზ ჭილაძე**

6. **მანანა მაღრაძე** (მათემატიკა-ასტრონომია, III კურსი)
– **უკვდავება**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **რევაზ ჭილაძე**

7. **თამარ მოსიძე, მაია კუპრაძე** (ინფორმაციული ტექნოლო-გიები, II კურსი) – **განტოლების მიახლოებითი ამოხსნა ეხცელ-ში**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი **ჯემალ მამაიაშვილი**

15 მაისი 2008 წ. 16.30 სთ.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

აუდიტორია №315

სექციის ხელმძღვანელები: სრული პროფ.

ზურაბ ლიპარტია
ნათია ჯანაშვილი

1. ქეთევან გიორგაძე (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, III კურსი) – **ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების შინაარსი და დანიშნულება**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **ცისკარა ზარანდია**

2. ირინა ინასარიძე (უძრავი ქონების მართვა, IV კურსი) – **ბუნებათსარგებლობის პრობლემები აგრარულ სექტორში და მისი აღმოფხვრის გზები- სამცხე-ჯავახეთის მხარის მაგალითზე**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. **გიორგი ბუცხრიკიძე**

3. ზურაბ კუპრაძე (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერ-ობები, IV კურსი) – **თანამედროვე რეგიონალიზმის ანომალიები გეოეკონომიკაში**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **გიორგი კვინიკაძე**

4. გიორგი მელიქიძე (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, I კურსი) – **მარკეტინგი-საბაზრო ეკონომიკის სისტემა**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. **გურამ გველეხიანი**

5. მაია მოსიძე (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, IV კურსი) – **ევროპული სამეზობლო პოლიტიკა – საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის**

განხორციელების საქართველოს მთავრობის სტრატეგია

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *ომარ მაისურაძე*

6. ნათია ჯანაშვილი (ფინანსები, საბანკო და სადაზღვეო საქმე, III კურსი) – **დასაქმების პრობლემები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე**

ხელმძღვანელი: სრული პროფ. *ზურაბ ლიპარტია*

7. მაია ხუციშვილი (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, III კურსი) – **თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოში**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. *ომარ მაისურაძე*

15 მაისი 2008 წ. 16.30 სთ.

იურიდიული ფაკულტეტი

აუდიტორია №415

სექციის ხელმძღვანელები: პროფ.:

ვარლამ თუთბერიძე
ნინო თაბუნძე

1. ნათია ბაუკიანი (II კურსი) – **მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *აკაკი ქარჩხაძე*

2. ნინო კაჭკაჭიშვილი (II კურსი) – **მშობლის უფლების ჩამორთმევა**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *მავრა ტატალაშვილი*

3. **თამარ ლაფაჩი (II კურსი) – ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *ალექსანდრე ლეკიშვილი*

4. **თეონა ობოლაშვილი (II კურსი) – დანაშაულის მომზადება და მცდელობა**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *ალექსანდრე ლეკიშვილი*

5. **ნანა ოდიკაძე (II კურსი) – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით.**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *თამარ აღლენაშვილი*

6. **თეონა ქომოშვილი (I კურსი) – ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *მავრა ტატალაშვილი*

7. **მაია ქომოშვილი (II კურსი) – არასრულწლოვანის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი თავისებურებანი**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *თამარ აღლენაშვილი*

8. **მარიამ ხმალაძე (II კურსი) – არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *თამარ აღლენაშვილი*

9. **ნათია ხუციშვილი (II კურსი) – მეუღლეთა სახელშეკრულებლო ქონებრივი ურთიერთობები**

ხელმძღვანელი: მასწავლებელი *აკაკი ქარჩხაძე*

18.30 სთ. შემაჯამებელი სხდომა

ბიბლიოთეკაში

გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის

მ ა ს ა ლ ე ბ ი

კუმანიტარული მემცნიერება

თეონა ალაგიძე -

ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღება

გადაწყვეტილების მიღება ლიდერის ფუნქციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ყველაზე ხშირად, სწორედ ეს ფუნქცია ხდება ხოლმე მისი სიხარულისა თუ ფრუსტრაციის მიზეზი. ეს ის სფეროა, სადაც ლიდერი ყველაზე უფრო გრძნობს ხოლმე თავის ძალაუფლებას, პასუხისმგებლობას და სისუსტეებსაც.

ლიდერები თავის ავტობიოგრაფიებში უფრო ხშირად ყვებიან თავისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, მასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, დაძაბულობასა თუ დილემებზე.

თითოეულ ჩვენთაგანს აქვს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამოტანის გამოცდილება და ვიცით, რომ ამ დროს გარკვეულწილად მარტო ვართ.

ორი რამ არის აქ საყურადღებო: **პირველი**, გადაწყვეტილება შეიძლება გაიაზრობდეს როგორც დამოუკიდებელი სხვა გადაწყვეტილებებისაგან და პროცესებისაგან. თუმცა გმოდინდება უნდა გვასწავლოს, რომ თუ ვერ ვმართავთ პროცესებს ორგანიზაციაში, ვერ მოვახდენთ პრობლემის იდენტიფიკაციას, ინფორმაციის გაზიარებასა და პრობლემაზე მუშაობას, ამან შეიძლება გააფუჭოს ნებისმიერი – ყველაზე კარგი, ლოგიკური, გამოცდილი ლიდერის მუშაობა.

მეორე, გმოდინდება გვიჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალური პროცესია. ამ დროს ლოგიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარები თითქოს საკმარისი უნდა იყოს მაღალი ხარისხის გადაწყვეტილების მისაღებად.

მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციაში სოციალური პროცესია. როგორც ლიდერი, დამოკიდებული ხარ სხვების გადაწყვეტილებებზე და იმ იმფორმაციაზე, რომელიც მათგან მოდის. გარდა ამისა, უზიარებ სხვებს ინფორმაციას, ახდენს დელეგირებას. განცდა იმისა, რომ ორგანიზაციაში გადაწყვეტილება ერთ კაცს გამოაქვს – ილუზიაა. მაგალითად, ამბობენ, რომ რჩარდ ნიქსონი, რომელიც იყო ბრწყინვალე ანალიტიკოსი და „ინდივიდუალური პრობლემის“ გადამჭრელი, მაგრამ არ შეეძლო სოციალური პროცესების ეფექტური მართვა, სხვების ჩართვა ამ პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ გავიზიაროთ არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრის პროცესი, არამედ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მართვაც. გავითვალისწინოთ სოციალური პროცესები და გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიული გზები – რა გიღირს და რა მოგება შეიძლება ნახო სხვადასხვა ხერხების განსხვავებულ სიტუაციებში შესატყვიელი გამოყენებით.

იმისათვის, რომ გავიგოთ რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და განისაზღვროს გადაწყვეტილების ეფექტურობის კონპონენტები, ამაზე მსჯელობა შეიძლება შემდეგი სამი განზომილების ტერმინებში:

1. გადაწყვეტილების რაციონალური **ხარისხი**;
2. ადამიანების **ჩართულობის** დონე;
3. **დრო**, რომელიც დასჭირდება გადაწყვეტილების გამოტანას.

ამ სამი კრიტერიუმის (ხარისხი, მიმღებლობა, პროდუქტიულობა) ზომა ხვადასხვა გადაწყვეტილებაში განსხვავებულია. მაგალითად, სიტუაციაში, სადაც გადაწყვეტილება თავად უნდა შეასრულოთ მიმღებლობა არაა კრიტიკული, მაგრამ მაღალი ხარისხი არსებითია. სხვაგან შესაძლოა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდეს რაციონალურობის ხარისხს და მეტი – მიმღებლობას. მაგალითად, მისაღებია გადაწყვეტილება იმის თაობაზე თუ როგორ დაიფაროს მდივნების არასამუშაო პერიოდის სატელეფონო საუბრების გადასახადი. აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს ლოგიკას და მეტი – თანამშრომლების მიმღებლობას.

ევექტურობა ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ პრიორიტეტული ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია ადამიანების სწავლებაზე, განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად შეგვიძლია სიტუაციის დიაგნოზირება.

უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. ზოგ სიტუაციაში უმჯობესია ავტორიტარული სტილი, ზოგჯერ კონსულტატური, ან მონაწილეობითი.

კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია სიტუაციის გაანალიზება და მაქსიმალურად ევექტური ვარინტის მოძებნა.

ოქსანა ანტონიანი

სიტყვა Heart და მისი სემანტიკური ველი

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთ ჰგონიათ, რომ იციან ყველაფერი სიტყვის შესახებ, კერძოდ, რომ სიტყვები თავმოყრილი აქვთ ლექსიკონებში, ისინი წერის დროს ერთმანეთისაგან გამოიყოფიან. საუბრის დროს მათ შორის პაუზები იხმარება, მაგრამ ერთია სიტყვის განსაზღვრა, მეორე კი – მათი მნიშვნელობების ცოდნა.

მნიშვნელოვანია ლექსიკური და გრამატიკული სიტყვების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ლექსიკური სიტყვებია: სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და ზმნიზედები. მათ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობები, როგორც ცალკე, ისე კონტექსტში. გრამატიკული ელემენტებია: არტიკლები, კავშირები, რიცხვისა და დროის მწარმოებელი სიტყვები. მათ კონტექსტის გარეშე, ცალკე აღებული, არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობები. თუმცა სიტყვათა ამ ორ განსხვავებულ ტიპს შორის მტკიცე გამყოფი საზღვარი არ არსებობს.

ინგლისური ენის სიტყვების უმეტესობა პოლისემანტიკურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ორი ან ორზე მეტი მნიშვნელობა. ეს ართულებს ენის შესწავლას. უმეტეს შემთხვევაში პოლისემანტიკური სიტყვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა გამოიყენება მოცემულ კონტექსტში.

სიტყვა *heart* პოლისემანტიკურია. მას აქვს შემდეგი მნიშვნელობები.

Heart [hɑ:t] n. 1) გული, სული

1. Part of body – სხეულის ნაწილი

The organ in the left side of the chest that pumps blood around the body: heart trouble/failure.

ეს არის ორგანო, მკერდის მარცხენა მხარეს, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში: გულის ტკეცნა/გულის ავადმყოფობას.

2. Important part – მნიშვნელოვანი ნაწილი.

[sing] – (of sth) the most important part of sth.

რაიმეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი.

3. Centre – ცენტრი

[usually sing] – of sth. the part that is in the centre of sth.

ნაწილი, რომელიც მოთავსებულია რაიმეს ცენტრში.

4. In card games – გული კარტის თამაშში.

(hearts) [pl.U] one of the four sets of cards in a pack/deck of cards, with red be heart symbols. კარტის შეკვრაში ოთხი სახეობიდან ერთ-ერთი ნაწილი გულის სიმბოლოებით.

საინტერესოა სიტყვა ინგლისურად *heart* – თან დაკავშირებული იდეომები. მაგ: Break sb's heart – გულის გატეხვა.

to make sb feel very unhappy – ვინმეს თავი ძალიან ცუდად აგრძნობინო.

By heart – ზეპირად.

using only your memory . მხოლოდ გონების გამოყენებით.

In your heart – გულის სიღრმეში.

if you know sth. in your heart. you have a strong feeling that it is true. თუ კი გულის სიღრმიდან ხედები რამეს, მაშინ შენ გაქვს ძლიერი გრძნობა, რომ ეს სიმართლეა.

აღსანიშნევია, რომ ჩვეულებრივ სიტყვები იზოლირებულად კი არ იხმარებიან, არამედ უკავშირდებიან სხვა სიტყვებს, რომ აწარმოონ უფრო ფართო ერთეულები სხვადასხვა სიტუაციის გამოსახატავად. heart- ისაგან ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები, რომლებიც მის პოლისემანტიკურობას უსვამს ხაზს.

Heart ache [ha:teik] n. გულის ტკივილი.

a strong feeling of sadness or worry.

სევდისა და წუხილის ძლიერი გრძნობა.

Heart beat [ha:tb:t] n. გულის ცემა (პულსი).

the movement or sound of the heart as it pumps blood around the body. a rapid/regular heartbeats. გულის მოძრაობა ან ხმა, როცა ის სისხლს მიმოაქცევს სხეულში; (სწრაფი) ჩქარი/რეგულარული პულსი.

პოლისემია მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა ინგლისური სიტყვების უმრავლესობისათვის. სიტყვა – heart პოლისემანტიკურობის გამო სხვადასხვა კონტექსტში იძლევა განსხვავებულ ასოციაციებს. აქედან გამომდინარე პოლისემია მიჩნეულ უნდა იქნეს ენის სტაბილურობის უმთავრეს ფაქტორად.

ნინო ბალახაშვილი

სოფელ უდის №1 საშუალო სკოლის ისტორიის შესწავლისათვის

XIX საუკუნის II ნახევარში კიდევ უფრო დამძიმდა რუსიფიკატორული პოლიტიკა. მთელ საქართველოსა და, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში დავიწყებთ ეძლეოდა ქართული ენა, ქართველ მოსახლეობას ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხე შეექმნა. აქედან გამომდინარე, ქართველი ინტელიგენ-

ციის უპირველესი საფიქრალი გახდა ერის ცნობიერების შენარჩუნება. ამ მიზანს ემსახურებოდა საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ სახალხო სკოლების გახსნა.

სამცხე-ჯავახეთში თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. სწორედ მის მიერ იქნა გახსნილი 1882 წელს სოფელ უდეში ერთკლასიანი სკოლა. აღნიშნული სკოლის პირველ მასწავლებლად მოიაზრება „ვინმე სანდრო“, ხოლო შემდგომ 1889-1925 წლებში – ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე ბარიკალაშვილი. მას სწორედ ჰქონდა გააზრებული ეპოქის მოთხოვნები, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან სოფელ უდეში დააფუძნა საკვირაო სკოლა უფროსი ასაკის ადამიანებისათვის. ამასთანავე, წლების მანძილზე უძღვებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ 1897 წელს დაარსებულ ბიბლიოთეკა – სამკითხველოს. ი. ბარიკალაშვილი 25 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სოფელ უდის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებასა და განათლებას.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს ყველა ის ცვლილება, რაც სკოლამ არსებობის მანძილზე განიცადა. შესაძლებელი გახდა სკოლის დირექტორთა (კერძოდ 27 დირექტორის) ვინაობისა და მათი მოღვაწეობის წლების დადგენა, მათი ღვაწლის წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ 1927 წელს სკოლას შეუცვალეს სახელი და ეწოდა სოფლის ახალგაზრდობის შეიღწიანი სკოლა. დირექტორად დანიშნულ იქნა გიორგი დავითის ძე ღუარსაბაშვილი. მოგვიანებით იგი თერთმეტწლიან სასწავლებლად გადაკეთდა, 2001 წელს კი მიენიჭა იაკიმე ბალახაშვილის სახელი. ამასთანავე, სკოლას გადაეცა მიწის ნაკვეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ათწლეულების მანძილზე ქვეყანას აღუზარდა მრავალი ღირსეული და ცნობილი ადამიანი. მათ შორის: გივი ფარცახაშვილი – ფიზიკოსი (მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში), გივი მერაბიშვილი – ფსიქო-

ლოგი, შოთა ზაზაშვილი – პროფესორი მათემატიკის დარგში და ა.შ.

სოფელ უდის №1 საშუალო სკოლა იყო ერთ-ერთი წარმატებული სკოლა სამცხე-ჯავახეთში, იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათემატიკის გაძლიერებული სწავლებით მიუხედავად რესპუბლიკაში.

წლების მანძილზე იმართებოდა ღონისძიებები, სკოლას ჰქონდა მრავალი ტრადიცია, ჰქონდა წარმატებები. თორმეტი ათეული წლის მანძილზე სკოლა ემსახურებოდა მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას, თავისი წვლილი შეჰქონდა ქართველი ხალხის განათლების დაწინაურების საქმეში.

ნინო ბერიძე

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“

ქართველი ერის დიდმა მოამბემ და ეროვნულმა მოღვაწემ, ილია ჭავჭავაძემ მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები დაუტოვა ქართველ საზოგადოებას, რომლებიც ასაზრდოებს ქართველი ერის პატრიოტულ სულისკვეთებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია მოთხრობა “სარჩობელაზედ”, რომელშიც ერის დიდი ტკივილი აღბეჭდა, ტრაგედია, რომელიც თვით საზოგადოებაში ძვეს და მას გადაწყვეტა ესაჭიროება.

მოთხრობაში “სარჩობელაზედ” ილია ჭავჭავაძემ დიდი მხატვრული ოსტატობით შექმნილ სახეებში დაგვანახა, რომ არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსამართლობა დიდია, ადამიანის გული “ცოდვილ საქმისთვის ხარბია”, იგი დაუნდობელია, საზოგადოების უსამართლო მოპყრობა “თვალნათლივ გაძარცვამ” გააბოროტა და გადაამტერა ახალგაზრდა ძმა მთელ ქვეყანას, “კარგსაც და ავსაც”. ამ ყმაწვილკაცების ცხოვრების გზის გამრუდებაში, მათს ავ საქციელში, ავტორის

აზრით, თვით საზოგადოებაა დამნაშავე: ამ ძმების დანაშაული იძულებითია. ომცროსი ძმის წერილში მშვენიერადაა მოცემული, თუ ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა, როგორ მისცა ძმების ცხოვრებასა და მოქმედებას თავისებური გეზი, მათ “შეძულდათ ქვეყანა და ადამიანი უფრო”.

ძმებს, როგორც ახალგაზრდა თაობას, გაცნობიერებული აქვთ ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყნად, რომ აუცილებელია ადამიანთა შორის სიყვარული, “მოყვასის სიყვარული”, თანადგომა, რაც ერთ–ერთი დამაიმედებელი და სტიმულის მიმცემია თითოეული მათგანისთვის ცხოვრების მანძილზე არსებობისათვის, რათა ადამიანმა თავისუფლად და ამაყად იგრძნოს თავი, რომ თვითონაც ამ საზოგადოების წევრია. მაგრამ ძმებს ნაცვლად სიყვარულისა და თანადგომისა, საზოგადოებამ გაყინული გული დაახვედრა.

მოთხრობის იდეა ისაა, რომ არსებული კანონმდებლობა სასტიკია, დანაშაულის მიზეზი “დამნაშავე კი არ არის, არამედ “დამნაშავეს” გარშემო არსებული პირობები, საზოგადოებრივი წყობილება თუ საზოგადოებრივი ურთიერთობა. მწერლის მიზანია, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი მკითხველში გამოიწვიოს დამოკიდებულება და მისი ახალი, სამართლიანი ცხოვრების საფუძველზე გარდაქმნის სურვილი.

ნაწარმოებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მწერალი ადამიანის ჩამოხჩობის ფაქტს მაინც და მაინც გულუბრყვილო გლეხის, პეტრეს თვალთ გაყურებინებს, რადგან უფრო კარგად დაგვანახოს მთელი საზოგადოების გულუბრყვილობა და ამავე დროს, ის დიდი გულგრილობა, რომელსაც საზოგადოება იჩენს თავისი გზააბნეული წევრისადმი. აქ, ამ ნაწარმოებში, პირველყოვლისა, სწორედ პეტრეა ბრალდებული ბეჟანის უმცროსი ძმის მიერ, ე.ი. – მთელი საზოგადოება.

“პატარები ვიყავით–წერს ბეჟანის უმცროსი ძმა პეტრეს, – ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გეპარცვავდნენ, არავინ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო, ჩვენი

ცოდვა ყველამ დაიდო კისერზე. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო...”

აქ კარგად არის დანახული ძმის თვალით, თუ როგორ არის გადაგვარებული საზოგადოება, რითაც ემსახურება უსამართლობას, დავიწყებული აქვს სულიერება, სიკეთის კეთების სურვილი. ვერ აცნობიერებს სხვის გასაჭირს, თავის თავის იქით სხვას ვეღარ ხედავს.

როგორც ავტორი გვიხატავს, პეტრე ძველი ყაიდის გლეხია, მას თავისი თავი ჯერ არ უგრძენია საზოგადოების წევრად, იგი ჯერ ბუნებასთანაა კავშირში. პეტრე საზოგადოების ყველაზე “პასიურ” წევრთა რიცხვშია. ამდენად მისი “დანაშა-ული” ასევე მინიმალურია და “პასიური”, მაგრამ მოხუცმა პეტრემ ესეც არ იცის იგი უდანაშაულოდ გრძნობს თავს, როგორც ბუნების ერთი ნატეხი. პეტრე საკუთარ ნატეხში ჩაკეტილია, მან არ იცის, რომ საზოგადოების ყოველი წევრი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი თითოეული წევრისადმი, იგი არავის არაფერს უშაგებს, მაგრამ თავისი უმოქმედობით და “პასიური” სიკეთით ვერავის ვერაფერს რგებს.

გულუბრყვილო პეტრეს არ სჯერა და ვერც კი წარმოუდგენია, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, ადამიანი ჩამოახრჩონ ამდენი ადამიანის თვალწინ, ადამიანებისა, რომლებიც ამ პროცესის შემდეგ ჭრიამულით დაიშლებიან და მიაშურებენ თავიანთ საქმეს, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, პეტრეს არ სჯერა ის გულგრილობა საზოგადოებისა, რომელსაც იჩენენ თავისი ერთი წევრისადმი, ისიც ხომ ღვთის კერძი კაცია, უბრალო კატა ხომ არ არის?! აქ, ჩანს, როგორც გაუცხოება და გულგრილობა, ასევე, ისიც თუ როგორ არის დაშორებული ადამიანი უფალს.

მაგრამ მოულოდნელად პეტრე ივებს, რომ ეს ფარსი კი არ არის, არამედ სიმართლეა და ეს ის პატარა ბიჭია, რომელსაც გულკეთილად გაუმასპინძლა და მან შემდეგ გაძარცვა მადლობის მაგივრად. ხოლო მისი ძმა კი ყველასთან ერთად ამ ამბავში პეტრესაც ადანაშაულებს. პეტრე თავისი გულუბრყვილობით იკითხავს: “მე რა შუაში ვარ?!” ამ კითხვას ავტორიც უპასუხოდ ტოვებს.

მართალია, პეტრემ ყმაწვილის გულში, ოთხი წლის წინ „ტკბილი ნაღველი ჩასახა,” მისმა „გულკეთილობამ მოინადირა”, მაგრამ – აგრძელებს უმცროსი ძმა – „ისიც მალე გაქრება, ვიცი”, განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი მამინაცვალისა! განა შენ კი არ დამიხჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე სარჩობელამდე!”

განაჩენი კი, რომელიც ჩამოხრჩობილის ძმამ გამოუტანა თავზარდაცემულ პეტრეს, ასე შეიძლება გაშინაარსდეს: პასიური, არამებრძოლი სიკეთეც საბოლოო ჯამში სინამდვილეს სიკეთით ვერ ცვლის და მაინც, თავბრუდახვეული მკითხველი, ამ ობოლი ბიჭების ცხოვრების მიმე სინამდვილის გაგებით სევდიანად ჩაფიქრებული ცდილობს, გაერკვეს, რა შუაშია პეტრე ან სხვა ყველა, რომელთაც ჩამოხრჩობილის უმცროსი ძმა ადანაშაულებს. ის დიდი გულისყურით გადაიკითხავს წერილს და როგორც დამსახურებულ საყვედურს, წერილიდან ამოიკითხავს შემდეგ სიტყვებს: “განა შენ კი არ დამიხჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე სარჩობელამდე!” და თუ ის თვლის საზოგადოების ერთ – ერთ წევრად თავს, მაშინ ის მთელი სიღრმით იგრძნობს ნამდვილი მოქალაქის პასუხისმგებლობას და ძალუმაღ ალიჭურვება სურვილით ხელი შეუწყოს, იბრძოლოს ცხოვრებისა და საზოგადოების გარდქმნისათვის სამართლიან და ჰუმანურ საფუძველზე. მაშინ სარჩობელაც, სიკვდილით დასჯაც აღარ იქნება პრაქტიკაში. ამაშია ამ ნაწარმოების იდეაც, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც და მწერლის მიზანდასახულობაც.

მარინა გვარამაძე

სიტყვა Hand და მისი სემანტიკური ველი

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა, და სიტყვა იქცა, და დაემკვიდრა ჩვენს

შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე“ – წერია იოანეს სახარებაში. სიტყვას დიდი ძალა აქვს. ზოგჯერ ცხოვრებაში ერთ სიტყვასაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყველა ენა სიტყვებისაგან შედგება. ბევრი სიტყვა მეტად საინტერესოა და ყურადღებას იმსახურებს. ტექსტებზე მუშაობისას წავაწყდით Hand სიტყვას – რომელთანაც დაკავშირებულია მრავალი თხზული სიტყვა, იდიომი და ფრაზული ზმნა. ქართულთან შედარებისას აღმოვაჩინე, რომ ბევრი მათგანის ქართული თარგმანი შინაარსობრივად ემთხვევა ინგლისურს.

ინგლისური ენის ლექსიკონში „Oxford Advanced Dictionary“ hand სიტყვის, როგორც არსებითი სახელის, პირველი მნიშვნელობა უკავშირდება სხეულის ნაწილს და იგი ასეა განმარტებული: *the part of the end of the arm, including the fingers and thumb*. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა ხელი, როგორც სხეულის ნაწილი, ორი მნიშვნელობითაა განმარტებული 1). ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე მტკვანი. 2). საერთოდ, ადამიანის ზედა კიდური.

მაგალითად: *One evening her husband returned home in triumph with a large envelope in his hand*. ერთ საღამოს მისი ქმარი გამარჯვებული დაბრუნდა სახლში ხელში, დიდი კონვერტით.

მისი მეორე მნიშვნელობაა *help in doing sth* – დახმარება.

მაგალითად: *Let me give you a hand with those bags*

ნება მომეცით დაგეხმაროთ ჩანთების წადებაში.

სიტყვა hand გვხვდება მრავალ თხზულ სიტყვაში, იდიომისა და ფრაზულ ზმნაში, რომელთაგან უმეტესობის ქართული თარგმანი შინაარსობრივად ემთხვევა ინგლისურის თარგმანს. თხზული სიტყვებიდან ზოგიერთი შემოსულია ქართულ სასაუბრო ენაში.

როგორც ვნახეთ, სიტყვა hand თავისი სემანტიკური ველით მეტად საინტერესოა და ფართოდ იხმარება ინგლისურ ენაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანს ქართული შესატყვისი გააჩნია. თხზული სიტყვებიდან კი სიტყვებს *handout* და *second hand* ქართულ სასაუბრო ენაშიც უკვე ფართოდ ვიყენებთ.

სოფიკო გვარამაძე

ჩემი გვარისა და შტოგვარების შესწავლისათვის

ჩემი გვარი წარმოშობით არის თეთრიწყაროს რაიონის სოფ. თონეთიდან, საიდანაც ერთ კაცს ცოლად შეურთაეს ქალი, მას პირველი ქმრისაგან ჰყოლია შვილი – გოგია, რომელიც ყოფილა გვარამაძე, სწორედ მისი შთამომავლები არიან ახალქალაქის რ-ნის სოფ: პტენის გვარამაძეები, ასეთია პაპის მონათხრობი (ზაქარ გვარამაძე, 85 წლის, გარდაიცვალა 1998წ.)

ამჟამად სოფ: პტენაში ცხოვრობს გვარამაძეთა 14 კომლი, რომელთა შტოგვარებია:

- 1) სელიმანის (საკ.სახ. სელიმა)//ჭამელაანის,
- 2) სიმონაანის (საკ.სახ. სიმონა).

სელიმანთ შტოგვარში ყოფილა მოჭიდავე კაცი ზაქარა, რომელსაც მეტსახელად „ჩაფხუნს“ ეძახოდნენ.

„ჩაფხუნ“ თურქული წარმოშობის სიტყვაა, იგი მომდინარეობს „ჩაბუქისაგან“.

“ზაქარა ერთ ჭამაზე ერთ ცხვარს ჭამდა და ამის გამო მის შთამომავლებს “ჭამელაანთ” ეძახიან”.

გვარამაძეები ადრე იწერებოდნენ ბარამაძეებად, არსებობს საოჯახო ტრადიცია, რომ გოგიას მამინაცვალი იყო ბარამაძე ან ბარამა ერქვა, შემდეგ კი დაიბრუნეს თავიანთი გვარი.

ზ.ჭუმბურიძის აზრით, “საკ. სახ. ბარამ ირანული წარმოშობისაა და ნიშნავს “გამარჯვების გენიას”, ამავე სიტყვისაგან არის მიღებული სახელები ვარამ (ძვ.ქართ.), გვარამ, გუარამ და გვარები: ბარამიძე, ბარამია, გვარამაძე, გვარამია, გურამიშვილი”.

გვარამაძეებს მეტგვარად “ხაზვეენტს” ეძახიან, გადმოცემით თონეთში ყოფილა “ხაზვეენთ უბანი” და იქ უნდა ეცხოვრათ გვარამაძეებს.

მეტგვარი “ხაზვეენი” უნდა მოდიოდეს საკ. სახელისაგან,, რომლის ვარიანტებად შეიძლება ვიგულისხმოთ “ხაზო”, “ხაზუა”, აქვე აღსანიშნავია, რომ გვაქვს გვარი ხაზალაშვილი, რომელშიც

“ხაზოსა” და “ხაზუას” შემთხვევის მსგავსად გამოიყოფა ფუძე “ხაზ-”

გვარამაძეები სოფ. პტენის გარდა არიან სოფ. ბარაღეთშიც, თუმცა მათ შორის ნათესაური კავშირი არ არის, მათი წინაპარი ერთი საუკუნის წინ გადმოსულა ხაშურიდან, მათი შტოგვარია “წალდეენი”, მათ წინაპარს „წალდით მოუკლავს კაცი“ და ამის გამო ეძახიან წალდეენთ.

ჩვენ ჩავიწერეთ მასალა, რომ თეთრი წყაროს რ-ნის სოფ. თონეთში ამჟამადაც არიან გვარამაძეები, რომლებსაც იქ “ჯავახებს” ეძახიან, იქაურ მკვიდრთა გადმოცემით ისინი ჯავახეთიდან გადასულები უნდა იყვნენ.

როგორც ირკვევა, “გვარამაძე“, როგორც გვარი თავისი წარმოშობით წმინდა მესხურია, მისი ძირი მოდის აწყურიდან, შემდეგ ჯავახეთში წასულან, ამის მერე გადასულან თეთრი წყაროში, შემდეგ კი ისევ ჯავახეთში დაბრუნებულან.

ისტორიულად ცნობილია ივ. გვარამაძე, იგივე “ვინმე მესხი”, რომლის მამა – პავლე რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერთ-ერთმა ოფიცერმა მისი ნახევარძმის გვარით წარადგინა ჯილდო-ზე, ამიტომ გვარამაძეთა ერთი ნაწილი “მესარკოვის” გვარით სარგებლობდა. ივანეს დედა კი იყო ვალელი ზაქარათ (ზაქარა-შვილი) გასპარას ქალი. ზაქარაშვილების თავდაპირველი გვარი ყოფილა გვარაძე, ერთგან თავად ივანეც შენიშნავს, მე დღეუ-ლად გვარაძე ვარ, მამეულად კი გვარამაძეო. (შ. ლომსაძე).

“XIV საუკუნის დამდეგს უცხოვრია გვარამაძეთა ერთ-ერთ განაყოფს ზოზოს და მის მემკვიდრეებს ზოზოშვილებს.” (მ. მიჩიტიაშვილი)

შ. ლომსაძის ცნობით “ივ. გვარამაძეს ხიზაბავრის მკვიდრი მამუკათ პეტრე არწმუნებდა, რომ აბინაშვილები და ბათმანიშვილებიც თქვენი გვარისანი არიანო”.

“გვარამაძე გავრცელებულია ქართლში, მესხეთში, რაჭაში“ (ილ. მაისურაძე).

გვარამაძეებს საქართველოში გავრცელებულ 1000 გვარში 604-ე ადგილი უკავიათ, თბილისში ცხოვრობს -497, ახალციხეში-122, ახალქალაქში-116” (ა.თოთაძე, ა.სილაგაძე)

გვარამაძეთა გვარი გავრცელებული იყო მესხეთში, მისი შტოგვარების გამოყოფის პროცესი, როგორც ჩანს. XX საუკუნეში დასრულდა, იგი დაკავშირებული იყო დიდი ოჯახის გაყოფასთან, რასაც დღეს აღარა აქვს ადგილი.

გვირჯიშვილი ნინო

მთიანეთის ჩაცმულობა

ნაშრომი ძირითადად ემყარება ლიტერატურულ წყაროებს (ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, გ. ჩიტაია) რომლებშიც განხილულია სამოსლის ტიპები. საქართველოს კუთხეების ტანსაცმელს შორის შეინიშნება როგორც საერთო ხაზი, ისე განსხვავებაც. ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ ქალის ზედა სამოსს („სადიაცო,” „ჯუბა” და სხვა)

საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიაში ქართულ ჩაცმულობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ტანსაცმლისათვის საჭირო მასალა, აჭრილობა, სილუეტი, ფერთა შეხამება, ჩაცმისა და ტარების წესი შეპირობებული იყო კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, სქესობრივ-ასაკობრივი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობებით.

საქართველოში სხვადასხვა კუთხის ჩაცმულობიდან ყველაზე მეტი ორიგინალობით ხევესურული ტანსაცმელი გამოირჩევა. ნაშრომში ჩვენ ძირითადად აღმ. საქართველოს მთიანეთის (ხევესურული და თუშური) ქალის ჩაცმულობას შევხებით.

ხევესურული ქალის ჩაცმულობაში წამყვანი მნიშვნელობა აჭრილობას და ქარგულობას აქვს მინიჭებული, ხევესური ქალის ჩაცმულობის ანალოგიური უნდა ყოფილიყო ძველად თუში და ფშაველი ქალის ჩაცმულობაც.

კანსაკუთრებით ორიგინალურია ხევესური ქალის შალის კაბა რომელსაც „სადიაცო” ეწოდება. კაბა ორი ნაწილისაგან არის შედგენილი. ძირითადი ნაწილი შედგება „მხარ-ზურგისა”

და „გულისპირისაგან“. მეორე ნაწილს „ქოქომონი“ ჰქვია, იწყება მუხლიდან და კაბის მთლიან სიგრძეს ავსებს.

სადიაცოს მკერდს ჩაჭრიდნენ მარცხნივ, მარჯვნივ დარჩენილ ნაწილს სადიაცოს „ფარავის“ სახელწოდებით აღნიშნავენ. ფარავი იკვროდა საყელოსთან დაკერილი ღილ-შაბით.

სადიაცოს უკეთდება თავიდან ბოლომდე თანაბარი სიგანის სახელოები. სახელოს მაჯას ხშირად ქარგავდნენ და ღილ-მძივებით ამკობდნენ. სადიაცოზე ხმარობდნენ ნაქსოვ სარტყელს.

ჯუბის არსებობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუ ადრე იგი ორივე სქესის მიერ საზეიმო ვითარებაში მოსახმარებელ სამოსს წარმოადგენდა, თანდათანობით მან გაფართოებული სამომხმარებლო ფუნქცია შეიძინა.

თუში ქალის ჯუბასთან დაკავშირებით შესანიშნავია ერთი გარემოება. თუშური საქორწილო წესების მიხედვით, როცა საქორწილო წყვილის საკითხი სასიკეთოდ გადაწყდებოდა, საქმროს ოჯახი საპატარძლოს შუამავლის ხელით გაუგზავნიდა „ხელპირგასამკვეთლოს“ ან „საკმახს“, რომელშიც ცხვრის მატყლი, აბრეშუმის თავშალი და ვერცხლის ფული შედიოდა. ცხვრის მატყლისაგან უნდა მოექსოვათ შალი, რომელიც საქორწილო ჯუბის დამზადებას ხმარდებოდა.

ხევსური და ფშაველი ქალის ჩაცმულობაში საინტერესო ელემენტია ქოქლო და ფაფანაგი. ფშაური ჯუბა წარმოუდგენელია ფაფანაგის გარეშე, ხევსური ქალის სადიაცო კი ქოქლოს გარეშე.

ფაფანაგი რთული შესაკერია, მის საუკეთესო დამამზადებლად ფშაველი ქალები ითვლებიან. ფაფანაგის სათანადო გამოჭრა და ტანზე მორგება ქალის კარგი ხელსაქმიანობის მანიშნებელი იყო. ამიტომ მღეროდნენ: „ქალავ ეგ შენი სიკეთე გეტყობა ფაფანაგზედაო“.

საგანგებოდ მორთული ორშიანი ფაფანაგი მხოლოდ ბედნიერ დღეებში უნდა ჩაცვათ. იხმარებოდა აგრეთვე მსხვილი შალისაგან დამზადებული საყოველღეო ფაფანაგიც.

სუსხიანი ჰავის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოს მთიანეთში, სამოსის კომპლექსში შედიოდა ზემოდან სახმარი

თბილი ჩასაცმელიც, თუშეთში ზამთარში სათბილო ტანსაცმ-
ლად „ტყავკაბა“ გვხვდება.

ტყავ კაბის დამზადება, საკაცო სამუშაოთა სფეროს განეკუთ-
ნებოდა, მაგრამ მათ საგანგებო შემკობაში ქალები მონაწილეობ-
დნენ. მაზე მიუთითებს თუშეთში არსებული გადმოცემაც. ერთი
უდროოდ დაბერებული ქალისათვის უკითხავთ, ასე რამ დაგაბერაო,
მას პასუხი ღუქსად გაუცია: „ტყავ კაბის ნაოჭობამო, ბოლოზე
კერებამაო, ჩოხაზე თორმეტ ნაოჭმა, ქუქუმოს ჭრელებამაო“.

ხევსურეთში მოხმარებული „ქოქლო“, სადიაცოს ზემოდან
სახმარი სამოსია. იგი წინ ჩახსნილი და წელში გადაჭრილია,
აქვს მაღალი საყელო. შედგება „წინა კალთებისა“, „ზურგნისა“,
„ენებისა“ და გვერდის „აზლოტებისაგან“. საყელო აქვს განიერი
ისე, რომ ქოქლოშემოცმულ მანდილოსანს სახელოს ქვეშ მოუ-
ჩანდა სადიაცოს სახელო. ქოქლო შედარებით მოკლე სამოსად
ითვლებოდა, რადგან მისი სიგრძე მუხლებს სულ ცოტათი სცილ-
დებოდა.

ქოქლოს ამკობდნენ ფერადი აბრეშუმისა და მატყლის ძაფებით,
მოსართავად გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ფაბრიკული
ქსოვილის ნაჭრები, რომელთა ურთიერთ შეხამება და თავის
აღვილზე ჩასმა მეტად გაწაფულ თვალსა და ხელს მოითხოვდა.

ხევსური ქალის თავსაბურავი ორი ელემენტისაგან შედგე-
ბოდა: ერთი იყო სათაურა, რომელიც შეკერილი იყო ბამბის ან
შადის ქსოვილისაგან. მას მრავალფერი მძივებით, ფერადი ძა-
ფებით და ვერცხლის სამკაულებით ამკობდნენ. მეორე კომპო-
ნენტი ქალის თავსაბურავისა იყო მანდილი. ძველად ქალი თავსაბ-
ურავის გარეშე არ გაივლიდა. მანდილს, როგორც ქალის სინდის-
ნამუსის სიმბოლოს, ადმოსავლეთ საქართველოს ძველ სოციალურ
სინამდვილეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერდნენ. საკ-
მარისი იყო ქალს მოეხსნა მანდილი და მოჩხუბართა შორის
ჩაეგდო, რომ ორივე მხარე დაზავდებოდა.

თუში გათხოვილი ქალის თავსაბურავი შავი დიდი მანდი-
ლისა და საგანგებოდ მოწყობილი თავსადგმელი „კუჭურასაგან“
შედგებოდა. სამკუთხა ფორმის დიდ მანდილს შუბლზე ჩამოიფა-
რებდნენ და კუჭურაზე ქინძისთავებით დაიმაგრებდნენ.

ნათია გიგაური

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური რიტუალები აღმოსავლეთ საქართველოში

ქართველი ხალხი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერია, თუმცა დღესაც ეთნოგრაფიულ ყოფაში სშირად შევხვდებით ისეთ ფაქტს, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია წარმართული ხანიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენებთან და მაგიურ-რელიგიურ ქმედებებთან.

სშირად გავიგონებთ უფროსებისაგან: –”კარებში ნუ ჩადგები, სიღარიბე იცისო;” თუ მოქნარება დაგაწყებინა ”თვალი აიღეო;” თუ შემოგხედეს და ფეხი გადაგიტრიალდა ”ცუდი თვალით” შემოგხედესო;” ჩვილ ბავშვთან ღამით შესვლა არ შეიძლება-”ავი სულები შემოგყვებიანო;” ბავშვს ღამე თუ გარეთ გაიყვან, პური და ასანთი . . . და ა.შ.

წარმოდგენილ ნაშრომში კონკრეტულად ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ მაგიურ-რელიგიურ შეხედულებებს და რიტუალებს შევხებით, რომელიც დღესაც ძალიან აქტუალური და შესრულებადია.

ვინაიდან საუკუნეების წინ მედიცინის განვითარების დონე არ იძლეოდა ყველა დაავადების გამომწვევი მიზეზის ახსნის საშუალებას, ხალხი ცდილობდა, ყველა დაავადებისათვის მიეცა ახსნა და ემკურნალათ მისთვის. ამის გამო ბევრი დაავადება დაუკავშირეს ზებუნებრივ ძალებს; ავ თვალს, ავ სულებს (ჭინკებს, ეშმაკებს), მიცვალებულის სულებს და სხვ.

ავ თვალს ისევე, როგორც ავ სულს განსაკუთრებული ზემოქმედების უნარი ბავშვებსა და ქალებზე ჰქონია.

ბავშვებში გავრცელებული ავ სულთან დაკავშირებული ერთ-ერთი შეუცნობელი დაავადებაა ”უქმური”, რომელიც მძიმე და ურთულეს დაავადებად ითვლებოდა. ასეთ დროს ბავშვი ჭირვეულობს, უზუნებობს, ზოგ შემთხვევაში იგი ბავშვის სიკვდილით მთავრდება.

მთხრობელთა განმარტებით, უქმური ავსული იყო, იგი ნესტიან ადგილებში ბინადრობდა და თუ იქ საღამოთი ბავში გაივილიდა, აუცილებლად აჰყვებოდა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებული მასალის მიხედვით, უქმური გომბეშოს მსგავს ლორწოვან მასას წარმოადგენდა და მხოლოდ უნებლიე მოძრაობის უნარი ჰქონდა.

საერთოდ მავნე ძალის სააწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა ასკილი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლიპარაკობდეს ის ფაქტიც, რომ ძუძუთა ბავშვს, თუ მუცელი ასტიკვდებოდა, "ასკილის ძოკოს გასრესდნენ ძუძუს რქეში, კოვზზე" და ისე გადააყლიპებდნენ. ამავე დანიშნულებით ხმარობდნენ რქეში გასრესილ ნავლს ("ნაკვერჩხალს თეთრად რომ აქვს, ნავლი ქვია").

ასკილს მაგიური ძალის რწმენით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ბავშვებს ასკილის ტოტებზე გადაახტუნებდნენ, მუწუკები აღარ გაუჩნდებათ.

ბავშვის ორგანიზმიდან ავი სულის გამოსადევნად, მის გასანადგურებლად სრულდებოდა შემდეგი მაგიური ქმედებები:

ბავშვს "საყმაწვილო" პირველად რომ მოუვლიდა, ნეკა თითში ნემს უჩხვლეტდნენ, ან სასწრაფოდ პერანგს გახდიდნენ და დასწავდნენ, ზოგჯერ კი, დამწვარი პერანგის ფხენილს წყალში გახსნიდნენ და ბავშვს დააღვეინებდნენ, ტანსაცმლის დაწვისას, ბოლზე გადაატარებდნენ ბავშვს.

სამხრეთ საქართველოში, თუ თვლიდნენ, რომ ბავშვის ცუდად ყოფნა ავსულებთან იყო დაკავშირებული, ასეთ რიტუალს ასრულებდნენ; გოგირდს ცალკე ან სხვა ნივთიერებებთან (მცენარე უზალიკთან (მარიამსაკმელა), ღორის ჯაგართან, ცხვრის ყველთან, შაქართან, ქათმის ბუმბულთან, წითელ სიმინდთან, ერთად დასწავდნენ და შეუხრჩოლებდნენ. ამ პროცედურას 2-3 დღე მაინც იმეორებდნენ – "ავი სულები ცეცხლში დაიწვებიან"-ო.

ასევე ბავშვს, რომელსაც "საყმაწვილო" ხშირად მოუვლიდა, ძილის დროს შავ, უხმარ ნაჭერს გადააფარებდნენ, ზევიდან ბავშვის სიგრძე, ბამბისაგან გაკეთებულ ჯვარს დაადებდნენ,

რომელსაც შემდეგ ცეცხლს წაუკიდებდნენ და იტყოდნენ –
”შავმა მიგიღოს და ბავშვი გადარჩესო.”

ეთნოგრაფიული მასალის მახედვით, გარკვეული სახის
დაავადებას (დაღიხვა\|გალიხვა) იწვევდა მიცვალებულის სულიც.

თუ სახლთან ახლოს მიცვალებულს მიასვენებდნენ და
ჩვილი აკვანში იწვა, აუცილებლად ამოიყვანდნენ აკვნიდან,
უკიდურეს შემთხვევაში, აკვანს წამოაყირავენდნენ, თუ კი ამას
ვერ მოასწრებდნენ, მაშინ იმ მიცვილებულის საფლავზე
წაიყვანდნენ და ზედ დააყენებდნენ, ან საფლავიდან მოტანილ
მიწას ჩაყრინდნენ გობში, სხვადასხვა ხის ნაფოტებთან ერთად
მოხარშავდნენ და ამ ნახარშით დაბანდნენ ბავშვს.

რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს მიცვალებულის
უწმინდურობის უძველეს და უნივერსალურ რწმენასაც.

ადმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენით, მიცვალებუ-
ლის სული იწვევდა მცირეწლოვანი ბავშვის უგუნებობას და
სხვადასხვა სახის მსუბუქ დაავადებას, იმიტომ რომ მათ უნდო-
დათ თავიანთი სახელის ”სამზეოში”, ”სააქაოში” დარჩენა.
ამიტომ ხევესურეთში ყველა ორს, სამს ან მეტ სახელს ატარებდა.
ორი სახელი კი აუცილებლიდ უნდა ჰქონოდა; ერთი ჯვრისა,
მეორე კი სულისა. სულის სახელი აუცილებელი იყო და არ
იყო შემთხვევა, რომ სულის სახელი ვინმეს არ რქმოდეს.

სამცხე-ჯავახეთსა და აჭარის ეთნოგრაფიულ მონაცემების
მიხედვით, მიცვალებულის გარდა, ბავშვის დაღახვა შეეძლო
მთვარეს, საქონელს, თევზს და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჩვილს მთვარით ”დაქეღვის”, ”დაჭერის”
შესახებ წარმოდგენები ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და
აჭარაში მოწმდება.

ზოგიერთი ეთნოლოგის აზრით (ნ. მინდაძე), ზემოაღნიშ-
ნული შეიძლება უკავშირდებოდეს იმ პერიოდს, როცა დაავადე-
ბის გამომწვევ მიზეზად სული, ამ შემთხვევაში-მთვარის სული-
მიიჩნეოდა. იგი არ გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება თურქული
გავლენა იყოს.

ავი თვალის წინააღმდეგ ბავშვისთვის დედის თმას შეულოცავდნენ და ამ შენალოც თმას დაწნავდნენ და ბავშვს მაჯაზე შეაბამდნენ.

”ავი თვალის”, ”უემურის”, და ”შიშით” გამოწვეული დაავადების ყველაზე გავრცელებული სამკურნალო მაგია იყო შელოცვებით მკურნალობა.

აღნიშნული შელოცვა, ზოგჯერ სხვადასხვა დაავადების მაგ; ”შეშინებულის” დროსაც გამოიყენებოდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი მაგიური რიტუალები, განსაკუთრებით შელოცვებით მკურნალობა, ბავშვის ჯანმრთელობისათვის მეტნაკლებად დღესაც სრულდება.

ქეთევან დევნოსაძე

გრამატიკული გვარი ინგლისურ და ქართულ ენებში

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ზმნის გრამატიკულ კატეგორიას გვარს ინგლისურ და ქართულ ენებში. ორივე ენისთვის გვარი განიმარტება როგორც ზმნის კატეგორია, რომელიც გამოხატავს შემასმენლის ქვემდებარისა და დამატების ურთიერთობას. გვარი გვიჩვენებს ქვემდებარე ასრულებს თუ განიცდის შემასმენლის მიერ გამოხატულ მოქმედებას.

ქართულ ენაში გვარი სამგვარია: მოქმედებითი გვარი, ვნებითი გვარი და საშუალი გვარი. ინგლისურ ენაში გრამატიკოსთა უმრავლესობა გამოყოფს გვარის ორ ქვეკატეგორიას: მოქმედებითსა და ვნებითს. თუმცა მოქმედებითისა და ვნებითი გვარის გარდა სხვა ფორმების არსებობის გამო ჩნდება საჭიროება ინგლისურ ენაშიც გამოიყოს საშუალი გვარი.

თანამედროვე ინგლისურში უფრო და უფრო ხშირია შემთხვევა საშუალი გვარის ფორმის არსებობისა, რომელიც მნიშ-

ვნელობით ვნებით გვარს უახლოვდება, ფორმით კი მოქმედებითს, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის.

ქართულ გვარსა და ინგლისურ გვარს შორის შეიძლება გაივლოს უამრავი პარალელი. მათ შორის არის როგორც მსგავსება, ისე განსხვავება შინაარსობრივი და გამოყენების თვალსაზრისით.

მოქმედებითი გვარი როგორც ინგლისურში ასევე ქართულში გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს ქვემდებარე (ქართულში სუბიექტური პირი).

ქართული და ინგლისური მოქმედებითი გვარი ახლოსაა ერთმანეთთან. ვნებითი გვარიც ორივე ენაში გვიჩვენებს, რომ ქვემდებარე თავად განიცდის შემასმენლის მიერ გამოხატულ მოქმედებას, თუმცა ქართული ვნებითისაგან განსხვავებით ინგლისური ვნებითი გვარი წინადადებაში უმეტეს შემთხვევაში ნათლად ჩანს, ვისგან ან რის მიერ სრულდება გამოხატული მოქმედება.

ქართული და ინგლისური ენის საშუალო გვარი ერთმნეთს იმით ჰგვანან, რომ ორივე შემთხვევაში ქვემდებარე მოქმედებს, მას არა აქვს სამოქმედო ობიექტი, მაგრამ არც თავად განიცდის მოქმედებას.

ინგლისურ ენაში, უმეტესად, საშუალო გვარის კონსტრუქციებს ახლავს ვითარების ზმნიზედები. ასეთი კნსურუქციები ხსხს უსვამს ქვემდებარის გარკვეულ დამახასიათებელ ძირეულ თვისებებს, ზმნა კი ამ თვისების მარეალიზებელი, გამფართოებელი, გამომჟღავნებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმის შესაბამისი ვნებითის არაებობა დამყარებულია ზმნის პირთა რაოდენობაზე. მოქმედებით გვარში ზმნას ყოველთვის ერთი პირით მეტი აქვს, ვიდრე ვნებით გვარში. მსგავს შემთხვევას ადგილი არა აქვს ინგლისურ ენეში. აქ განსხვავება მოქმედებითსა და ვნებითს შორის დამყარებულია იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის საპირისპიროდ სხვა ფორმებიც მოიპოვება, რომელთაც ვნებითის შინაარსი აქვთ.

**ხელოსნობა და შინა მრეწველობა მესხეთში
(მატყლის დამუშავება)**

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სამოსელისათვის მასალის დამზადების ხალხურ ტრადიციას.

ეთნოგრაფიული საველე მასალა მოვიპოვეთ, ასპინძის რ-ნის სოფელ ზველში, მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფელი უძველესია და მკვიდრი მესხები ცხოვრობენ, ეთნოგრაფიული ყოფიდან ბევრი რამ მივიწყებულა, თუმცა მაინც მოხერხდა გარკვეული მასალის მოპოვება.

ჩვენ მიერ ჩატარებული საველე ეთნოგრაფიულ კვლევისას მოპოვებულმა მასალამ ცხადყო, რომ მესხეთში ძირითადად ჩასაცმელი მზადდებოდა ნატურალური ბუნებრივი და ნამდვილი მასალისაგან, ცხვრის მატყლისა და თხის ბეწვისაგან. თხის ბეწვი ძირითადად გამოიყენებოდა „ჯჯჯიმის“ დასამზადებლად იგი ჩვეულებრივ იჩენება აჩეჩელზე და ირთვება მატყლივით. და იქსოვება „სანაზე“, მას ყოველდღიური გამოყენება ჰქონდა. იგი იყო დაახლოებით 1,5 სიგრძის ან უფრო მეტიც. საჭიროების მიხედვით, ეს იმაზე იყო დამოკიდებული თუ რა ზომის ტახტზე უნდა გადაეფარებინათ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში გამოიყენებოდა მატყლი. მატყლის დამუშავება იწყება გაზაფხულიდან მაშინ, როცა იპარსება ცხვარი. გაპარსულ მატყლს ალბობდნენ ცივ წყალში, მერე დებდნენ ბრტყელ და სწორ ადგილზე და სპეციალურ საბერტყით ბერტყავდნენ. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ მატყლი ფერს არ შეიცვლის. მთხრობელის გადმოცემით, გარეცხილი და გაწეწილი მატყლი იჩენება საჩეჩელზე. საჩეჩელზე ამოღებულ მატყლს ეწოდება „ფთილა“. ფთილა არის კარგად დამუშავებული, მას ართავენ „ხერტალზე“, ხერტალს ქვედა ნაწილში უკედება „კვირისთავი“. დართვა ხდება რამდენიმე ხერტალზე იმის მიხედვით, რა სისქის ძაფი არის საჭირო, განსაზღვრავენ, იმ რაოდენობის ხერტალს შეავსებენ და ამოახვევენ გორგლად. გაკეთებული გორგალი იძახება „თეშზე“. ეს პროცე-

სები – დართვა, დაჩევა, დაძახვა, ადრეც სრულდებოდა და ახლაც სრულდება, თუმცა მოგვიანებით იყენებდნენ დამხმარე ხელსაწყოებს, „ჯარასა“ და „ძაფის სართავს“ დღეს-დღეობით ეს ხელსაწყოები აღარ გამოიყენება. დაძახული ნართი უკვე მზა არის და შეიძლება მოქსოვა. აღნიშნული ძაფით იქსოვებოდა სხვადასხვა ჩასაცმელები: „სვიტრები,” „წინდები,” „ქუდები,” „ხელთათმანები,” „ფაჩუჩები”. „პაჭანიკები,” „ხალიჩები” და ა.შ.

საინტერესოდ მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ იმ ნაწარმზე, რომელიც დღეს აღარ იქსოვება, მესხეთში ასეთია შადის ქსოვილი, რომელიც იხვეოდა ჯვარედინად. ის მამაკაცთა ფეხსამოსი იყო, იგი ძირითადად გამოიყენებოდა ცხენით მგზავრობისას, ასევე აუცილებელი ნივთებია „თათალთო” და „ხურჯინი”. „თათალთო ეს არის მატყლისაგან გაკეთებული ნაბადი, რომელსაც ათავსებდნენ უნაგირის ქვეშ. როცა ცხენს გააკაზმავდნენ.

ნაბადი შემდეგნაირდ მზადდებოდა: გაზაფხულის მატყლის გარკვეულ მასას გარეცხილსა და გარჩეულს დააფენდნენ სწორ ადგილას, ტახტზე ან ნებისმიერ ადგილზე, დანამავდნენ თბილი წყლით, ერთი მხრიდან დატოვებდნენ სწორი ხისაგან გამოთლილ ჯოხს, მერე გადაახვევდნენ ბოლომდე, ბოლოში დაამაგრებდნენ და ფეხით თელავდნენ დაახლოებით ორი ან სამი საათი. ამ პროცესს ჰქვია ნაბდის დაგება. ამას აკეთებდნენ ძირითადად უხუცესები თუმცა ყოფილან ამ საქმის ოსტატებიც. ნაბდის მოთელვა ძვირი არ ღირდა. მოხრობელთა გადმოცემით ათ შაურად ფასობდა. მესხეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მატყლის ნაბადი. დიასახლისები მას ქვეშაგებად იყენებდნენ, ხოლო მწვემსებში შეუფასებელი სამოსელი იყო.

ნაბადი უკეთესი ხარისხის რომ გამოსულიყო აკეთებდნენ „პრიკოსი” მატყლისაგან, „პრიკოსი” არის მოკლე და სრიალა მატყლი. ასევე „პრიკოსი” მატყლისაგან ამზადებენ ხალიჩებს... ხალიჩა იქსოვებოდა თარგზე, თარგი. ხისაგან გაკეთებული ჩარჩოა მართკუთხედის ფორმის, მასზე ეხვევა ძაფი ზემოდან ქვემოთ. და ასე ბოლომდე. ერთი მხრიდან სიგანეზე იწყება

ქსოვა. საქსოვად გამზადებული ნართის ძაფი მაგრდება მარცხენა მხარეს, მქსოველი იწყებს ქსოვას ამ მხრიდან და მოჰყვება მარჯვნივ.

ხალიჩაზე აუცილებელია სხვადასხვა ორნამენტი იყოს გამოსახული ან თუნდაც ყვავილები და მცენარეთა ფოთლები, ეს მქსოველის ფანტაზიაზეც არის დამოკიდებული.

ქსოვისას აუცილებელი და დამხმარე ნივთია „ჰოვა“, იგი არის რკინის სამკუთხედისებური მოყვანილობის.

ხალისის საქსოვად აუცილებელი იყო ფერადი ძაფი. მთხრობელის – მარიამ ზედგინიძის გადმოცემით, რომელიც თავად ღებავს საქსოვ ძაფებს: საშუალო ზომის ჭურჭელში ჩაყრის ყაყაჩოს, ზემოდან დაადებს „ხიფს“. ხიფი არის ჯვარედინად გადახვეული ძაფი (იგი კარგად იღებს საღებავს და ქსოვისას არ იწყწება) შემდეგ ზემოდან ასხავს წყალს და ადუღებს ორი საათით. როცა უნდა მწვანე ფერის ძაფი. ან კიდევ თუ უნდა მოთეთრო-მოყვითალო ფერის ძაფი, მაშინ იღებს წითელ ჭარხალს, კარგად დაჭრილს, ყრის შესაღებ ჭურჭელში, შემდეგ ადებს ძაფს, ასხამს წყალს და ზემოდან ადებს რკინის ჟანგიან მეტალს, რკინა ადუღებისას გამოყოფს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ძაფს ხდის ბზინვარეს. ან კიდევ თუ უნდა კაკაოს ფერი, იღებს კაკლის წენგოს, ხარშავს ცალკე ჭურჭელში, შემდეგ უწურავს წვენს და ასხავს „ხიფს“ ზემოდან. ერთი საათის განმავლობაში ადუღებს იღებს, ჭურჭლიდან, აცივებს და ა.შ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, ძველად მესხეთში ტანსაცმლის დასამზადებლად ძირითადად მატყლის ქსოვილი გამოიყენებოდა, რასაც განვითარებული მეცხვარეობა და მატყლის დიდი მარაგი განაპირობებდა.

იაკობაძე შორენა

რელიგიური პრობლემატიკა „ცხრა ძმა კოლაელთა წამებაში“

აგიოგრაფიული ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“, რომელშიც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ქრისტიანული სარწმუნოების როლი და მისი უპირატესობის შეგრძნება სხვა სარწმუნოებასთან შედარებით.

ეს უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმიტომ, რომ აღნიშნული სარწმუნოების აღიარება და დაცვა ხდება 7-8-9 წლის ბავშვების მიერ, რომელთაც გააცნობიერეს მისი ჭეშმარიტება თავიანთ თავდაპირველ სარწმუნოებასთან შედარებით.

ამ ბავშვთა მოქმედება მექანიკური და სასხვათაშორისო კი არ არის, არამედ მთელი ამბავი დაფუძნებულია ბავშვთა მაღალ მორალზე, ურყევ რწმენაზე, სულიერ სიმტკიცეზე, მათ თუნდაც დიდ გამირობაზე და თითქოს რაღაც ფანატიკური რწმენით თავგანწირვაზე, ეს ის ბავშვები არიან, რომელთაც გაითავისეს ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტება და სიცოცხლის ფასად დაიცვეს იგი, დიახ, სიცოცხლის ფასად, რომელიც მშობლებმა მოუსწრაფეს.

როდესაც გაქრისტიანებული ბავშვების მშობლებმა გაიგეს თავიანთი ბავშვების რჯულის შეცვლა, პირველ ყოვლისა, „გამოიტაცნეს ყრმანი იგი მძლავრებითა სახლებისაგან ქრისტიანთაისა დიდითა შეურაცხებითა და რისხვითა, გულისწყრომითა და გინებითა და მიიყვანეს სახლად თვისსა“. მშობლებმა ბავშვებს ჯერ მაგრად სცემეს, ბავშვები პროტესტის ნიშნად, შვიდი დღე მშიერები იყვნენ, მშობლებმა ვერაფერი გააწყვეს, მათ ქრისტეს სარწმუნოება ვერ დააგმობინეს. ბოლოს მიმართეს აღერსსა და ათას დაპირებას: „მაშინ უთქუმიდეს მშობელნი მათი ყოველსა კეთილსა და სამოსელსა ჭრელსა თითო-ფერსა“. მაგრამ ბავშვები იმეორებდნენ ჩვენ ქრისტიანენი ვართ არარა

გვისმს თქვენგან, არამედ განგვიტყვევით და წარვიდეთ ქრისტიანეთა თანა“.

მშობლები რომ ვერაფერს გახდნენ, შემდეგ მიმართეს მათი მთავარს, რომელიც წარმართი იყო, იმისათვის, რომ მათი შვილები დაესაჯა, მაგრამ მან მშობლებს უთხრა; „ბავშვები თქვენია და უყავით, რაიც გნებავთ“. მშობლებმა ისარგებლეს მთავრის მიერ უფლების მიცემით და საკუთარ შვილებს განაჩენი გამოუტანეს, რომლისთვისაც მხეციც კი ვერ გაიმეტებდა შვილს.

ტექსტის წაკითხვისას მკითხველს წარმოუდგება შემზარავი სცენა, იგი თავზარდაცემული რჩება მშობლების ასეთი ვერაგული საქციელის გამო და ბავშვების დიდი გმირობის გააზრებისას ღრმად ჩასწვდება ტექსტის ისტორიულ არსს.

ჩვენს ძეგლში გამძაფრებული ბრძოლაა წარმართობასა და ქრისტიანულ სარწმუნოებას შორის, რითაც მშობლებმა თავიანთი ბავშვები ამსხვერპლეს, მათ მიიყვანეს შვილები იმ ადგილას, სადაც ნათლობა მიიღეს, ამოთხარეს ორმო და ჩაყარეს შიგ. ბავშვები არც ამ გარემოებას შეუშინდნენ და კვლავ ამბობდნენ: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და მისთვისაც მოვსწყდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიდეთო“. მაშინ მშობლებმა თავები დაუხეთქეს და ჩაქოლეს ისინი.

„გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობა შვილთა, ხოლო ამათ უმჯულოთა არა ყვეს წყალობა შვილთა მათთათვის“, – აღშფოთებულ;ი ამთავრებს ბავშვთა წამების ამბავს ავტორი.

ეს ძეგლი მრავალმხრივ არის საყურადღებო; ხაზგასმულია ერთი მხარე სოციალ-იურიდიული ცხოვრებისა, რომლითაც მშობლები, სრული ბატონ-პატრონი ყოფილან თავიანთი შვილებისა იქამდის, რომ მათ ნება ჰქონდათ, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, სიკვდილითაც კი დაესაჯათ ისინი.

მათ სისასტიკე გამოიჩინეს ასევე ადგილობრივი მღვდლისადმი, რომელმაც წარმართი ბავშვები მონათლა, ესა არის მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ავტორის მიერ წარმოჩენილია

სულიერი მოძღვარი, რომელსაც ერთგვარი ნათელი შეაქვს ბავშვების ცხოვრებაში.

ამ ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა კარგად აქვს გამორკვეული ნ. მარს. იგი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ “კოლაელ ყრმათა მარტვილობა” საყურადღებოა იმ კუთხით, რომელშიაც წარმოდგენილია ის თავდაპირველი ხანა, როდესაც ქრისტიანობას საქართველოში ბრძოლა უნდა ჰქონოდა ადგილობრივ წარმართობასთან. მას საისტორიო მეცნიერებისათვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იქ, როგორც ნ. მარსაც აღნიშნა, შენახულია უტყუარი სურათი იმისა, თუ როგორი სიძლიერით ჰყვარებიათ ჩვენს წინაპრებსაც თავიანთი წარმართობა, მამაპაპური რწმენა, რომ ისინი უბრძოლველად არ უთმობდნენ ასპარეზს და პირველ ხანებში გამწარებით გააფრთებით ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანობას.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მარტო ამით არ განისაზღვრება ამ პატარა ძეგლის მნიშვნელობა. იგი ძვირფასია მეცნიერებისათვის, როგორც ძველის-ძველი საქრისტიანო ღვთისმსახურებისა და მაშინდელი საქრისტიანო და საწარმართო აზროვნების სურათი.

მკითხველი არამარტო ვერ წაიკითხავს გუდლინჯად ამ პატარა ძეგლს, მასში მოთხრობილ ბავშვების მოწამეობრივ სიკვდილს, არამედ ამ ამბავს შეუძლია ერთგვარი ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი გავლენაც მოახდინოს იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა აიტანოს თუნდაც ბავშვმა ყოველგვარი წამება, იყოს გამძლე და როგორ უნდა იბრძოლოს იდეისათვის, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტორს ამ ძეგლში ბავშვების წამება შემთხვევით არა აქვს წარმოჩენილი, არამედ მას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვების მეშვეობით მკვიდრდება ქრისტიანობა, ბავშვები კი თავისი უმანკოებით ამავდროულად გაიგივებული არიან წმინდა-ნობასთან და რომელთა მეშვეობითაც მოიტანა ავტორმა ჩვენამდის თავისი სათქმელი.

მკითხველი აღფრთოვანებაში მოჰყავს იმ ფაქტს, თუ საიდან არის 7-8-9 წლის ბავშვებში ასეთი ძლიერი სულიერი სიმტკიცე.

და ის გარემოება, რომ მშობლების მართლაც ასეთი სივერაგე, რომელიც სარწმუნოების დაცვისათვის საკუთარი შვილების მიმართ ჩაიდინეს, მიგვითითებს იმაზე, თუ რამდენად ძლიერია ბრძოლა იმ დროისათვის ამ ორ დაპირისპირებულ სარწმუნოებას შორის.

ქეთევან ენდელაძე

ბედისა და ბედისწერის საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

„ბედი მხოლოდ ბედოვლათს მიათრევს, ვაჟკაცი, კი ბედს თვითონვე მიაქანებს“

ეს სიტყვები სწორედ გამოხატავს მიხეილ ჯავახიშვილის შესედეულებას ბედისა და ბედიდწერის შესახებ, მართლაც ბედოვლათსა და უქნარა ადამიანს ზიდავს ხოლო ვაჟკაცი ადამიანი „თითონვე მიაქანებს თავის ბედს“.

„ბედის“ ფატალურ რწმენას ჯავახიშვილის შემოქმედებაში არაერთი გმირი ატარებს. ბედისა და ადამიანის ურთიერთობა რთული და ძნელად ასახსნელია. ადამიანის ნება ბედის მიერ შემოსაზღვრულ ესქატოლოგიურ სივრცეებს რომ სცილდება, იწყება შურისძიება ადამიანური თანაცხოვრების ნორმების დამრღვევის მიმართ და მისგან იქმნება შურისმაძიებელი დამნაშავე.

მწერალი მაინც იმ ადამიანის მხარეზეა, რომელიც შეუპოვრად ერკინება ბედის მიერ მისთვის წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოს და ადამიანური თვისებებით, ვაჟკაცობით, შეუპოვრობით იმორჩილებს გარემოს, ბატონობს მასზე. ყოველივე ეს კარგად ჩანს მის რომანში ჯაყოს ხიზნები. რომანში თეიმურაზის ბედის ემბლემად წარმოდგენილია საფრთხოებელა. ამას თვით იგი აღიარებდა, თითქოს მექანიკურ სათამაშოდ იქცა, რომელი,

მხოლოდ ჯაყოს ნებისმიერ სურვილს ასრულებდა. მისი ერთადერთი იმედი-ბედი მღევარია, რომელიც მისი რწმენით, აუცილებლად წამოეწევა ჯაყოს და მას, თუ არა მის შვილებს მაინც „კბილებით დაჰგლეჯს შამფურზე შესწავას ნელ ცეცხლზე მოხრაკავს. იგი იმ იმედით ცოცხლობს, რომ ერთ დღესაც მივა თავის წამებულ მარგოსთან, დანაშაულს აღიარებს ცოდვას მოინანიებს და პატიებას სთხოვს მაგრამ ამგვარი ფიქრები მხოლოდ ბურანში წასულს ეწევა ხოლმე. ხევისთავი „დაყულებული შიო მღვიმელივით“ იცდის. ეს მოლოდინი ერის ბედის წინაშე ქართველი ინტელიგენციის უმადლესი პასუხისმგებლობის განცდაა, ამ მოლოდინმა ფეხზე უნდა დააყენოს თეიმურაზი და ერის თავისუფლებისათვის აამოქმედოს.

სწორედ, ბედმა დააკავშირა მარგო და თეიმურაზი. ორივე უკანასკნელი შთამომავლები იყვნენ თავიანთი გვარის, ორივე დედისერთაა, ამიტომაც შეახვედრა და დააკავშირა ბედმა ისინი ერთმანეთს. ჯაყოს კი ხან სწყალობს ბედი და ხან თვითონვე იტაცებს სხვის ბედს და ბატონობს მასზე. ჯაყო რომანში წარმოდგენილია როგორც ბნელი ძალა, რომელიც ანადგურებს და სპობს სინათლეს. ჯაყოსნაირები ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ და საზოგადოდ ადამიანში ცხოველური საწყისის გააქტიურებას მოწმობენ. მან იოლად აუღო ადლო ცხოვრებას, ყველაფერზე „ჩემია ჩემიას“ გაიძახოდა. თვით თეიმურაზს თავის თავისთვის და მარგოსთვის რომ ყურადღება გამოეჩინა და ჯაყოსათვის არ მიეცა საშუალება წაერთმია მისთვის კუთვნილი ქონება, მამული ცოლი. ასეთი ტრაგიკული ბედი არ ექნებოდა მის ცხოვრებას მაგრამ განათლებულ თეიმურაზს აჯობა უმეცარმა და უსწავლელმა ჯაყომ, რაც ბედისა და ბედისწერის პრობლემას უფრო ამაფრებს.

**განათლების რეფორმა და ეროვნული
სასწავლო გეგმა
(ასპინძის საჯარო სკოლის მახალითხე)**

ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა მოითხოვს ახალ მიდგომებს სასწავლო პროცესში, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმა. იგი ორიენტირებულია შედეგებზე და მის დემონსტრირებაზე. მოსწავლემ არა მარტო უნდა შეძლოს გარკვეული ცოდნისა და უნარების ფლობის ჩვენება, არამედ ისიც, რომ შეუძლიათ მათი ეფექტურად გამოყენება. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლისა და აღზრდის ერთიანობას, ორიენტირებულია ყველა მოსწავლის წინსვლასა და მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ეს მოთხოვნები მასწავლებლებისაგან დიდ შრომას, შემოქმედუნარიანობას, პროფესიულ კვლევა-ძიებასა და მუდმივ პროფესიულ განვითარებას მოითხოვს.

აღბათ, ყველა ცვლილება სიცოცხლისუნარიანი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მის გააზრებასა და დაგეგმვაში ისინი მონაწილეობენ, ვისაც ეს ცვლილებები პირველ რიგში შეეხება. ამიტომ განათლების სამინისტრომ ახალი დოკუმენტების, მასწავლებლის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების, შექმნაში ჩართეს მასწავლებლები. ამ მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, როგორც მასწავლებლის საქმიანობის მთავარი შემფასებლები.

ამ მიზნით შეირჩა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული ტიპის 31 სკოლა, აქედან 13 საპილოტე. საპილოტე სკოლების აქტიური ჩართვა მიზნად ისახავდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების ასახვას მასწავლებლის პროფესიულ და ეთიკის სტანდარტებში. მთლიან პროცესში მონაწილეობა მიიღო 713-მა მასწავლებელმა, 930-მა მოსწავლემ და 775-მა მშობელმა.

სხვადასხვა სკოლაში მოსწავლეებისა და მშობლების მიერ გამოთქმული მრავალი მოსაზრება დაემთხვა ერთმანეთს. ბევრი მოსწავლე მიიხიევს, რომ მასწავლებელი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლის პიროვნებას, იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი, პატიოსანი და განათლებული, შეეძლოს საინტერესო გაკვეთილების ჩატარება.

მშობლების აზრით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლე ხარისხიანი განათლებით, ითანამშრომლოს მშობელთან და იზრუნოს თითოეული მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე.

პედაგოგიურ საქმიანობას მაღალი მოთხოვნები წაუყენეს თვით მასწავლებლებმაც. საკუთარი პროფესიული კომპეტენციები სამ ასპექტად ჩამოაყალიბეს: პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარჩვევები და პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები.

განვიხილოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მათემატიკის სწავლების კონცეფცია. თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ფართოდ გამოიყენება საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში, მედიცინასა და ეკონომიკაში. აღსანიშნავია მათემატიკის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის განვითარებასა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

მათემატიკის სწავლებისას ძირითადი ფოკუსის გადატანა (როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული ხასიათის) პრობლემების გადაჭრაზე აძლიერებს მოსწავლეთა ენთუზიაზმსა და აღძრავს ინტერესს მათემატიკისადმი.

მე ჩავატარე გამოკითხვა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ასპინძის საპილოტე სკოლაში. გამოკითხვა ეხებოდა განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ იმ რეფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად სწორედ საპილოტე სკოლებს შეეხო.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საპილოტე X'-XI კლასის მოსწავლეებმა და მათემატიკის მასწავლებლებმა. რესპოდენტებმა უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა

საპილოტე კლასების მათემატიკის პროგრამებს, სადაც დაამატეს რამდენიმე ახალი საკითხი.

მოსწავლეებმა აღნიშნეს ახალი პროგრამების სირთულის შესახებ. მათგან განსხვავებით მოსწავლეების თქმით, ნამდვილად არ არის რთული ახალი საკითხები და ისინი საჭიროა მოსწავლეების სწავლის შემდგომი ეტაპისათვის.

ნინო კაპანაძე

ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული იდიომები

იდიომი ენის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ის გვხვდება როგორც სალაპარაკო ინგლისურში, ასევე სლენგში, პოეზიაში, შექსპირის ენასა და ბიბლიაშიც კი. რა არის იდიომი? ის არის სიტყვების ნაკრები, რომლის მნიშვნელობაც მისი შემადგენელი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობებისაგან სრულიად ან ნაწილობრივ განსხვავდება.

ინგლისური ენა მდიდარია იდიომური გამოთქმებით. ფაქტიურად რთულია ინგლისური საუბრის გაგება მათი ცოდნის გარეშე.

დადგენილია, რომ იდიომი უფრო დიდხანს აგრძელებს ენაში არსებობას, ვიდრე ცალკეული სიტყვები. რა თქმა უნდა, არსებობს იდიომი, რომელიც წინათ უფრო იხმარებოდა და ის ახალმა შეცვალა, მაგრამ ძირითადად ისინი მტკიცედ არიან დამკვიდრებულნი ენაში. მათი გამოყენება საუბარს ემოციურობას მატებს.

იდიომი განსხვავებული ფორმისა და სტრუქტურისაა. ის შეიძლება იყოს ძალიან მოკლე, ან საკმაოდ გრძელი. მათი უმეტესობა არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის კომბინაციითაა შექმნილი.

ბევრი იდიომი უკავშირდება ადამიანის სხეულის ნაწილებს, ცხოველებს, ფერებს, ამინდს ან უბრალოდ რომელიმე ზმნას, არსებით ან ზედსართავ სახელებს.

განსაკუთრებით დამაინტერესა ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებულმა იდიომებმა. შევეცადე ამომეკრიფა უფრო ხშირად გამოყენებული იდიომები და მომეძია მათი ზუსტი ქართული შესატყვისები.

HEAD - თავი

1 from head to foot/toe - covering your whole body

მისი ქართული შესატყვისია - თავიდან ფეხებამდე.

2 be banging, etc your head against a brick wall - to keep trying to do sth that will never be successful.

მისი ზუსტი ქართული შესატყვისია - თავი ახალო კედელს.

3 head first - moving forwards and downwards with your head in front of the rest of your body.

ნიშნავს - თავადებით, წინდაუხედავად

NOSE - ცხვირი

1 poke/stick your nose into sth - to try to become involved in sth that does not concern you.

ნიშნავს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას

2 with your nose in the air - in a way that is unfriendly and suggests that you think you are better than other people.

ნიშნავს - ცხვირაბზუებულს.

TOOTH - კბილი

1. grid your teeth - to bite your teeth tightly together. ნიშნავს კბილების კრაჭუნს

ამგვარად, იდიომი არის ფრაზა, რომლის მნიშვნელობის გაგება ზოგჯერ იოლია, უდიდეს შემთხვევაში რთული, ზოგჯერ კი შეუძლებელიც, იმ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობების გათვალისწინებით, რომლებსაც ის შეიცავს.

ნათია კბილაშვილი

მოსწავლეთა აზროვნების დონეების საკითხი სკოლის დაწყებით საფეხურზე (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით)

სააზროვნო უნარჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. სწავლების გასაუმჯობესებლად აუცილებელია სასწავლო მიზნების ზოგადი ფორმულირებების კონკრეტიზაცია სასურველი შედეგების გათვალისწინებით.

სწორედ, სასწავლო პროცესის ტექნოლოგიური აგების არსი მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებზე და სწავლის შედეგებზე ორიენტაციაში მდგომარეობს. პედაგოგიკის თეორიაში ცნობილია ამერიკელი მეცნიერის ბენჯამენ ბლუმის მიერ შემუშავებული პედაგოგიური მიზნებისა და აზროვნების დონეების სისტემა, რომელიც ბლუმის ტაქსონომიის სახელით არის ცნობილი.

სიტყვა “ტაქსონომია” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს თანმიმდევრობით დალაგების კანონზომიერებას; ზოგადად, ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების ნაკრები ან სტრუქტურა.

ბლუმის მიხედვით, აზროვნების უნარი შეიძლება დაიყოს ექვს დონედ, კერძოდ: ცოდნის, გაგების, გამოყენების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების დონეებად. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეში. დავინტერესდით ბლუმის აზროვნების დონეების შესაბამისი უნარჩვევების განვითარებით. საკითხი შევისწავლეთ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესზე დაკვირვების გზით.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები გარკვეულ სირთულეს აწყდებიან აზროვნების ზედა საბი დონის – ანალიზის, სინთეზისა და შეფასების – დავალებების შესრულების დროს. მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი მუშაობს აზროვნების ქვედა დონის შესაბამისად, კერძოდ, ცოდნის, გაგებისა და გამოყენების დონეზე. მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ აზროვნების ზედა დონეების აქტივაციაში. შესაბამისად, მოსწავლეთა უნარებიც არ არის სათანადოდ განვითარებული.

ლელა კულუმბეგოვა

“გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევლად დაველირები”

XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა იცნობს თანამედროვეთა პატრიოტული სულისკვეთების გამოდგილების რამდენიმე სახეს. ერთი მათგანია ისტორიული წარსულის მოხმობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას “ბახტრიონი,” რომელიც ეძღვნება 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთ ეპიზოდს, კერძოდ, თუშ-ფშავესურთა ლაშქრის მიერ ბახტრიონის ციხის აღების ისტორიულ ფაქტს. როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპყრობელობის ქვეშ მოქცეული საქართველო ეძებდა გმირს (“ვინ აღმოჩნდეს გმირი”, გრიგოლ ორბელიანი “იარაღის”; “იგი აღარ გვევას, მის მოედანი ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა” – ილია ჭავჭავაძე –“აჩრდილი”, “გმირებს უძახის, უყვირის, ჩემი დაფი და ნალარა” – აკ. წერეთელი “ჭაღარა”), რომელიც ეროვნულ დამოუკიდებლობას აღუდგენდა ქვეყანას. ვაჟაც ამ ტრადიციის გამგრძელებელია. ფრაზა “გმირთა სამარეს, როგორც ხატს სამთხვევლად დაველირები” საინტერესო კონტექსტშია გაუდგურებული. ფაქტობრივად, ამ ფრაზით შემოპყავს ავტორს თხზულებაში სანათა, მოქმედება იწყება

ფშაველთა სალოცავით. ღვთისმსახურების წესს ქალი ასრულებს, რადგან მამაკაცები მტერთან ბრძოლაში გაწვევტილან. გაოცებული სანათა კვირიას ეუბნება: “აღარ მეგონა, თუ მამრი კიდევ მიწაზე დადისა”. ნაქერალასთან კი თუშეთის ლაშქართან შესაერთებლად ფშავესურების ლაშქარი მოეშურება. დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება კითხვა: როგორ? პასუხი ერთია, ის, რაც რეალურ ცხოვრებაში დაუშვებელია, მხატვრულ შემოქმედებაში შეიძლება დასაშვებად იქცეს. ვაჟას რწმენით, მამულისათვის ბრძოლაში მკვდარი გმირები ცოცხლდებიან, საფლავებს გამოამტვრევენ, ხელში იარაღს აიღებენ და მტერს შეებრძოლებიან. პოეტისთვის ამიტომაც გმირთა სამარე სალოცავი ხატი.

თინათინ ლაბაძე

ამინდის გამომწვევი მაგიური მოქმედებები

ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობს, ბუნების ძალები თვის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგალითად, ამინდის შესაცვლელად ათასგვარ მაგიურ-რელიგიურ რიტუალებს ატარებდნენ. აღნიშნული რიტუალები ზოგჯერ დღესაც ტარდება.

ამინდის შეცვლისათვის ამ მოქმედებათა გარკვეული ნაწილი იმიტაციის პრინციპს ემყარება, ზოგი პროვოცირების მეთოდს იყენებს, ზოგი კი მოქმედებათა მთელ მწკრივს შეიცავს, სადაც ყველა შესაძლებელი “მეთოდი” გამოყენებული. ანალოგიური მოქმედებები საქართველოშიაც ფართოდ არის გავრცელებული. სასურველი ამინდის, მაგ. ქარის ჩადგომის მიზნით, ძველად სცოდნიათ ცოცხისა და ფილთაქვის დაბმა და ასევე იცოდნენ ნაცრის გადაყრა, რასაც სიყრმის შვილს დაავადებდნენ. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ რიტუალებში

განსაკუთრებული როლი ენიჭება სიყრმის (პირველ) შვილს, რომელიც მთხრობელთა სიტყვით, ყველა საწესო მოქმედებების შემსრულებლად გვევლინება.

მეურნეობას განსაკუთრებულ ზიანს აყენებდა სეტყვა. სეტყვა რომ წამოუშენდა, გარეთ გაიტანდნენ და ამობრუნებულს ტოვებდნენ ზედადგარს (სამფესს), ნაცარსაც მიმოფანტავდნენ, თან გაიძახოდნენ: ასე განიავდი სეტყვა-სეტყვის მარცვლებს სიყრმის შვილებს უბეში უყრიდნენ და აყლაპებდნენ კიდევ, თან გავის გამგებელი ელია ბრმად მიანხდათ, ამიტომ ხმაურის საშუალებით ხალხი ცდილობდა გაეგებინებინა ელიასთვის, რომ აქ სოფელი იყო და ისიც მორიდებოდა ნათესებს.

ამინდის შეცვლისათვის, განსაკუთრებით საწვიმრად, ხშირად მიმართავდნენ სხვაგვარ პროგოკაციულ საქციელსაც, ნაკელით გასვრიდნენ ამინდის სალოცავ ქალქებს. მაგ. რაჭაში წყალს ამოხაპავდნენ ღორის ტყავის ქალამნებით, ან შიგ საქონელს აბანავებდნენ, სამხრეთ საქართველოში ვირებს მდინარეში ჩაყრიდნენ ხოლმე და ა. შ. წვიმის გამოსაწვევად ხალხი ბანაობდა, იწუწუბოდნენ და ერთმანეთს წუწავდნენ, წვიმის გამომხმობელთა გაწუწვა სცოდნიათ ჭობარეთში. აქური წესის მიხედვით სამი მოხუცი ქალი ჩაჯდებოდა ქვებში ერთმანეთზე ზურგით მიყუდებულები და მღეროდნენ. მერე მივიდოდნენ სხვები წყალს გადაასხამდნენ მხოლოდ წვიმის გამომხმობის მიზნით, ხოლო თუ დარი უნდოდათ, ნაცარსა და ნაღვერდალს მოაფრქვევდნენ.

წვიმის გამოწვევის მაგიური საშუალებებიდან საქრთველოში გავრცელებული ყოფილა ქვის გადაბრუნება. იმერეთში, კერძოდ, შროშაში, იმ ადგილას სადაც ქვა დგას ელიაწმინდას უწოდებენ, ქვას კი ელიაწმინდის ქვას-ეს ადგილი სოფლიდან 1,5-2კმ-ით არის დაშორებული. სოფელში ქარი რომ ამოვარდეს, ელიაწმინდაზე ნიავი თუ დაუბერავს მხოლოდ. შროშელებს სწამდათ (და ეხლაც სწამთ უმრავლესობას), რომ თუ ქვას ღვინოში გარეული წყლით დაბანდნენ, აუცილებლად გაწვიმდებოდა.

ელიაწმინდის ქვასთან დაკავსირებით არსებობს ასეთი გადმოცემა: ერთ გლეხს მისგან ეზოში ქვის მაგიდის გაკეთება მოუნდომებია, ქვა წმოულია ელიაწმინდიდან. ღამით გლეხს სიზმარი უნახავს, სადაც ქვა “ეუბნებოდა “,რომ თუ ადგილზე არ დააბრუნებდა, დედაბუდიანად და გვარჯიშიანად გაწყვიტავდა. ქვა გლეხს თავის ადგილზე დაუბრუნებია. შემდეგ ეს ქვა ისე დაუცემენტებიან, რომ მისი გადაბრუნება უბრალოდ აღარ შეიძლება. ქვასთან სანთლებს დღესაც ანთებენ. სოფლის უხუცესებისთვის ეს ქვა დღესაც სასწაულმოქმედად ითვლება.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებულია ქვის “შეურაცხყოფაც“.

მაგალითად, ქართლში, სოფ. დმანისში დევს ცნობილი მოზეერა ქვა. ამ ქვასთან გვაღვისას მოდიან ქალები კეცებითა და სანთლებით, თან მოჰყავდათ ქალიშვილები, რომლებიც ქვის გადაბრუნებაში ეხმარებიან უფროსებს. გადაბრუნებისას გოგონები ქვას შარდით ასველებენ, ხოლო შემდეგ სანთელს აუნთებენ მას.

მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ამ წესში სხვადასხვა დროის ფენები იგრძნობა. ქვის გადაბრუნების უძველესი წესის გვერდით ვხედავთ ასევე ძველს, მაგრამ დამოუკიდებელ წესს წყლის განმგებლის შეურაცხყოფისა, რამაც უნდა აამოქმედოს ეს უკანასკნელი. რაც შეეხება სანთლის დანთებას, იგი ქრისტიანობიდან არის შესული.

ლაზარობა-გონჯაობის წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია დამოწმებული და მცირე განსხვავებებს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად, ერთი და იგივე სახით სრულდება. “ლაზარობა-გონჯაობას” ორმხრივი დანიშნულება ჰქონია. მას გამართავდნენ როგორც დარის ისე ავდრის დროს, ოღონდ სავედრებელ ტექსტში ღვთაებას საჭიროების მიხედვით შესთხოვდნენ მზიან თუ ღრუბლიან დარს. იმერეთში ლაზარეს გონჯას უწოდებდნენ. გონჯაზე წავიდოდა 10-12 ქალი, ამთგან ორი ახალგაზრდა, გაუთხოვარი, ფეხშიშველა უნდა ყოფილიყო. ორ ქალს აირჩევდნენ გონჯად და პირს ნახშირითა და ტალახით შეუმურავდნენ ანუ “შეუგონჯავდნენ”. ეს პროცესია კარდაკარ

ჩამოივლიდა. ყველა ეზოში შევიდოდნენ და სიმღერას იტყოდნენ. ამ დროს მოხუცი ქალი თან მოტანილ სანთელს აანთებდა, დაიოქებდა და ღმერთს სისველეს შესთხოვდა. ახალგაზრდა ქალებს უსათუოდ გაწუწუვდნენ ხოლმე.

კახეთში გავრცელებული ყოფილა “დიდებაზე” დავლა, რადგან “დიდებაზე” დავლა სერიოზულ რელიგიურ საქმედ ითვლებოდა, გონჯაობისაგან განსხვავებით ამ რიტუალში ბავშვებს არ გაირეკდნენ.

დიდებაზე სიარული სამცხე-ჯავახეთშიც სცოდნიათ.

მარგალიტა ლომაშვილი

პესიმისტური განწყობილებები ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში

ნაშრომი უშუალოდ შეეხება მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე რომანტიკოსებს, ბაირონს და ბარათაშვილს, კერძოდ კი პესიმისმს მათ შემოქმედებაში. აგრეთვე ვისაუბრებთ მათ საერთო პრობლემატიკაზე, თუ რა საერთო და განმასხვავებელმა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მათ სულიერ მდგომარეობაზე, პარალელებს გადავლებთ მათ შემოქმედებით თავისებურებებზე.

კრიტიკოსები არაერთ ვერსიას განიხილავენ თუ რა იყო საერთო გამომწვევი მიზეზი პესიმისტური განწყობილებისა ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში.

მაგალითად, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მრავალი პრობლემა აწუხებდა მოაზროვნე ადამიანს კაცობრიობის კულტურული განვითარების მანძილზე, რომელთანაც ბევრი “არაა უშუალო კავშირში ამა თუ იმ ქვეყნის, ან ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკრი წყობილებით შექმნილ კონკრეტულ – ისტორიულ ვითარებასთან. ასეთ პრობლემათა არსისა და აზრის პრობლემათა წარმოდგენა, პრობლემა ადამიანის რიგს ადამიანის სიცოცხლის

დასაბამისა და მისი დასასრულის გარდაუვალობაა და ამ მხრივ კი არსებული კონკრეტული ვითარება, თუნდაც საურველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო, – “კონსტიტუცია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, გინდ სოციალიზმის დამყარება, ვერ დააშოშმინებსო ადამიანის გულს, ინდივიდუალობით შევიწროებულს, – სიკვდილის წინაშე მდგომარეს და სიკვდილის დათრგუნვის სურვილით შეპყრობილს”.

მართლაც, შეუძლებელია დასმული პრობლემის უარყოფა. სიკვდილ-სიცოცხლის აზრისა და სიკვდილის, როგორც ყოველი ინდივიდის აუცილებელი დასასრულის პრობლემა, მუდამ იყო და დარჩება ადამიანის დაფიქრებისა და მისი სულის საცნაურყოფის საგნად, მაგრამ ეს ცნობიერების ფორმირებისა და თავისებურებებისათვის, ყოფიერების გადამწყვეტი მნიშვნელობის უარყოფის უფლებას არ იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაირონი ბრწყინვალე წარმომადგენელია დიადი და ამაყი ბრიტანეთისა, ხოლო ბარათაშვილის ეპოქის საქართველო კი განიცდის რუსეთის მიმე უღელს და ჩაგვრას, ორივე მათგანის შემოქმედებაში იგივე სევდაა და იგივე სურვილი საზღვარდადებული ბუნების განხილვისა.

თუ დავუშვებთ, რომ ბარათაშვილის პესიმიზმის გამომწვევი მიზეზი იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარებაა, მაშინ რამ განაპირობა პესიმიზმი ბაირონის შემოქმედებაში?

რეალურ პირობებს, რა თქმა უნდა დიდი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნების შემუშავებაში. ამ პირობების ზეგავლენით ხშირად იღვიძებს ადამიანის გულში უკმაყოფილება, მაგრამ ის აზრი, რომ სოციალურ-პოლიტიკური წყობილება ლოგიკურად არის დაკავშირებული მარადისობისა და ამოობის პრობლემასთან, მაინც შეუძლებელია.

ამრიგად, ამ ორი დიდი პოეტის პესიმიზმის განმაპირობებელია არა სოციალურ-პოლიტიკური გარემო, არამედ მათი სულიერი მდგომარეობა.

გურანდა მოდებამე

ეკატერინე გაბაშვილის 'თინას ლექურისა' და ჯეკ ლონდონის 'ხორცის ნაჭერის' ძირითადი პრობლემატიკა

სოციალური პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, როგორც 60-იანელთა ისე ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში. ჩვენთვის საინტერესოა სოციალური პრობლემებიდან ერთი კონკრეტული საკითხი. ეს არის შიმშილის პრობლემა, რომელიც ძირითადად ხალხოსანთა შემოქმედებაში გვხვდება. კერძოდ, ეკატერინე გაბაშვილის პროზაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი მოთხრობა „თინას ლექური“, რომელშიც შიმშილის თავიდან ასაცილებლად პერსონაჟი ირჩევს საინტერესო და ორიგინალურ გზას – იცეკოს ბატონის ოჯახში საზეიმოდ დღეს და ამით გამოკვებოს დამშეული შვილიშვილები.

მართალია, თინას ცხოვრებაში მოულოდნელად იძაბება სიტუაცია, რომელშიც ადამიანს თავგანწირვის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენია, მაგრამ ასეთ შემთხვევებსაც აქვს თავისი ლოგიკა, რომელსაც ხელოვანმა გუმანით უნდა მიაგნოს.

საცოდავი მოხუცებული ქალი თინა გაუბედურებულ ცხოვრების მიუხედავად გმირი ქალია, რომლის სიკვდილმაც უსუსურ შვილიშვილებს სარჩო გაუჩინა.

ანალოგიური პრობლემა გვხვდება, როგორც ევროპულ ისე ამერიკულ ლიტერატურაში კერძოდ, ჯეკ ლონდონის მოთხრობაში „ხორცის ნაჭერი“.

ერთი შეხედვით შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს ანალოგიის ძებნა ამერიკულ პროზაში და მისი შედარება ქართველი მწერლის მიერ ასახული ქართული ოჯახის გაჭირვებასთან, მაგრამ ფაქტია ჯეკ ლონდონის პერსონაჟები ტომკინგი და მისი ოჯახიც განიცდის მწვავე მატერიალურ ნაკლებობას, რაც უშუალოდ შიმშილის ფონზე აქვს მწერალს ასახული. მოკრივე, რომელიც მეორე დღეს უნდა გავიდეს რინგზე,

წინა დღით თითქმის უვასშმთ იძინებს. კინგი უფრო რთულ გზას ირჩევს შიმშილის დასაძლევად. იგი რინგზე ცდილობს მოიპოვოს ლუკმა-პური, მასაც მშვიერი შვილები ელოდებიან სახლში. თვალისა და გონების მშვენიერება შერწყმული სახით არსებობს კინგის პიროვნებაში, რომლის დაშორებითაც არ გვექნებოდა სასურველი შედეგი. გაჭირვების ასპექტში ხორცის ნაჭრის ნაწილობრივი ანალოგია მოგვეპოვება ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაში „ტრაგედია უგმირთ“, რომელშიც ასევე უკიდურესი შიმშილობის გამო მამა კარგავს ცნობიერებას და მეზობლისაგან ნასესხები ფქვილით გამომცხვარ ჭადს მთლიანად თვითონ შეჭამს, ასევე ჯეკ ლონდონის პერსონაჟი თვითონ შეჭამს იმ საწებელს, რომელსაც ცოლი გაჭირვებისათვის ინახავდა. ლიზი საგანგებოდ გაუმასპინძლდა კინგს, როდესაც იგი რინგზე გამოსვლას აპირებდა, ხოლო შვილები ლოგინში დააწვინა, რომ შიმშილი დაევიწყებინა მათთვის.

ამდენად, ეს სამი ნაწარმოები: ჯეკ ლონდონის „ხორცის ნაჭერი“ ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკური“ და ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმირთ“ ერთ ძირითად პრობლემას ეხება და მცირეოდენი განსხვავებული ასპექტებით არის წარმოჩენილი შიმშილის განცდით გამოწვეული სირთულეები, რომლებიც მეტ ნაკლებად განსხვავდებიან სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში.

სხვადასხვა მწერლის მიერ პრობლემის სხვადასხვაგვარი ან თავისებური გაშუქება, ემოციის სიმწვავე, მისი მკითხველამდის მიტანის განსხვავებული გზები, სტილი და მხატვრობის მრავალფეროვნებაა ნაწარმოების მთავარი არსი.

ნინო მჭედლიშვილი

ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების საკითხისათვის

2006 წლის სექტემბერში საქართველოს საჯარო სკოლებში დაიწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. იგი დაეფუძნა პრინციპებს:

- ორიენტაცია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე;

- ორიენტირება ცოდნის ხარისხზე და სწავლის შედეგებზე;

- უნარ-ჩვევების განვითარება და ცხოვრებისათვის მზადება.

ზოგადი განათლების თითოეული საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრა:

- აუცილებელი საგნები და საგნობრივი ჯგუფები;

- საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა;

- სავალდებულო და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა;

- საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა;

- სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები.

ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება ასევე თითოეული კლასის ან საფეხურის დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის (ან საფეხურის) დამთავრებისას. ამასთანავე, ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. სკოლები უკვე მუშაობენ გეგმის შესაბამისად.

ჩვენ დავინტერესდით სკოლებში ეროვნული გეგმის განხორციელების საკითხით და ამისათვის შევარჩიეთ კონკრეტული

სკოლა – ქ.ხაშურის №4 საჯარო სკოლა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასულ წელს აღნიშნული სკოლის მაგალითზე ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა საკითხი “განათლების რეფორმა და სიხსნეები სკოლაში”. აღნიშნულ სკოლაში წარმატებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები: “იაკობ გოგებაშვილი”, “ირმის ნახტომი”.

ერთიანი ეროვნული გეგმის განხორციელების შესწავლის მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნულ სკოლაში პერიოდულად ვაწარმოეთ დაკვირვება; ჩავატარეთ გამოკითხვა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

დაკვირვების საფუძველზე ვთვლით, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. თუმცა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები არაერთგვაროვანია; მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი ჯგუფების სწავლებას მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება. ასევე განსხვავებული აზრია დაფიქსირებული გამოკითხული მოსწავლეებისა და მოსწავლეთა მშობლების პასუხებში. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული დამოკიდებულებისა, სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით მიმდინარე სასწავლო პროცესს აფასებენ დადებითად.

თამარ ნახაპეტიანი

ბოლინგვიზმის ერთი ნიმუშისათვის სოფელ საძელის მაგალითზე

1828 წელს არზერუმის გუბერნიის სოფელ ჰუნდიდან ახალციხის რაიონის სოფელ საძელში გადმოსახლდნენ სომხები.

ამჟამად სოფელში ცხოვრობს 130 ოჯახი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლამდე აქ ორჯერ მეტი მოსახლე იყო.

სოფელში ფუნქციონირებს საშუალო (11 წლიანი) სკოლა, რომელიც ააშენეს გასული საუკუნის 50-იან წლებში. სკოლაში დასაქმებულია 20-მდე მასწავლებელი, მათ შორის ქართველებიც, რომლებიც ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას.

სკოლაში სწავლების ენა სომხურია, რამაც, ჩვენი თვალსაზრისით, გაამყარა სომხური ენის პოზიციები როგორც ამ სოფელში, ასევე დანარჩენ სოფლებში (პატარა პამაჯი, დიდი პამაჯი, ხაკი, ყულალისი, სხვილისი, წყრუთი. წირა, ჭალა), სადაც ასევე სომხები ცხოვრობენ. ამ სოფლებში ქართული ენის ფლობა განისაზღვრება გენდერულად. მამაკაცებმა გაცილებით უკეთესად იციან ქართული ენა, ვიდრე ქალებმა. მამაკაცებს შედარებით მეტი კონტაქტი აქვთ ქართულ მოსახლეობასთან, ქალები კი კარნაკეტილად ცხოვრობენ. აღნიშნულ სოფლებში ოჯახებში, ქორწილებში, კრებებზე, თუ სხვა სახის ღონისძიებებზე სომხურად ლაპარაკობენ.

ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით ყველა სომხურ სოფელში სავარაუდო იყო სომხურ-ქართული ბილინგვიზმის გავრცელება, ანუ მშობლიური - სომხური ენა და საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული, მაგრამ სინამდვილეში ზემოხსენებულ სოფლებში გავრცელდა სომხურ-რუსული ორენოვნება, რაც, ჩვენი თვალსაზრისით, საბჭოური ენობრივი პოლიტიკის გადმონაშთია. რუსულის პოზიციების შენარჩუნებას ამ სოფლებში ხელს უწყობს რუსული ენის სწავლება სკოლაში. ჩვენი თვალსაზრისით, რადიკალური ცვლილებები საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში უნდა აისახოს ქართული ენის მდგომარეობაშიც, მაგალითად, სკოლებში ქართული ენა უნდა ისწავლებოდეს უფრო დიდი დატვირთვით და არ უნდა იყოს გათანაბრებული უცხო ენებთან (სამ-სამი საათი ეთმობა ქართულს, რუსულს და ინგლისურ ენებს).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის კომპეტენციის თვალსაზრისით, ახალგაზრდებმა გაცილებით უკეთ იციან ქართული ენა, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ეს

სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სკოლა იძლევა ქართული ენის ცოდნის საკმარის დონეს. საქართველოს მოქალაქე სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას იმისათვის, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს ქართულ ენაზე და შესაბამისად სახელმწიფო სტრუქტურებში იმუშაოს სახელმწიფო ენაზე.

ნანა ნატრიაშვილი

განათლების რეფორმის უმჯ-ჩრდილები ვარხნის საშუალო სკოლის მებაღეითზე

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე სისტემური მუდმივი რეფორმები განაპირობებს სახელმწიფოს მომავალ ეკონომიკურ სიძლიერეს და მის კონკურენტუნარიანობას. იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს გლობალურ ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, აუცილებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა.

მოსწავლის წარმატება და წინსვლა მნიშვნელოვნად მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობაზეა დამოკიდებული. დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმისათვის, რომ მათი პროფესიული ცოდნა თანამედროვე და ახალი ინფორმაციით იყოს გამდიდრებული. მასწავლებელი არ უნდა ჩამორჩეს ახალი ეპოქის მოთხოვნებს, დაეუფლოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და აქტიურად გამოიყენოს ისინი სასწავლო პროცესში.

განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალიზაციას.

ინდივიდუალური თავისებურებების შესასწავლად დაეწესწარი ვარხნის სკოლაში V, IV, VII, და IX კლასის მოსწავლეებს.

მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს ვსწავლობდი ფიზიკური განვითარების, ემოციური გამოვლინების, აღზრდილობის მიხედვით.

ფიზიკური ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებები გამოვლინდა V კლასში, სადაც მოსწავლეს (X, V) ჰქონდა სუსტი მხედველობა და სმენა. სამწუხაროდ ასეთი ნაკლის ბავშვები კლასში იხსდნენ უკან, რაც დაუშვებელია.

ჩვენ ვიცით, რომ ფიზიკური ნაკლი არც დაცინვის, ზედმეტი ყურადღების საგანაც არ უნდა იყოს გარშემომყოფთათვის, ეს ადვილი არ არის, მაგრამ ბავშვის ფსიქოლოგიის მცოდნე, ტაქტიან მასწავლებელს აქაც შეუძლია ნორმალური პედაგოგიური ატმოსფეროს შექმნა.

დაკვირვების შედეგად ცხადი გახდა, რომ VII კლასში არის (ძ,) მოსწავლე, რომლის გონებრივი ინტელექტი დაქვეითებულია საშუალო ნორმასთან შედარებით, აქვს დაუნის სინდრომიც. მისი მახასიათებელი თავისებურებებია ის, რომ შეუძლია ლექსის სწავლა, რაც ახსოვს უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვიდრე კარგ მოსწავლეებს. თუმცა მოსწავლე ვერც მოთხრობის შინაარსს გადმოსცემს და საკუთარი აზრის გადმოცემაც არ შეუძლია.

ამასთან, ყოველი კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა დგას გონებრივ შესაძლებლობათა გარკვეულ დონეზე, რაც ნორმალთვლება მოცემული ასაკისთვის.

IX კლასში არის მოსწავლე, რომელიც ძალიან ნიჭიერი და განსაკუთრებით ძლიერია ისტორიაში. მას აქვს წარმატებები სხვადასხვა სასწავლო ტურებსა და კონკურსებში. ის კითხულობს წიგნებს გამორჩეული ისტორიული მოვლენებისა და მეფეების შესახებ. მასწავლებელი მასთან მუშაობს ინდივიდუალურად – აწვდის მასალას სასწავლო პროგრამის მიღმა.

დავადგინე, რომ VII კლასში არის (ძ,) მოსწავლე, რომელიც იმდენად მორიდებულია, რომ საკუთარი აზრის გამოთქმაც კი ერიდება. ამავე დროს, საკმარისია, მასწავლებელმა რამე ჰკითხოს, რომ ბავშვი ვეღარ ახერხებს გაკვეთილის გაგრძელებას. ამიტომ პედაგოგები ცდილობენ ბავშვს დააცადონ გაკვეთილის მოყოლა და შემდეგ დაუსვან შეკითხვები.

დიდი ინტერესი გამოიწვია იმ კატეგორიის ბავშვების ქცევებმა, რომელთა მშობლებიც დაშორებულები არიან. VI

კლასში იყო მოსწავლე რომლის მშობლები ცოტა ხნის წინ დაშოდნენ ერთმანეთს. ბავშვს დღემდე ვერ უპატივბია დედისთვის მისი მიტოვება. იგი ძალიან ემოციური და ამაყია, დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ბავშვზე განსაკუთრებით მოქმედებდა ის თემები, რომელიც დედაშვილობას ეხებოდა. განსაკუთრებით „იავნანამ რა ჰქნა?“ ბავშვს ცრემლები წამოსცვივდა, როცა ქართულის მასწავლებელი მას დედაშვილობის ძალასა და მადლზე ესაუბრებოდა. მეორე გაკვეთილზე მიცემულ თემაში: „დე, დედიკო, დედა“ ბავშვმა მთელი გული და სული ჩააქსოვა.

გვხვდებიან მოსწავლეები, რომლებიც სათანადო აღმზრდელობითი საუბრების ჩატარების შემდეგაც შენიშნას იმსახურებენ ზრდილობის, თავაზიანობის ნაკლებობით.

ამრიგად, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია ეფექტური სწავლების და აღზრდის ხარისხის მისაღწევად.

სწავლების შინაარსის დიფერენციაციის უმთავრესი ფსიქოლოგიური წინამძღვარია ადამიანის უნარიანობის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი, აგრეთვე მაცნეირების სხვადასხვა დარგისადმი და საქმიანობის განსხვავებული ფორმებისადმი გამოვლენილი მისი მიდრეკილებები, რაც არც თუ იშვიათად ნიჭიერების სახით ვლინდება. ეს მოსწავლის ინდივიდუალურფსიქოლოგიურ თავისებურებებს შეადგენს და მათი იგნორირება სერიოზულ დაბრკოლებად განიხილება პიროვნების განვითარების პროცესში.

ჩვენი დაკვირვებებით ცხადია, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სწავლების მაღალი ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია მოსწავლის სასწავლო-შემეცნებითი დატვირთვის დასაშვები ნორმატიული პარამეტრების გათვალისწინება, რადგან მისაწვდომობის პრინციპების დარღვევა და მოსწავლეთა გადატვირთვა იწვევს სწავლაზე გულის აცრუებას, რაც სკოლის წინაშე წამოჭრილი პრობლემის მთავარ მიზეზად გვევლინება.

გასათვალისწინებელია, სწავლების დიფერენციაციაც, რომლის ძირითადი ფორმაა საკორექციო მუშაობა.

ამ მიმართულებით მუშაობის პროცესში საშუალება გვეძლევა მოსწავლეთა განვითარების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნორმატიული მოთხოვნებიდან გადახრის სალიკვიდაციოდ მისი გამოყენება. კლასებში საკორექციო მუშაობის წინა პირობაა მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი სასწავლო მასალის ათვისების დაბალი უნარი, ან საერთოდ რაიმე მიზეზით ჩამორჩენა. მიგვანჩნია, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა მოსწავლეთა ერთ კლასში გაერთიანება ეგრეთწოდებულ “სუსტ მოსწავლეებს” საკუთარი ძალების რწმენას უნარჩუნებს. ყოველი მოსწავლე, რომელიც ჩამორჩენას დაძლევეს, ტოვებს საკორექციო ჯგუფს. საკორექციო მუშაობის შინაარსი დინამიურობით გამოირჩევა. იგი მთლიანად იმ ვითარებაზე დამოკიდებული, რომელიც კლასში იქმნება პროგრამის ამა თუ იმ მონაკვეთზე მუშაობისას.

თინათინ ტაბატაძე

ქრისტიანული მრწამსი “ვეფხისტყაოსანში”

პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე მნიშვნელოვანია და პრობლემატური ავტორის რელიგიური საკითხი, რომელიც, უპირველესად, ჩვენ უნდა ამოვხსნათ და ამოვიცნოთ თვითონ ტექსტიდან.

ტრადიციული ქრისტიანული იდეალი – კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, სულის უკვდავების და გარდაცვალების შემდეგ ამ უსასრულო ღვთაებასთან შეერთების რწმენა – რუსთაველის შემოქმედებაში ჰარმონიულად ერწყმის ამქვეყნიური რეალობის ფასეულობის შემეცნებას, ადამიანური სამყაროს სიღამაზეში დარწმუნებას, ადამიანური გონებისადმი ნდობის გამოცხადებას

რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ოდითგან დღემდე დიდი დავა მიმდინარეობს იმის თაობაზე, შეგვიძლია თუ არა შოთა

რუსთაველი, თვით მისივე პოემიდან გამომდინარე, მივიჩნით ქრისტიან აღმსარებლად.

ვისაც, ერთი მხრივ, ზერელედ მაინც გადაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი,” ის უთუოდ შეამჩნევს შემდეგს: მის ავტორს სწამს, რომ ადამიანი შედგება ხორცისა და სულისაგან, რომელიც როგორც ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი, ერთი-მეორეს გაეყრებიან. სული იმისი რწმენით არის არამარტო რეალური რამ, არამედ „ზეცით მონაბერი”. როგორც ასეთი ის „ზეცად რბის”, მას აქვს უნარი „აღმაფრენისა”, სადაც ის ინარჩუნებს ინდივიდუალური არსებობის უნარს, უნარს „ნახვისა და სახვისას”. პოეტს სწამს საიქიო ცხოვრება მისი სამოთხითა და ჯოჯოხეთით. პოეტი ქვეყნისა და ადამიანის არსებობის პრინციპად აღიარებს ღმერთს. ღმერთს, რომელიც, „უცნაური და უთქმელია.” ამ შეხედულებიდან გამომდინარე, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, იკვეთება, რომ ავტორი შოთა რუსთაველი ქრისტიანი მოაზროვნეა, რაც პოემაშიც დასტურდება შემდეგი ეპითეტებით: „უცნაური და უთქმელი”, „ყურთგან მოუსმენელი”, „ძალი უხილავი”, „უკამო ჟამი”, „ერთი,” „ცხებული”, „უკვდავი”, „უფალი”, „უფალი უფლებათა”, „მართლისა მბჭობელი”, „შემქმნელი სამყაროსი”, „ხმელთა და ცათა”, „ქვენად ზენასი”, „ქრისტიანული ღმერთი არის კეთილის მომავლინებელი და ბოროტის არდამბადი”, „უხვი”, „სახიერი”, „მფარველი”, „გამკითხველი”, „შემდობი შეცოდებულთა”, „მოწყალე”, „ჭირთა მომლხენელი”, „ნუგეშის მცემი”, „მფლობელი გულის თქმათა”, „მზრდელი ყოვლისა”, „შემწე ყოვლისა მიწიერთა”, და ა.შ რასაც მხოლოდ ქრისტიანი მოიხსენიებდა.

რუსთაველის რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნ. მარის რუსთაველოლოგიური შრომა, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ პოემის ავტორი არის მე-14 ს-ის მაჰმადიანი ქართველი. მისი დამამტკიცებელი არგუმენტები კი შემდეგია, რომ პოემაში გვხვდება მუსლიმანური, არაბული, სპარსული, სიტყვები, ტერმინები, მაჰმადიანური კულტურისა და ზნე-ჩვეულებების გამომხატველია დგილები, რომ პოეტი არსად არ იხსენებს იმას, რომ არის ერთი ღმერთის აღმსარებელი, რომ პოემის

ვაბულა და სიუჟეტი მაჰმადიანურია, პოეტს არ მოჰყავს ციტატები საღმრთო წერილიდან.

ის არგუმენტები, რომლებიც ნ. მარს მოჰყავს, რა თქმა უნდა, ვერ ამტკიცებს პოეტის მაჰმადიანობას. მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული ეპითეტებით უთუოდ დასტურდება, რომ მისი პოემა ქრისტიანულ სივრცეშია გაშლილი.

შოთა რუსთველი რომ ქრისტიანია ეს მჟღავნდება შემდეგიდან: პოეტი იცნობს ქრისტიანობის ზოგ რიტუალს. პოემაში გვაქვს ქრისტიანული აზრი, მან იცის უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული რომელსაც „აღდგომა“ ან „აღვსება“ ეწოდება. და მასთან დაკავშირებული სიხარული, რომლის სიმბოლოდ წითელი ფერი იყო მიღებული.

პოემის ავტორი რომ ქრისტიანი აღმსარებელია, ამის საუკეთესო დადასტურება პოემაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი, კერძოდ, ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს შემოსვლისას წარმოთქმული შედარებაა: „მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა. მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა პირს აღვსებისა“.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ “ვეფხისტყაოსნის” ავტორი ნამდვილად ქრისტიანი აღმსარებელია.

საკითხის საერთო სირთულიდან გამომდინარე, ძნელია დამოუკიდებელი პოზიციის დადასტურება, მაგრამ შევეცადე მეჩვენებინა ის დეტალები, რომლებიც გვიჩვენებენ რუსთველის რელიგიურ მრწამსს.

ლელა ტატურაშვილი

ქალის როლი რელიგიაში (სვანეთის მაბალითზე)

ქალს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რელიგიურ რიტუალების შესრულებაში. არის ისეთი დღესასწაულები, სადაც

რიტუალის მონაწილეები და შემსრულებელი მხოლოდ ქალები არიან. ასეთებია მთელი რიგი საოჯახო დღესასწაულები. ამ თვალსაზრისით საქართველოს სხვა კუთხეებს შორის მეტად საინტერესოდ ჩანს სვანური რელიგიური რიტუალების შესრულების წესი, სადაც უფრო კარგად ჩანს ქალის როლი და ადგილი რელიგიაში.

სვანეთში ზოგიერთ რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებდნენ. მაგალითად: მარხვის დროს, ყველიერის ხუთშაბათს “დედლების ხუთშაბათი“ ერქვა. ამ დღეს მანდილოსნოები დუღს მართავდნენ. დული ცნობილი იყო, როგორც საქალებო რიტუალი, რომლის შესრულებას კაცები ვერ დაესწრებოდნენ. სახლიდან კაცების გასტუმრების შემდეგ, მანდილოსნები ფეტვის ან სიმინდის ფქვილის ფაფას მოხარშავდნენ, ფაფიან ქვაბს სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მიწაზე მოათავსებდნენ. სახლის უფროსი მანდილოსანი ქვაბს წადმა (მარჯვნივ) დაატრიალებდა და ლოცულობდა ბარბოლის სახელზე, რომელსაც წველის ბარაქას, მეწველი საქონლის გამრავლებას, ქალების ჯანმრთელობასა და მათ ყოველ საქმეში გამარჯვებას შეევედრებოდა. შეწირული ფაფა დუღის მონაწილეთა გარდა სხვას არავის ეჭმეოდა.

ბალს ქვემო სვანეთში, სოფელ ლახამულას აღმოსავლეთიდან აკრავს მთა, რომლის ფერდობზე ნაძვებით შეფენილ ადგილზე დღემდე დაცულია, ყორის ნანგრევი. ეს ადგილი ქალების სალოცავად იყო მიჩნეული და თოდრი ეწოდებოდა. ახალკვირიდან სულიწმინდის მოფენის დღემდე შაბათობით თოდრში მიდიოდნენ ქალები. ყოველ ქალს თავისი ოჯახიდან მიჰქონდა საზედაშე არაყი, სანთელი, პურის ცომი და ყველი. ცომსა და ყველს ერთად დააგროვებდნენ და ხაჭაპურს გამოაცხობდნენ. საზედაშე არაყსა და სანთელს ბარბოლს შესწირავდნენ და თან ევედრებოდნენ შეწირული საქონლის გამრავლებას და წველის ბარაქას. შემდეგ იქვე სუფრას გაშლიდნენ და ნალოცს სასმელ-საჭმელს შეექცეოდნენ.

სულიწმინდის მოფენის მომდევნო ორშაბათიდან შაბათამდე, ქალები იკრიბებოდნენ რომელიმე მანდილოსნის ოჯახში. თითო-

ეულ მათგანს ოჯახიდან თავისი სამყოფი ფქვილი და ყველი მოჰქონდა. ყველსა და ფქვილს შეაერთებდნენ, ხაჭაპურს გამოაცხობდნენ, ბარბაღეს შესწირავდნენ უფროსი მანდილოსნის საშუალებით, რომელიც ამ დროს ასე ილოცებოდა: – „დიდება შენდა ბარბაღე, ანგელოზო, მეწველი და საუღლე საქონელი გაამრავლე, ამ წლის თოთოები კარგ გულზე გვიყავი საქონელსა და ადამიანს ყველას“.

ასევე სოფელ ფარის პირდაპირ მდებარე გორაკზე, არის დავაკებული ადგილი, სადაც ოდესღაც სალოცავი შენობა მდგარა. აქა-იქ სხვადასხვა საგნებს შორის არის რკინის მრგვალი, შუაზე მრგვალადვე გახვრეტილი საგნები, რომელთაგან ზოგი კვირისტავი იყო. კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ ამ სალოცავში კვირისტავები ქალების მიერ ყოფილა მიტანილი და ბარბოლის სახელზე შეწირული (ისინი დღემდე ხელუხლებლად დაიცვა ხალხში გავრცელებულმა შეხედულებამ, თითქოს ბარბოლის სალოცავიდან მათი გატანა უბედურების მომასწავლებელი იყო). დღესაც სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩნენია, როდესაც სვანის ოჯახში უშობელი მოიგებდა, ოჯახის ძროხების მწველავი ქალი გამონახავდა კვირისტავს. მას ახლად მოგებულ ძროხას ჯიქანქვეშ შეუშვერდა და ცალი ხელით ძროხას ჩამოწველიდა, ისე რომ რძის ცვარი აუცილებლად კვირისტავის ნახვრეტში გასულიყო. შემდეგ ამ კვირისტავს და საგანგებოდ გამოცხობილ ყველისგულიან კვერს სალოცავში წაიღებდა და იქ ბარბაღეს სახელზე შესწირავდა წველის ბარაქის, ძროხის სისადისა და გამრავლებისთვის ღოცვა-ვედრებით. შენაწირ კვერს იქვე შეექცეოდა, კვირისტავს კი დატოვებდა და სამაგიეროდ სალოცავი ადგილიდან ბალახს მოგლეჯდა და შინ წაიღებდა. ამ ბალახს ახლად მოგებულ ძროხას ყურში გაურჭობდა, რადგან ძროხისთვის რომ დაეყარათ, ეგების მას ეს “წმინდა ნაწილი”, მწვანეც რომ ყოფილიყო, არ შეეჭამა ან შეეჭამა, მაგრამ ღეჭვის დროს დორბლი გადმოსდენოდა და მიწაზე დაცემულიყო, მაშინ ეს ხალხის რწმენით, ბარბოლის საწყენად დაურჩებოდა და, მაშასადამე, ძროხისთვის საზიანო იქნებოდა.

ბარბოლე თავის ძალას ქალებზე ავრცელებდა. ბარბალეს სახელობის უქმე დღეობებზე მას თავის ოჯახის კეთილდღეობას შესთხოვდნენ. ამ წმინდანს საგანგებოდ ქალთათვის ნაყოფიერების მინიჭება მიეწერებოდა, ამიტომ ბარბოლის სალოცავში უშვილო ქალები დადიოდნენ და შვილიერებას გამოსთხოვდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის დიდი როლი და მნიშვნელობა, რომელიც ბარბალეს კულტში ქალების, კერძოდ ქროსების მწველელ ქალებს მიეწერებოდა. არ არსებობდა ბარბალეს სახელობის არცერთი უქმე დღეობა და რაიმე სახის რიტუალი, სადაც ქალები არ გამოდიოდნენ შეწირულებათა და ლოცვა-ვედრებათა მთავარ შემსრულებად. მრავალ შემთხვევაში კაცებს აღკვეთილი ჰქონდათ ბარბალეს სახელობის რიტუალზე დასწრება და ბარბალისადმი მიძღვნილი შესაწირავის შეჭმა, ხილვაც კი. რიტუალის მონაწილენი და მთავარი მოქმედი პირები მხოლოდ და მხოლოდ ქალები იყვნენ.

ქალღვთაება ბარბალე მდებრთა სქესის გამრავლებას განაგებდა, ამიტომ მისი მრევლი და მსახურნი პირველ რიგში ქალები იყვნენ. ბარბალე იყო, უწინარეს ყოვლის, მდებრობითი სქესის არსებათა გამანაყოფიერებელი და გამმრავლებელი ქალღმერთი, რომლის ატრიბუტს წარმოადგენდა კვირისტავის მსგავსი საგნები და რძის პროდუქტებით შეზავებული შესაწირავები, ვითარცა მდებრობითი ნაყოფიერების სიმბოლური გამოსახულებანი.

ბარბალობის დღესასწაულის გარდა სვანეთში არის ბევრი უამრავი დღესასწაული სადაც ქალის როლი მნიშვნელოვანია.

ნინა ულარჯიშვილი

ტრადიციები და პიროვნება ვაჟა-ფშაველას კოემაში “სტუმარ-მასპინძელი”

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ინტერესს იწვევს მთიელთა ყოფაცხოვრება, მან მხატვრულად ასახა ხევსურული, ფშაური,

ქისტური ტრადიციები: სისხლის აღება, სტუმარ-მასპინძლობა, ძმად გაფიცვა და სხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია პოემა “სტუმარ-მასპინძელი”, რომელიც მოგვითხრობს მეტად პრობლემატურ და მტკივნეულ ფაქტებზე. ამ პოემის ფონზე იხსნება ის ტრადიცია, რომელიც წარმოაჩენს ერის, ოჯახის, პიროვნების რწმენასა და კულტურას.

ნაწარმოებში ტრადიციის დაცვა საღვთო მოვალეობადაა მიჩნეული. სწორედ ამ საღვთო წესის აღსრულების გამო უპირისპირდება ერთმანეთს ორი მხარე: თემი თავისი უძველესი ტრადიციებით და გარკვეული იდეისათვის მებრძოლი ადამიანები.

ზვიადაური და ჯოყოლა ერთმანეთს მთაში ხვდებიან, მათი შეხვედრისას დიდ როლს თამაშობს ნდობის ფაქტორი. ჯოყოლა ზვიადაურის ვაჟკაცურ სიტყვას მიენდო და ძმის მკვლეელი სახელში დაპატიუა. ნანადირევი ჯიხვის გაყოფაც შესთავაზა, ამით მან დაიცვა მონადირის წესი რომელსაც უფლის ნებად მიიხნევს:

“ნუ სწუხარ საზრდო შენთვისაც
დღეს უფალს გაუჩენია”

თუმცა ზვიადაური უარს ამბობს ისევ და ისევ ნადირობის წესების დაცვის გამო. რადგან ყელგამოჭრილი და ფეხებჩატყავებული ჯიხვის გაყოფა, წესით აღარ შეიძლება.

ზვიადაურს კარგად ესმის, რომ ქისტები მისი მოსისხლეები არიან, მაგრამ სტუმრობაზე უარს ვერ ეტყვის, სტუმრის მიღება ღვთის წესადაა მიჩნეული, ამდენად უარის თქმა დამამცირებელი იქნებოდა როგორც მისთვის, ასევე ჯოყოლასათვის. თანაც ზვიადაურმა იცის, რომ სტუმარი ხელშეუხებელია. სახელში მისვლისას ჯოყოლა ცოლს ეუბნება:

“-აი, სტუმარი მოგგვარე-
ღვთისწყალობაა ჩვენზედა.”

ეს ადასტურებს, რომ სტუმარი ოჯახში ღვთის წყალობადაა მიჩნეული. სტუმრისადმი დამოკიდებულებაში ყოველთვის იგრძნობა ის დიადი მოვალეობა, რომელსაც თემის “რჯული” მასპინძელს აკისრებს. ეს წესი გადამწყვეტ როლს ასრულებს, როცა ქისტი თავს დებს ძმის მკვლეელი ხევესურის დასაცავად.

სტუმრისადმი დალატი თემში სამარცხვინოა. ჟოყოლას ბრძოლა სტუმრის დასაცავად თემის საერთო ტრადიციებიდან გამომდინარეობს. იგი როგორც მასპინძელი იცავს სტუმარს არ ტეხს სტუმარ-მასპინძლობის საუფლო წესს, მიუხედავად იმისა, რომ გაიგო სტუმრის ნამდვილი ვინაობა, შეიტყო რომ ზვიდაური მისი ძმის მკვლეელია, ჟოყოლა მაინც მოითხოვს სტუმრის გათავისუფლებას. მას მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ სტუმარი ხელშეუხებელია და ვერ გასწირავს. მასპინძელი იცავს ოჯახის ღირსებას, ვინაიდან თემის მოქმედება პირად შეურაცხყოფად მიიჩნია. ამ შემთხვევაში ტრადიციის დამრღვევად თემი თვითონ გამოდის. იცავს სისხლის აღების წესს, მაგრამ არღვევს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას.

თემისა და პიროვნების დაპირისპირება ხდება თემის შიგნით. მათ ადათ-წესებზე არავითარი გარეშე ძალა არ მოქმედებს, თემმა თავისი “თემობის წესით” არ იცის დათმობა. ქისტებს ხევსურებისაგან მოკლული ახალი მკვდარი ჰყავთ და ჩვეულების თანახმად საჭიროა სისხლის აღება. ზვიდაური საფლავზე უნდა დაკლან, შესწირონ დარლას. თუ შეეწირება, მაშინ იგი დარლას მონა-მოსამსახურე გახდება. ეს ხევსურმა კარგად იცის, სწორედ ამიტომ არ შედრკა, ვაჟკაცურად აიტანა წამებით სიკვდილი. მისმა მოთმინებამ განაცვიფრა ქისტები. იმედგაცრუებულები ზვიდაურს არ მარხავენ და ფრინველების საჯიჯგნად ტოვებენ.

თემი უსამართლოდ ექცევა ჟოყოლას, არღვევს მის პირად უფლებებს. უდანაშაულოდ დასაჯეს და ხევსურების წინააღმდეგ მარტო ბრძოლაში დაღუპული, სასაფლაოზე დაკრძალვის ღირსადაც არ ჩათვალეს.

ამრიგად, პოემაში ასახულ სტუმარ-მასპინძლობის წესებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთიელთა ცხოვრებაში. ორივე ტრადიციის ერთდროულად დაცვას ზოგჯერ სისხლისღვრა და ტრაგედია მოსდევს.

მარეს ქაფიანიძე

ქორწინების ამკრძალავი ფაქტორები და ნიშნობის ტრადიცია აჭარაში

ქორწინების ამკრძალავი ფაქტორები სხვადასხვა სახის იყო, კერძოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხორციელ ან სულიერ ნათესაობას, რადგან აჭარაში ქართული ტრადიციით არ შეიძლებოდა და სასტიკად იყო აკრძალული ტაიაშიელს (ტაია ქართული სიტყვაა და დედის ძმას ეწოდება) მამიდაშვილებსა და დეიდაშვილებს შორის ქორწინება, უფრო დედის მხარეს, რადგან რძით ნათესაობა ყველაზე მტკიცე იყო, ამას მოწმობდა ისიც, რომ თუ ქალი სხვის შვილს მოაწოვებდა ძუძუს, ამის შემდეგ ერთი-მეორე ნაწოვ ბავშვებსა და მათ შემდეგ დაბადებულ და-ძმას შორის ქორწინება იკრძალებოდა, რომელიც უკავშირდება დედა მძუძეობის ინსტიტუტის გადმონაშთების არსებობას. საერთოდ საქართველოში გავრცელებული იყო მსგავსი ტრადიცია—რძით დანათესავება. ასეთ დანათესავებას უმეტესად ის ოჯახები მიმართავდნენ, რომელთა შორის გარკვეული უსიამოვნება არსებობდა და მისი აღმოფხვრა უნდოდათ.

ნათელ-მირონობა აჭარაში მუსლიმანური წესით ხდებოდა და ამ გზით დანათესავებულთა შორის საქორწინო აკრძალვები მუსლიმანური სამყაროსთვის არ იყო დამახასიათებელი, მაგრამ ქართული ტრადიციის ძალით აქ ქირვა//ნათლია სისხლით ნათესავის რიგში იყო აყვანილი და მასთან და მის ნათესაობასთან ქორწინება იკრძალებოდა 7 თაობამდე. რაც შეეხება მძახალ-მოყვრობით ნათესაობას, ამგვარ ნათესაობაში იგულისხმება არა სისხლიერი ნათესაობა, ესაა ქმრისა და მისი ახლობლების ნათესაობა ქალის სისხლით ნათესავების მიმართ და პირიქით, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში მძახალ—მოყვრობით დანათესავებულ გარკვეულ კოლექტივებს შორის ქორწინება იკრძალებოდა. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, როგორც მთხრობელმა გვიამბო, გამონაკლისს წარმოადგენდა აჭარის მოსახლეობა. იქ მძახალ—მოყვრობით დანათე-

სავებუღი ოჯახების ახლო ნათესავეებს შორის ქორწინება ნებადართული იყო. სწირია ისეთი ფაქტი, როცა ორ ძმას დები ჰყავთ ცოლად. ამ კუთხის ეს თავისებურება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელშიც ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისლამის გავრცელებამ.

საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობაში ქალ-ვაჟს შორის დაქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამკრძალავ ფაქტორს წარმოადგენდა რელიგიის სხვადასხვაობა, რომელიც მეტად საგრძნობი იყო ერთი ეროვნების მაჰმადიანური და ქრისტიანული სარწმუნოების მოსახლეობაში. მთხრობელთა გადმოცემით ისლამი მაჰმადიანის არამაჰმადიანზე დაქორწინებას ცოდვად მიიჩნევდა, ამდენად აჭარის გამაჰმადიანებული ქართველობა ქალს არ აძლევდა ქრისტიან ქათველს, ხოლო მაჰმადიან ვაჟებს სიამოვნებით მოჰყავდათ ქრისტიანი ქართველი ქალები ცოლად, უმეტესად მოტაცების გზით და ეს მადლად ითვლებოდა გამაჰმადიანებულ ქართველებში.

დროთა განმავლობაში უკვე დასახელებული ქორწინების ამკრძალავი ფაქტორების ნაწილი სრულიად გაქრა ყოფიდან, ნაწილი რამდენადმე შეიზღუდა, ნაწილი კი დღესაც განაგრძნობს არსებობას.

ხემოთ დასახელებული ყველა წინაპირობის დაცვა აუცილებელი იყო, ამის შემდეგ ხდებოდა ქალ-ვაჟის შერჩევა. აჭარაში ქალებს ათხოვებდნენ 13 წლიდან, ხოლო ვაჟებს ნიშნავდნენ 17 წლიდან, დაწინდვა აკვანშიც ხდებოდა. როდესაც ვაჟის მშობელი გადაწყვეტდა შეიღის დაქორწინებას, სასურველი სარძლოს მოძებნას შეუდგებოდა. მათ ამ საქმეში დახმარებას ნათესაობა უწევდა. განსაკუთრებით სარძლოს ბიჭის დედა, და ან რძალი არჩევდა, რომლებსაც შეეძლოთ ქალის აკვარვიანობას დაჰკვირვებოდნენ. ქალის შერჩევის შემდეგ გაიკითხავდნენ და თუ მოეწონებოდათ, კითხულობდნენ გოგოს პირად ხასიათს და თვისებებს, რამდენად იცოდა ხელსაქმე. ამის შემდეგ მიგზავნიდნენ მაჭანკალს. მაჭანკლად ირჩევდნენ გოგოს ოჯახთან დაახლოებულ პიროვნებას, გოგოს ძმის ქირვას//ნათლიას ან დედისძმას, რომ

უარის თქმა გაჭირვებოდათ. მის შემდეგ გოგოს ოჯახი გაიკითხავდა ბიჭის ჯიშ-ჯილაგოიანობას, ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობას და ვაჟის საქმიანობას. მაჭანკალი ქალის ოჯახში სამჯერ მიდიოდა. თუ ქალის ოჯახი თანახმა იყო მესამე მისვლაზე ეუბნებოდა თანხმობას თუ არა და წყალსაც კი არ დააღვეინებდა. თანხმობის შემთხვევაში შემოჰქონდათ ტკბილეული და ასე გამოხატავდნენ თანხმობას. ამის შემდეგ ქალის ოჯახში მიდის სამამათილო და სარძლოს ჩუქნის ოქროს ბეჭედს, ამის მერე გოგოს ახლო ნათესავ ქალს შემოჰქონდა შერბეთი (შერბეთი არის შაქრიანი წყალი ხშირად ვანილს ურევდნენ არომატისთვის) და მთავრად სამამათილოს, იგი დაღვედა შერბეთს და ამ ქალს უხდიდა ფულს. სარძლოს ოჯახი სამამათილოს ჩუქნიდა საჩუქრებს, აუცილებელი იყო წინდები, ამას ეწოდებოდა სიტყვის ნიშანი.

ამ ნიშნის შემდეგ მოდის დიდი ნიშანი, ნიშნობაზე მოდიოდნენ სასიძოს მშობლები, დედამამიშვილები და ახლო ნათესავები. სასიძოს წასვლა არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო (ახლა მიდის, აუცილებელიც კია მისი დასწრება). სარძლოს ოჯახი შლიდა სუფრას, სადაც სპირტიანი სასმელები არ იყო, არ შეიძლებოდა. დანარჩენი კერძები კეთდებოდა შეძლებისდაგვარად.

მისული სტუმრები სარძლოს ჩუქნიდნენ ოქროს ნივთებს, სასიძოს ოჯახის ყველა წევრი თითო ოქროს ნივთს ჩუქნიდა სარძლოს. ოჯახის ოქროში შედიოდა ბეჭედი, საყურე, სამაჯური და ყელსაბამი, ასევე ჩუქნიდნენ ტანსაცმელსაც. თუ სარძლოს ოჯახს მოტანილი ნიშანი მოეწონებოდათ, შემოჰქონდათ შერბეთი და ყველა მოსულ სტუმარს ჩამოურიგებდნენ, ფულს სამამათილო იხდიდა. შერბეთის შემოტანის შემდეგ სხდებოდნენ სუფრასთან, მოსული სტუმრებისთვის სარძლოს ოჯახს საჩუქრები უნდა მიეცა, ამ საჩუქრებში აუცილებლად შედიოდა ქალისთვის ჭრელი, კაცისთვის თეთრი წინდები.

მთხრობელთა გადმოცემით დიდი ნიშნობის დროს ხდებოდა ახტის დაღება (ახტი- როგორც ჯვრისწერა). ახტის დროს მიჰყავდათ მოლა, მოჰქონდათ შერბეთი და შაქრის ნატეხი. ახტს უნდა დასწრებოდნენ ორივე მხარის ახლობელები. მოლა

წაკითხავდა სპეციალურ ლოცვას ყურანიდან და მოიწვევდა ორ-ორ წარმომადგენელს ორივე მხრიდან და ეკითხებოდა ქალის მხარეს, თანახმა იყვნენ თუ არა, გაეთხოვებინათ ქალი, შემდეგ ჰკითხავდა ვაჟის მხარეს, თანახმა იყვნენ თუ არა წაეყვანათ ეს ქალი რძლად, თანხმობის შემდეგ ყველა დამსწრეს ჩამოურიგებდნენ შერბეთს და შაქრის ნატეხს. ერთ ჭიქა შერბეთს და შაქრის ნატეხს შუაზე ყოფდნენ და ნახევარს ბიჭს უგზავნიდნენ, ნახევარს – გოგოს, რომ ერთმანეთი ყვარებოდათ. ასტი კეთდებოდა გოგოს ოჯახში.

მთხრობელთა გადმოცემით დიდი ნიშნობის შემდეგ აუცილებელი იყო სამამამთილოს სარძლოსთვის ჩაესვა რამდენიმე ოქროს კბილი, ხოლო ბიჭისთვის სასიმამროს უნდა ჩაესვა. დიდი ნიშნობიდან 40 დღის გასვლის შემდეგ, თუ საშუალება ჰქონდათ ორივე მხარს, ინიშნებოდა ქორწილი.

აქ მოყვანილი ტრადიციებიდან ჩანს, რომ აჭარის მოსახლეობას შემორჩენილი აქვს ქართული ტრადიციები, მიუხედავად თურქების ბატონობისა და სარწმუნოების შეცვლისა, მათ ეს ტრადიციები არ დაუკარგავთ.

თეა შავაძე

სოფელ რუსთავის ისტორია - ეტიმოლოგიისათვის

სოფელი რუსთავი ასპინძის რაიონში შედის. 1938წ სერგი მაკალათია წერდა: რუსთავი მდებარეობს ახალციხე ასპინძის გზაზე. ალციხიდან რუსთავამდის – 18 კმ. ასპინძიდან – 16 კმ. რუსთავს სამხრეთით მტკვარი უელის, ჩრდილო-აღმოსავლეთით იგი შემოზღუდულია მაღალი და კლდოვანი მთებით, რუსთავის აღმოსავლეთ-სამხრეთის კალთა გაშლილია და წარმოადგენს საკმაოდ დიდ ველს.

რუსთავის მინდორზე შარავხის მახლობლად არის ერთი ბორცვი, რომელსაც აქ გორაკს უწოდებენ: ხალხური გადმოცემით შოთა აქ მარხია.

ამ გორაკთან დაკავშირებით იმდენად დიდი იყო ინტერესი მისი, როგორც საფლავის არსებობისა, რომ არქეოლოგებმა ჩაატარეს დაზვერვითი სამუშაოები, მაგრამ არავითარი კვალი საფლავის ან რაიმე კულტურული ფენისა, არ აღმოჩენილა.

სოფელში 150-მდე ოჯახი ცხოვრობს. ისინი მაშინ ჩამოსახლეს, როდესაც საბჭოთა კავშირმა მაჰმადიანები გადაასახლა შუა აზიაში. გ. ბოჭორიძე წერს, რომ გადასახლებამდე რუსთავში სახლობდნენ ქურთები 25 კომლი და 4 კომლი ქართველი.

დღეისათვის რუსთავში ცხოვრობენ ჯავახეთიდან, მთიულეთიდან და აჭარიდან ჩამოსახლებულნი. მათ შორის მთიულეები ჩამოსახლეს 1944 წ., ჯავახები 1946 წელს, ხოლო აჭარლები 1981 წელს.

რუსთავი იხსენიება ხალხურ „სოფლების გალექსვაში“

„რუსთავს აყვავდა გვირილა! ვაი მოუვა ზველსაო,

ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახალშენსაო“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით,“ სოფელ რუსთავში ცხოვრობდა და გადასახლდა იხდიდა ექვსი ოჯახი. ესენია: ბაიდურისძე ნანუჩა ბაღდადარის ძე, ელიზბარ იასალასძე, პავლია ძმა მისი, ნათია ძმა მისი, ნანუჩა გიორგის ძე.

პ. ინგოროყვა წერს, რომ „უძველესი ცნობა მესხეთ-ჯავახეთის რუსთავის შესახებ ჩვენ გვაქვს მხოლოდ XVIII-დან: იგი აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულ რუკაზე. მესხეთ-ჯავახეთის რუსთავი საშუალო საუკუნეებში არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან პუნქტს. იგი იმდენად უმნიშვნელო ერთეული ყოფილა, არავითარი ცნობა მის შესახებ არცერთხელ არ გვხვდება ისტორიულ წყაროებში. პ. ინგოროყვა რუსთავის მოუხსენიებლობას ქართულ წყაროებში მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს და ამის საფუძველზე ასკვნის, რომ არ შეიძლებოდა აქაური ყოფილიყო შოთა რუსთველი, რადგან პერეთის რუსთავი ბევრად უფრო ცნობილი პუნქტია, იქვე იყო საეპისკოპოსო და იხსნდნენ რუსთველები, ეპისკოპოსები რუსთა-

ვისა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პატივცემული მეცნიერი არ მიუთითებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთოს“ მონაცემებს, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, ეს მონაცემები ვერ შეცვლიდა მთავარ არგუმენტს, რომ ჰერეთის რუსთავი უფრო მეტად ცნობილი პუნქტია, ვიდრე მესხეთის.

ს. მაკალათია კი სულ სხვას გვიმტკიცებს, „მესხეთის რუსთავს სტრატეგიული და კულტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი მოქცეული იყო საქართველოს იმ დიდ სამხედრო გზაზე, რომელიც მტკვრის სათავიდან კოლხარტაანით საქართველოში შედიოდა. სამხრეთის ეს გზა გამაგრებული იყო პირველხარისხოვანი ციხეებით: ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა, აწყური და სხვა. ამ დიდ სამხედრო გზაზე იყო რუსთავიც.

სახელწოდება რუსთავი ჯერ კიდევ ძვ.წ IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. ასპინძის რუსთავის გარდა არის კიდევ სხვა რუსთავეები. ესენია: ქალაქი რუსთავი აღმოსავლეთ საქართველოში; რუსთავი ცხინვალის რაიონში და რუსთავი მწვერვალია ყაზბეგის რაიონში.

ყველაზე უძველესი არხი ძვ.წ.IV ს-შია ცნობილი. „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით აღექსანდრე მაკედონელმა „რუი გამოიღო ქსნით“ (ღ. ჭილაშვილი).

ისტორიული წყაროების მწირი ცნობებითაც შეიძლება კარგად წარმოვიდგინოთ თუ რა დიდი ყურადღებისა და საერთო სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი ყოფილა მორწვევის საქმე ძველ ქართლში. უძველესი არხის გაყვანას ჩვენში ტრადიცია აღექსანდრე მაკედონელს მიაწერდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ამ ხასიათის უკვე საფსებით რეალური მეორე ცნობა, რომ IV ს. ბოლოს მეფე თრდატმა, რუსთავსა რუ გამოიღო“. ამ წყაროს ცნობით VI ს. გაუტანიათ წილკნის რუ. აღსანიშნავია, რომ V-VI ს.ს. თარიღდება ნახიდურის, გაჩიანის, მუხრანის, რუისურბნისისა და ზოგი სხვა დიდი და მცირე არხებიც (“საქართველოს ისტორიის ნარკვევები”).

ძველ ქართულ „რუ“-ს უდარებენ სპარსულ “რიდ“-ს („მდინარე“), მაგრამ ამ ქართული ტერმინის ფართო გავრცელება

უძველესი დროიდან აგრეთვე ფორმის მიხედვით განსხვავება, უკვე ფრ. ბოპს აეჭვებდა მათ იდენტურობაში. თუმცა ორივე ფორმა (“რუ”, “რიდ”) მას ინდოევროპულ წარმომავლობისად მიაჩნდა (“საქართველოს ისტორიის ნარკვევები”).

რუ-სარწყავად გაყვანილი პატარა არხია: ასეთ არხში მდინარე წყალი, წისქვილის რუ-რუ მოხუხხუხებს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

რუ დღევანდელი გაგებითაც მცირე ნაკადულს აღნიშნავს. ძველ ქართულში მას არხის მნიშვნელობა ჰქონია, რადგან ამდენი რუსთავი გაჩენილა საქართველოში.

სახელი კომპოზიტიურია. მართულ მსახღვრელ „რუ“-ს ახლავს საზღვრული „თავი“, რომელიც, ალბათ, მიუთითებდა იმ სათაო ნაგებობაზე საიდანაც რუ იწყებოდა.

ია ხარაიშვილი

ვიქტორ ჰიუგოს რომანის „კაცი რომელიც იცინის“ ერთი საკითხის კრიტიკული ანალიზი

მე-19ს –ის მწერალმა ვ. ჰიუგომ რომანში მოგვცა მე-17ს-ის დასასრულისა და მე – 18ს-ის დასაწყისის ინგლისის რეალური ცხოვრების ფაქტობრივი სახეები.

ვ. ჰიუგო ამხილებს მონარქიის თვითნებობას და შუასაუკუნეების ფეოდალური ტრადიციების თავგამოდებულ დამცველ არისტოკრატებს და მის სისასტიკეს.

ფეოდალური წყობილება არსად არ ყოფილა ისე “ბრწყინვალე”, ისე მკაცრი და ისე გამძლე, როგორც ის ინგლისში იყო. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ამგვარი წყობილება რამდენადმე სასარგებლოც აღმოჩნდა. ინგლისში არსებული ფეოდალური სამართალი ისეთინაირად უნდა გავიგოთ, როგორც მეფის უფლებები საფრანგეთში. მწერალი ინგლისის იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების ასახვით ქვეცნობი-

ერად ეხება მწერლისდროინდელი საფრანგეთის ისტორიის რეალობის ასახვას.

იმდროინდელი ზოგიერთი ფეოდალური კანონი მიმართული იყო მაწანწალათა წინააღმდეგ. რომელიც ინგლისში ყოველთვის თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა. თითქოს შუა საუკუნეების კანონმდებლობაში მოქმედებდა პრინციპი: „მოხეტიალე ადამიანი ნადირზე უარესიაო“. ამ კანონების ერთი სპეციალური სტატუსთაგანი მუდამ საცხოვრებელს მოკლებულ ადამიანს ისეთ არსებად ახასიათებს, რომელნიც „ასპიტზე“ უფრო საშიშია. ასეთ ადამიანად რომანში მოიაზრება მედროვე ურსუსი, რომელმაც უმაღლესი საზოგადოების წრიდან გამოსული, დამახინჯებული ბავშვი შეიფარა. იმდროინდელი საზოგადოება თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რეალური ცხოვრების სახეებს, მათ მიანდათ, რომ ყოველი მაწანწალა საშიშროებას უქმნიდა კანონს და ცდილობდა რეალური ცხოვრებიდან მოეშორებინა. ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი უმიზნო ხეტიალი და მსგავსი რამ მათ საზოგადოებრივ წყობილებას ხიფათს უქმნიდა. თუ შეაყრობილი მოხეტიალე დასმულ კითხვებს ვერ უპასუხებდა სასტიკად სჯიდნენ. რკინა და ცეცხლი იყო ზემოქმედების საშუალება. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონი გახურებული შანთით დადავდა. „ მოხეტიალე პიროვნებას“ და ამით ებრძოდა მაწანწალებს.

მთავრობის ასეთ პოლიტიკას ახორციელებდნენ ეგრეთ-წოდებული კომპრანსიკოსები, რომელნიც შეადგენდნენ თავისებურ მასონურ საზოგადოებას. ეს საზოგადოება მაღალ მიზნებს როდი ისახავდა. იგი საზიზღარ ხელობას მისდევდა.

ინგლისში კომპრანსიკოსები სტიუარტების დროს ხელისუფლების ერთგვარი მფარველობითაც სარგებლობდნენ. ისინი ადამიანებით ვაჭრობდნენ და შესყიდულ პიროვნებას მეტად ხელოვნურად, უკვალოდ აქრობდნენ.

ამგვარი რამ არსებული საზოგადოებრივი წყობილების აზრით, ხანდახან საჭირო ხდებოდა „სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის.“ თუ მცირეწლოვანი მემკვიდრე ვინმეს გზას უღობავდა, ის კომპრანსიკოსების ხელში ვარდებოდა. გარკვეული

ოპერაციების შემდეგ მემკვიდრე ბავშვი თავის შესახედაობას კარგავდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა ბავშვის ქონების კონფისკაციას.

შემდეგ ადვილი ხდებოდა მათი მამაპაპეული მიწაწყალი და ადგილ-მამული მეურვეებზე გაესაჩქრებინათ. ისინი თავიანთ ნათქვამს მტკიცედ იცავდნენ, რაც მეტად აუცილებელი სახელმწიფოებრივი საქმე იყო. მართლაც არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ მეფის საიდუმლო გაეცათ. მათ იცოდნენ, რომ თუ მეფე მათდამი ნდობას დაკარგავდა მაშინ დიდი საშიშროება მოელოდათ.

ამგვარად, პოლიტიკური თვალსაზრისით, კომპრასნიკოსები ხელისუფლების საქმიანობას მხარს უჭერდნენ და ხშირად მათი დევიზი იყო; „უფალო შეგვიწყაღე.“ უნდა ითქვას, რომ კომპრასნიკოსები განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ქალწულ მარიამს. ეს მოსწონდათ კიდევ პაპის მიმდევრებს. ძნელი იყო მათ ნამდვილ საქმიანობაში ეჭვის შეტანა. ამ მხრივ ისინი ამოფარებული იყვნენ რკინის ნიღაბს. ასეთი საზოგადოებრივი წყობილების მსხვერპლი გახდა გუინპლენი.

საკითხავია, რომ მეფის ვაჟიშვილის გუინპლენის დასახინჩრება იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების შეცდომა იყო თუ მეფეთა კარზე აღძრული პიროვნული შუღლის შედეგი? დამახინჯებული საზოგადოებრივი წყობილება ქმნიდა სამეფო კარზე ისეთ სიტუაციებს, რომლის პირობებში სამეფო გვარის წარმომადგენლები პიროვნულ უღირსობას ახალგაზრდა თაობის გადაგვარების ამკულაში ათავსებდა. ვფიქრობ, რომ პიროვნული განდიდების, სახელმწიფო კარზე გავლენის მოპოვების, სასურველ მემკვიდრეებზე ქონების გადაცემის მიზნით უფრო ხდებოდა.

მოპარული ბავშვი კომპრასნიკოსებმა ისე გადააკეთეს, რომ სახეზე კვალიც არ სჩანდა მისი წარმომავლობისა. უკაცრიელ კუნძულზე გადასმული ბავშვი სრულ ფსიქოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდა. ხმაც არ ამოუღია, ლაპარაკსაც ვერ ბედავდა. მხოლოდ უკან მიმავალ კარჭაპს ადევნებდა თვალს. იგი არავითარ დანაშაულს არ გრძნობდა, მაგრამ უღრტვინველვად დაუხვდა

იმას, რაც შეეძლება. ჩანდა თითქოს გაქვავდაო მისი შინაგანი არსება, ბედისწერას სიცოცხლის განთიადზე ბოლო მოეღო მისი არსებობისთვის. მრავალ ჭირვანცდილ ბავშვს უკვე მოზრდილ ასაკში თავისი შეხედულება ჰქონდა არსებულ საზოგადოებრივ წყობილებებზე. აი, რას გრძნობდა ის გამხელილი ვინაობის შემდეგ საზოგადოებისადმი, რომლის წინაშეც ახლა იდგა. „კაცი, რომელიც იცინის.“ – სულში უცნაური ცვლილებები ხდებოდა. იგი მწვერვალზეც აისროლეს და უფსკრულშიც ჩააგდეს. ის გრძნობდა აღმასვლას, მაგრამ იმას კი ვერ გრძნობდა, როგორ ეშვებოდა დაბლა. ახალი პორიზონტი ყველას აშინებს. პერსპექტივა გვეხმარება, მიმართულებას მივაგნოთ; მაგრამ არა ყოველთვის სწორს—იქნებ მას მახე დაუგეს?

მაცდური ერთობ ძლიერია. სატანას ამოჰყავს ის მადლობზე “ღმერთო!”... მარადისობის შეცდენა –რა უცნაური იმედია. როგორ უნდა იბრძოლოს ადამიანი იქ, სადაც სატანა იესოს შეცდენას ლამობს? ამქვეყნიური სიკეთე, დატკობა, ღხენით აღსავსე ცხოვრება – თითქოს სამყაროს ორივე ნახევარსფეროს გასხვივოსნებული რუკაა, რომლის შუაგულს გუინაპლენი წარმოადგენს. რა სახიფათო ზმანებაა. გუილპლენს თვალწინ წარმოუდგა თავისი განვლილი ცხოვრება, მშობლები, მემკვიდრეობა, რომელიც მოუსპეს. “სამწუხაროა წყვილიადის შეჭრა ადამიანის სულში, რომელმაც მორალური სიდიადის განდევნა მოახდინა. დემონების გუნდის ჩამოფრენამ გუინაპლენს სათნოება გაუნადგურა. მოულოდნელობა შემზარავად დაატყდა სწორედ მტკივნეულ ადგილას. მოხარხარე საზოგადოების წინაშე მდგომი გუინაპლენი ციცაბო აღმართზე აღიოდა, სადაც ღრმა ჯურღმულის ზემოდან ქვიშა და რიყე ზვავედებოდა, ნიადაგი კი ფეხქვეშ ეცლებოდა. ამაოდ ცდილობდა მადლა ასულიყო, საიდანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ხელ-ფეხის ასხლტომა და მადლა ასვლის მაგიერ ძირს დაგორება, აღმასვლის მაგიერ ქვევით დაშვება. მწვერვალებამდე ასვლის ყოველი ცდა უფრო დასადუპავად თავის განწირვაა. ეს საშინელი უფსკრული უფრო-დაუფრო ახლოვდებოდა და ფეხქვეშ ხახადადებული ჯურღმული უმზერდა. გუინაპლენი გრძნობდა, რომ მის ოცნებებს ბოლო

ედებოდა, რომ მისი მსმენელი სწორედ ის უფსკრულია, რომელიც მას შთანთქავს”.

გუინპლენის სულში ჩახედვა, მისი უკანასკნელი ფიქრები, მისი დროის უბრალო საზოგადოების გათელვა, დამცირება და უფსკრულში ჩაშვება, მის სულში ჩაფურთხებაა. იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების სისასტიკე და დაუნდობლობა, გუინპლენის ცხოვრებით, მათი სააშკარაოზე გამოტანაა. მათი არაადამიანური სულის სატანისებური აღზევებაა.

ამით რის თქმა უნდა მწერალს? მისმა თანამედროვე საზოგადოებრივმა წყობილებამ ხომ არ გათელა მისი პიროვნული ღირსება? ხომ არ დაამცირა? ხომ არ დაუნგრია კარიერა?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ნათია ათოშვილი

გალაქტიკის ცენტრის ეკვატორული კოორდინატების განსაზღვრა სფერული ბრომების გალაქტიკური განაწილების ანალიზის საფუძველზე

ვარსკვლავთ გროვები წარმოადგენენ ვარსკვლავთ ისეთ ხილულ შემკვრივებს ცის სფეროზე, რომლებშიც მათი განაწილების სიმკვრივე მეტია ფონში ვარსკვლავთ განაწილების სიმკვრივესთან შედარებით. განასხვავებენ ვარსკვლავთ სფერულ და ღია გროვებს. სფერული გროვები რადიკალურად განსხვავდებიან ღია გროვებისაგან მათი რაოდენობით, ხილული ფორმით, მათში ვარსკვლავთ რაოდენობითა და განაწილების სიმკვრივით, გალაქტიკური განაწილების ხასიათით, ვარსკვლავიერი შემადგენლობით (განსხვავებანი ტემპერატურების, ბრწყინვალეების, მასის, რადიუსის, ქიმიური შემადგენლობის, ასაკისა და სხვათა მიხედვით) გალაქტიკაში მათი მოძრაობითა და სხვა. ჩვენს გალაქტიკაში დღეისათვის ცნობილია 150 სფერული გროვა (შეუიარაღებელი თვალით მოჩანს მხოლოდ ერთი ათეული), თუმცა სტატისტიკურად ივარაუდება 500 გროვის არსებობა. შედარებით კარგადაა შესწავლილი 100-მდე სფერული გროვა, რომელთათვისაც ცნობილია მანძილები მზის სისტემიდან.

ვარსკვლავთ სფერულ გროვებში ვარსკვლავთ რაოდენობა მერყეობს რამდენიმე ათასიდან(ღარიბი გროვა) რამდენიმე ასეულ ათასამდე, ზოგ შემთხვევაში რამდენიმე მილიონამდეც კი (მდიდარი გროვა), რის გამოც მათ უზარმაზარი მოცულობები უკავიათ გალაქტიკაში. სფერული გროვის ვარსკვლავთ ასაკები რამდენიმე მილიარდ წელიწადს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი წარმოიქმნენ თვით გალაქტიკის ჩამოყალიბების დროს. სფერული გროვები გალაქტიკაში განაწილების მიხედვით სფერული ქვესისტემის ობიექტთა ოჯახს განეკუთვნ-

ნებიან. ისინი მომეტებული რაოდენობით მოჩანან გალაქტიკის ბირთვის გარშემო. დღემდე ცნობილი სფერული გროვები თანაბარი რაოდენობითაა განაწილებული გალაქტიკის ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებში.

1927 წელს შეპლიმ და სოიერმა სფერული გროვები გარეგანი სახის მიხედვით 12 კლასად გააყვეს, რომელთაგან პირველს მიაკუთვნეს ისინი, რომლებშიც მაქსიმალურია ვარსკვლავთ კონცენტრაცია, ხოლო უკანასკნელს ისინი, რომლებშიც კონცენტრაცია იმდენად დაბალია, რომ უკვე ჭირს მათი მიკუთვნება სფერული გროვებისადმი. შეპლიმ პირველმა დაადგინა მანძილი მათი სივრცული განაწილების სიმკვრივის მაქსიმუმის წერტილამდე.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დამოუკიდებლად შეგვესწავლა სფერული გროვების გალაქტიკური განაწილების ხასიათი ე.ი. გამოგვევლინა თუ რა მიმართულებით და რა მანძილზეა მათი განაწილების გეომეტრიული ცენტრი ჩვენგან.

ჩვენი სამუშაო ეფუძნება ალტერისა და რუპრისტის ცნობილ კატალოგს, რომელიც შეიცავს 125 ობიექტს. მათი ზედაპირული ხილული განაწილება აშკარად მიუთითებს მომეტებულ კონცენტრაციაზე შვილდოსნის თანავარსკვლავედისაკენ. ზემოაღნიშნული 125 ობიექტიდან 94 ობიექტისათვის ცნობილია გეოცენტრული მანძილი, რომელთა საფუძველზეც გამოვითვალეთ გეოცენტრული სწორკუთხა გალაქტიკური კოორდინატები. ამ უკანასკნელთა საშუალებით ვიპოვეთ მათი გეომეტრიული ცენტრი, რომელიც სავარაუდოა დაემთხვეს გალაქტიკის ცენტრს. იგი მზის სისტემიდან დაცილებული აღმოჩნდა 7 კილოპარსეკ მანძილზე. მისი გალაქტიკური კოორდინატებია:

$l = 358.17$ გრადუსი და $b = +4.70$ გრადუსი, რომელთაც შეესაბამება ეკვატორული კოორდინატები: $\alpha = 17$ საათი 19.8 წუთი და $\delta = -27$ გრადუსი 52.9 მინუტი

და ბოლოს აგრეთვე გამოვითვალეთ კუთხური მანძილი სფერული გროვების განაწილების გეომეტრიულ ცენტრსა და გალაქტიკის საყოველთაოდ მიღებულ ცენტრს შორის, რომელიც

ტოლი აღმოჩნდა ხუთი გრადუსის. ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება ინტერნეტის საშუალებით მოიძებნოს სფერული გროვებისათვის გაუმჯობესებული მანძილები და მათ საფუძველზე ჩატარდეს მსგავსი სამუშაო. სავარაუდოა, რომ კუთხური მანძილი გალაქტიკის ცენტრიდან სფერული გროვების ხილული განაწილების ცენტრამდე შემცირდება, ხოლო მათი სივრცული განაწილების ცენტრამდე მანძილი ტოლი აღმოჩნდება გალაქტიკის ცენტრამდე მანძილის, რომლის განსაზღვრაც ფუნდამენტურ ამოცანას წარმოადგენს.

გამოთვლები შესრულებულია პროგრამირებად კალკულატორ $\Delta 3-34$ -ზე.

ნატალია ავეტიხიანი
ოლღა მურმანიშვილი

ბუნებრივი და მანქანური ენები

გამოთვლითი მანქანები ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ცენტრალურ პრობლემად იდგა ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის საკითხი, ანუ ენისა რომელითაც ადამიანი აძლევს „დავალებას გამოთვლით მანქანას“. ასეთი ენების შექმნისა და მათი სრულყოფის სამუშაოები ყოველთვის თან სდევდა გამოთვლითი მანქანების ახალი მოდელების შექმნას და მათი მოღვაწეობის ახალ სფეროებში გაგრძელების პროცესს.

პერსონალური კომპიუტერი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: **აპარატურული** და **პროგრამული** უზრუნველყოფა.

დაპროგრამების ენა ბუნებრივი ენის მსგავსებით შექმნილი ხელოვნური ენაა.

ალგორითმი არის მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება და წარმოიქმნება გამოთვლელი მანქანების შექმნამდე ძალიან დიდი ხნით ადრე. სიტყვა „**ალგორითმი**“ აღებულია შუა

ახიელი მათემატიკოსის ალ-ხორეზმელის სახელის ბერძნული წარმონათქვამიდან. ალგორითმი შემდეგნაირად განისაზღვრება:

ალგორითმი არის ინსტრუქციათა ერთობლიობა, რომელიც აღწერს რაიმე ობიექტებზე მკაცრად განსაზღვრულ მოქმედებათა მიმდევრობას, რასაც ბიჯთა სასურველი რაოდენობის შემდეგ მივყავართ გარკვეულ, ცალსახა შედეგის მიღებამდე.

პროგრამების ენის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ **„ტურბო პასკალი“**.

ტურბო პასკალი შექმნილია ფირმა **“ბორლანდ”**-ის მიერ. პასკალი დაპროგრამების შესანიშნავი ენაა, რომელიც შედარებით მარტივია შესასწავლად, საკმარისად ნათელი და ლოგიკურია. იგი მოქნილი და განვითარებული ენაა მონაცემთა ტიპების მიმართ.

ენა ტურბო პასკალი დაახლოებით სეციავს 80 დარეზერვებულ სიტყვას და სპეციალურ სიმბოლოს. მაგ: დარეზერვებული სიტყვებია: *begin, end, unit, while, to, if, do, next*, და სხვა. ხოლო სპეციალურ მნიშვნელობის მქონე სიმბოლოების წყვილებს შორის შეგვიძლია განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: “ ; “ – ოპერატორების გამყოფი პროგრამაში. “ () “ – ფრჩხილებია არითმეტიკული და ლოგიკური გამოსახულებებისათვის. “ . “ – პროგრამის დასასრული.

ნებისმიერი პროგრამის მთავარი ელემენტებია **ცვლადები, კონსტანტები** და **ოპერატორები**. ცვლადი-კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერების ერთი (ან რამდენიმე) უჯრედია, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელი, მისი შიგთავსი შეიძლება იცვლებოდეს პროგრამის შესრულების პროცესში. კონსტანტა – იმით განსხვავდება ცვლადისაგან, რომ მისი მნიშვნელობა დაფიქსირებულია და არ შეიძლება შეიცვალოს პროგრამის შესრულებისას. ოპერატორი-განსაზღვრავს პროგრამის მიერ შესრულებულ სხვადასხვა მოქმედებას.

თვლის ორობით სისტემაში ყოველი რიცხვი ორი ციფრით, “0” და “1” – ის კომბინაციით წარმოდგინება და სწორედ “0” – ების და “1”-ების ენაა მანქანისთვის გასაგები ერთადერთი ენა ანუ “მშობლიური ენა”.

თავდაპირველი ტექსტი უნდა იყოს კომპილირებული (ტრანსლირებული) ე.ი **“ნათარგმნი”**. არსებობს ტრანსლი-ატორების ორი სახეობა ინტერპრეტატორი და კომპილატორი.

„ინტერპრეტატორი“ თარგმნის პროგრამის ყოველ ბრძანებას და მაშინვე ასრულებს მას. **„კომპილატორის“** დროს ხდება ჯერ მთელი პროგრამის თარგმნა, ხოლო შემდეგ მისი შესრულება. **„კოდირებას“** ვუწოდებთ დეტალური ალგორითმის დაპროგრამების ენაზე გადატანას.

განვიხილოთ მაგალითი **„ტურბო პასკალზე“** სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სფეროდან.

წრფივი დიოფანტეს განტოლებას $ax+by=c$ სასე აქვს, სადაც a, b და c მონაცემები რიცხვებია, ხოლო x და y უცნობი სიდიდეებია. ამ განტოლებათათა თავისებურება ისაა, რომ მათთვის იძებნება მთელ აღრიცხვა ამოხსნები, ამის გაკეთება გადასინჯვის მეთოდებით შეიძლება.

წრფივი დიოფანტეს განტოლების ამოხსნა

```
program diophantine _ equation_1;
```

```
var
```

```
  x, y: Integer;
```

```
begin
```

```
  WriteIn ('19x + 5y = 100 განტოლების ამოხსნები  
დიაპაზონიდან');
```

```
  WriteIn ('1 <= x <= 100, 1<=y <=100:');
```

```
  for x :=1 to 100 do
```

```
    for y :=1 to 100 do
```

```
      if 19*x+ 5*y=100 then
```

```
        WriteIn (' (x, y) = (', x, ', ', y, ');');
```

```
      Write ('დააჭირეთ <Enter>:');
```

```
    readIn;
```

```
  end.
```

ლაშა ბალახაშვილი

მდინარე არაგვის წყლის ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობა ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების შონზე

საქართველო ეკოლოგიურად სუფთა წყლის რესურსების ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მთისა და მთისწინა რეგიონებშია განთავსებული, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია რესპუბლიკის სასმელ-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების დასაკმაყოფილებლად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს მთის მდინარეთა უმრავლესობა, ღვარცოფული ხასიათისაა და ანთროპოგენულ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად მოქმედებს ადგილობრივი წყლის რესურსების ხარისხზე. სწორედ ასეთი ტიპის მდინარეა არაგვი, რომლის წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ქ. თბილისის და სხვა მჭიდროდ დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებისათვის გამოიყენება.

მდინარე არაგვის წყლის რესურსების ხარისხის შეფასებამ და დაკვირვების მასალების ანალიზმა (ტემპერატურა, წყალბადური მაჩვენებელი, წყალში გახსნილი ჟანგბადი და სხვ.) გვიჩვენა, რომ წყალმომარაგების შემთხვევაში, სანიტარული ნორმების მიხედვით, ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს არ აღემატება და წყლის ხარისხი ამ მაჩვენებლებით სრულიად დამაკმაყოფილებელია.

მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში, საერთო სანიტარული მაჩვენებლები (წყალში გახსნილი ჟანგბადი, ჟანგბადის ქიმიური და ბიოლოგიური სიდიდეები, მათი მაქსიმალური მნიშვნელობების შემთხვევაში), აჭარბებს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ რკინის შემცველობა წყალში 5 მგ/ლ-ზე მეტია, ამ დროს აერაციის ჩვეულებრივ ვითარებაში წყლიდან გამოიყოფა სამკვალენტოვანი რკინა, რკინის

ქანგის სახით, წყალი იძენს მღვრიე ფერსა და არასასიამოვნო სუნს, რის შედეგადაც წყლის სასმელად გამოყენება აღარ შეიძლება.

ყველაზე მეტად მდინარე არაგვის წყლის რესურსები დაბინძურებულია საერთო სანიტარული, ორგანოლექტიკური და სანიტარულ-ტოქსიკური ნივთიერებებით: წყალში შეწონილი ნივთიერებებით, ამონიუმის აზოტით, ნიტრატის აზოტით, ფენოლით, ნაეთობპროდუქტებით და რკინით.

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებით მდინარე არაგვის წყლის რესურსების დაბინძურება გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენული ფაქტორებით, ბუნებრივი ფაქტორებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდინარეთა აუზების ეროზიულ-დვარცოფულ მოვლენებს. ამის შედეგად წყლის ნაკადებში წარმოიქმნება დიდი რაოდენობის მყარი ნატანი, რაც ბუნებრივად აისახება წყლის ხარისხის მაჩვენებლებზეც, კერძოდ, პირდაპირი გზით იზრდება წყალში შეწონილი ნივთიერება, ხოლო არაპირდაპირი გზით ის იწვევს წყალში ქანგბადის შემცირებას, ეს უკანასკნელი კი აუცილებელია წყალში ცოცხალი ორგანიზმებისა და მიკროორგანიზმების არსებობისათვის.

მდინარე არაგვის წყლის რესურსები მნიშვნელოვნადაა დაბინძურებული და მრავალჯერ აჭარბებს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს ამონიუმის აზოტითა და ნიტრატებით. ამ ნივთიერებებით წყლის რესურსების დაბინძურება, ბუნებრივი ფაქტორების გარდა, გამოწვეულია ანთროპოგენული ფაქტორებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რევიონში სავარგული მიწის სიმცირის გამო მოსახლეობა უშუალოდ მდინარეთა ხეობებშია დასახლებული ყოველგვარი ნებართვებისა და რეკომენდაციების გარეშე. მდინარეების ხეობებშია განლაგებული მოსახლეობის კუთვნილი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სადგომები, საპირფარეშოები, საძოვრებზე ერეკებიან დიდი რაოდენობის პირუტყვს, რაც იწვევს ამ ადგილების ნიადაგის ძლიერ დაბინძურებას. აუზის მდინარეთა ეროზიულ-დვარცოფული ხასიათის გამო, მიმდინარეობს დაბინძურებული ადგილე-

ბის ჩამორიცხვა და ზემოაღნიშნული ნივთიერებების პირდაპირ მდინარეში ჩატანა, რაც აუარესებს წყლის ხარისხს.

მდინარე არაგვზე არსებული დაკვირვებებისა და კვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით წყლის რესურსების ხარისხი იონური და პიდრო-ქიმიური მახასიათებლების მაჩვენებლებით წელიწადის სეზონების მიხედვით იცვლება, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ და არაგვისათვის შემოვიტანოთ წყლის რესურსების ხარისხის შესაფასებლად ასეთი კლასიფიკაციები:

I კლასი: - წყალი ძალიან სუფთაა, II კლასი – წყალი სუფთაა; III კლასი – წყალი ძალიან მცირედაა დაბინძურებული; IV კლასი – წყალი მცირედაა დაბინძურებული; V კლასი – წყალი ძლიერ დაბინძურებულია; VI კლასი- წყალი ძალიან ძლიერაა დაბინძურებული.

მდინარე არაგვის წყლის რესურსებით წყალმომარაგების ვარგისიანობა, კლასიფიკაციის შესაბამისად, თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ II ხარისხს, რაც წყლის საჭირო მეთოდებით დამუშავების შემდეგ, მისი გამოყენების შესაძლებლობას გვაძლევს.

ანა გელაშვილი

იუპიტერი

იუპიტერი მზის სისტემის რიგით მეხუთე პლანეტაა. იგი იუპიტერისეული ჯგუფის მთავარი ცთომილია, რომელიც მთელს პლანეტურ სისტემაში უდიდესია ზომითა და მასით და მდიდარია თანამგზავრების რაოდენობით. იუპიტერის მასა 318-ჯერ აღემატება დედამიწისას. მისი ეკვატორული დიამეტრი 11-ჯერ მეტია დედამიწისაზე და 142796 კმ-ს აღწევს. პოლარული დიამეტრი კი 133800 კმ-ზე ნაკლებია, ანუ იგი შებრტყელებულია პოლუსებთან.

თავისი დიდი მასით იუპიტერი ძლიერ შემაშვოთებელ გავლენას ახდენს ცთომილებიან და კომეტების მოძრაობაზე.

შეუიარაღებელ თვალს იუპიტერი წარმოუდგება როგორც მოღურჯო-მომწვანო ფერის კაშკაშა მნათობი. მისი სიკაშკაშე-2.5 ვარსკვლავიერ სიდიდეს აღწევს. მცირე ძალის ტელესკოპშიც იგი სანახავად საინტერესოა და მიმზიდველი, წარმოადგენს მკაფიოდ შემოხაზულ დისკოს, რომლის კუთხური დიამეტრი პირისპირდგომაში, ანუ ოპოზიციაში 55"-მდეა, აშკარად მოჩანს რამდენიმე ზოლი, რომლებიც იუპიტერის ეკვატორისა და ერთი მეორეს პარალელურია, პლანეტის მახლობლობაში მოჩანს მისი 4 ყველაზე კაშკაშა თანამგზავრი: იო, ევროპა, განიმედე და კალისტო. მათ გალილეისეულ თანამგზავრებს უწოდებენ, რადგანაც გალილეიმ პირველმა დაინახა ისინი ჭოვრით, რომელიც ცის დასაკვირვებლად პირველად გამოიყენა XVII საუკუნის დასაწყისში.

იუპიტერის ზოლებს სხვადასხვა შეფერილობა აქვს: მოწითალო-მოყავისფრო, მოცისფრო: ზოგ მათგანს ჰკვეთს ბნელი ან ნათელი ლაქები. ეს წარმონაქმნები არცთუ მდგრადია. იცვლება ფერით, ინტენსივობით, მოხაზულობითა და მდებარეობით. მდებარეობას ცვლის პირველ რიგში თვით იუპიტერის ღერძის ირგვლივ ბრუნვა, რომელიც მის ეკვატორულ ზოლში გამოიხატება სიჩქარით: ერთი შემობრუნებას 9 საათსა და 50 წუთს ანდომებს, ხოლო ეკვატორიდან დაშორებულ განედებზე-თითქმის 10 საათს. აღნიშნულ ლაქებს საკუთარი გადაადგილებაც აქვს იუპიტერის მიმართ და საკმარისად დიდიც: 300 კმ-მდე საათში. ეს ლაქები იუპიტერის ატმოსფეროს კუთვნილი წარმონაქმნებია.

იუპიტერის ატმოსფეროს საშუალო სიმკვრივის შეფასება მოხერხდა იმის წყალობით, როცა 1952 წელს იუპიტერმა დაფარა საკმაოდ კაშკაშა ვარსკვლავი (ე.წ. ვერძის სიგმა) 75 წამს გრძელდებოდა მისი დაფარვა, რომლის სხივებმა განსჭოლა იუპიტერის ატმოსფერო, განსაზღვრულ იქნა ვარსკვლავის გამოსხივების შესუსტება პლანეტის ატმოსფეროს მიერ (5 ვარსკვლავიერ სიდიდემდე).

სპექტრული დაკვირვებებით დადგენილია იუპიტერის ატმოსფეროში მოლეკულური წყალბადის მეთანისა (CH₄) და ამიაკის (NH₃) არსებობა, მაგრამ მისი შედგენილობის მთავარი ელემენტებია წყალბადი და ჰელიუმი. რომელთა სიჭარბე წარმოადგენს პლანეტის მცირე საშუალო სიმკვრივეს. მეთანი გაზისებრ მდგომარეობაშია იმ დაბალი ტემპერატურის პირობებშიც, რაც იუპიტერზე სუფევს. ამიაკი კი იყინება უკვე -78-ის ტოლ ტემპერატურაზე.

ასე, რომ იგი კრისტალის სახით არსებობს იუპიტერის ატმოსფეროში, მსგავსად ყინულის კრისტალებისა ცირუსის ტიპის ღრუბლებში დედამიწაზე.

იუპიტერის სამხრეთ ნახევარსფეროზე მოჩანს შედარებით უფრო მდგრად მდგომარეობაში მყოფი ელიფსური მოყვანილობის დიდი მოწითალო ლაქა. რომლის ფართობი 400 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ბოლო დროს მტკიცდება შეხედულება, რომ წითელი ლაქა ციკლონისებური ბუნების წარმონაქმნია. იუპიტერს მიახლოებული კოსმოსური აპარატების მეშვეობით გადაღებულ ფოტოებზე მცირე ზომის ამგვარი ლაქებიც მოჩანს.

მზის გამოსხივება იუპიტერს 27-ჯერ ნაკლები ინტენსივობით აღწევს, ვიდრე დედამიწას.

ამ პლანეტის ერთობ დიდი მასისა და დაბალი ტემპერატურის გამო, მისი ატმოსფერო მკვრივი უნდა იყოს. ეს ფაქტორები მკვეთრად განასხვავებს იუპიტერის ბუნებას დედამიწისაგან. იუპიტერი არ უნდა წარმოდგენდეს ინტერესს მასზე სიცოცხლის არსებობის თვალსაზრისით.

იუპიტერი გამოასხივებს სხვადასხვა სიგრძის რადიოტალღებს, როგორც ეს აღმოეჩინეს 1955 წელს. ზოგჯერ განსაკუთრებით ინტენსიურია 13 მეტრის სიგრძის ტალღების რადიოგამოსხივება. მას ახსნას აძლევენ, როგორც ელექტური ხასიათის ძლიერი პროცესების გამოვლინებას, იუპიტერის ატმოსფეროს მძლავრ ციკლონებში. სიმძლავრით იუპიტერის ელექტი საშუალოდ რამდენიმე ათასჯერ აღემატება დედამიწის ელექტს. ელექტური მოვლენების არსებობას ის ფაქტიც ადასტურებს,

რომ იუპიტერის მახლობლობაში მფრინავი ამერიკული ავტომატური სადგურების მიერ რეგისტრირებულ იქნა მნათი ღრუბლები პლანეტის ღამის მხარეზე. თუმცა, ეს უფრო იუპიტერის პოლარული ნათების გამოვლინება იყო.

იუპიტერს, მისი ხილული ზედაპირის დონეზე, ძლიერი მაგნიტური ველი ახასიათებს დადგენილია იუპიტერის მომცველი მაგნიტოსფეროს არსებობაც, რასაც დედამიწის მაგალითით ვიცნობთ. ოღონდ იუპიტერის მაგნიტოსფერო უფრო მძლავრია და სივრცეში უფრო შორს განვრცობილი.

იუპიტერის ხილული დისკოს ცენტრის გარშემო დიდ არეზე პოლარიზაცია მცირეა, მაგრამ პოლარიზაცია იზრდება პოლუსებისაკენ. პოლარული არეებისათვის ელექტრული ვექტორის უპირატესი რხევის მაქსიმუმი სიბრტყე ლიმბის მიმართ რადიალურია, ხოლო პოლარიზაციის ხარისხი დადებითი.

ორფენოვანი მოდელის შემთხვევაში, იუპიტერის ღრუბლიანი ფენის ნაწილაკების საშუალო ზომაა $r=0.25$ მიკრონს და უღრუბლო ატმოსფეროს ოპტიკური სისქე კი $\tau=0.05$ -ის.

იუპიტერის ზედაპირზე მაგნიტური ველის დაძაბულობა 10 ერსტედია, ხოლო პლანეტის მაგნიტოსფეროს იუპიტერის 100 რადიუსის მანძილზე ვრცელდება.

იუპიტერს ახლავს 39 თანამგზავრი.

ანა გელაშვილი

მნათობთ ეკვატორულ კოორდინატებზე რეზრაქციის გავლენის ცხრილი

ციურ მნათობთა შესახებ ინფორმაციის უდიდეს ნაწილს გვაძლევს იმ სინათლის ანალიზი, რომელსაც მოცემული სხეულები გვაწვდიან და რომელიც სინათლის შემკრებ-ტელესკოპის გავლით მიემართება სინათლის მიმღებისაკენ. მაგრამ სინათლე, სანამ იგი ტელესკოპში მოხვდება მრავალ სხვადასხვა ფაქტორ-

რის ზეგავლენით ფოტომეტრიულ და ასტრომეტრიულ დამახინჯებებს განიცდის. მათგან ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სინათლის აბერაციები და დედამიწის ატმოსფეროს ზეგავლენით გამოწვეული რეფრაქციები იწვევენ მნათობთ ჭეშმარიტი კოორდინატების მეტ-ნაკლებ დამახინჯებას და გადაჰყავთ ისინი ხილულ კოორდინატებში. იმისათვის რათა ვაწარმოთ ასტრონომიული დაკვირვებები, საჭიროა შეგვეძლოს კატალოგური კოორდინატები ისე შევასწოროთ, რომ დასაკვირვებელი ობიექტი აღმოჩნდეს ტელესკოპის ხედვის ველის ცენტრის უშუალო მახლობლობაში, სადაც მცირეა დამახინჯებანი. გარდა ამისა, საჭიროა ხედვის ველში მოხერხებული ადგილმდებარეობა ეკავოს დასაკვირვებელ ობიექტს და მის გარშემო ფოტომეტრიულ და ასტრომეტრიულ სტანდარტებს.

აღრე, როცა დაკვირვებები წარმოებდა ფართოველიანი სინათლის მიმღებებით—ასტრონომიული ფოტომულსიებით, ტელესკოპის დაყენება ობიექტზე სირთულეებს არ იწვევდა. დღეს კი, როცა სინათლის მიმღებებად გამოიყენებიან მცირე ხაზოვანი ზომების მქონე მუსტაკავშირიანი მიმღებები — სირთულეები სახეზეა. ასე მაგალითად, თუ აღრე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის 70 სმ. მენისკურ ტელესკოპზე ფოტომულსიების ხმარებისას ხედვის ველი დაახლოებით 5 გრადუს შეადგენდა, დღეს მატრიცული მიმღების ხმარებისას მისი ველი სულ რაღაც რკალის 10 მინუტს შეადგენს. ეს გარემოება გვეკარნახობს ტელესკოპი რაც შეიძლება ზუსტად დავაყენოთ, რათა ობიექტი იყოს ველის ცენტრში.

მართალია ზემოაღნიშნული ტელესკოპის ექსპლოატაციის პირობებში სფერული აბერაციები სირთულეებს არ ბადებენ — რამდენადაც მათგან მეტად შესამჩნევი დაახლოებით რკალის 20 სეკუნდია—მაგრამ რეფრაქციის გავლენას ვერ უგულვებელყოფთ (აბერაციების გავლენა შესამჩნევი იქნება მხოლოდ გრძელფოკუსიან ტელესკოპებზე AZT 11—სა და AZT 14—ზე). რეფრაქციით გამოწვეული დამახინჯების სიდიდე მნათობის ზენიტური მანძილის ტანგენსის პროპორციულია და ჰორიზონტის მახლობლობაში ნახევარი გრადუსის რიგისაა. მართალია

დიდ ზენიტურ მანძილებზე ასტრონომები ერიდებიან დაკვირვებებს, მაგრამ არსებობენ ისეთი ფაქტორებიც, რომელთა გამოც, ასტრონომები მაინც აკვირდებიან ჰორიზონტის უშუალო მახლობლობაში. ჰორიზონტიდან 45 გრადუს სიმაღლეზე რეფრაქციით გამოწვეული გადახრა რკალის 1 მინუტს შეადგენს, მაგრამ უკვე 20 გრადუსზე იგი 3 მინუტამდეა, ხოლო 15 გრადუსზე 4 მინუტამდე, რაც უკვე საგრძნობია.

ამ გარემოებათა გამო მიზნად დავისახეთ შეგვედგინა მნათობთ ეკვატორული კოორდინატების რეფრაქციაზე შესწორების ცხრილები, რათა ასტრონომიული დაკვირვებებისას შეგვეძლოს სახელდახელოდ შევასწოროთ კოორდინატები.

ამ მიზნით გამოვიყენეთ მნათობთ ეკვატორულ კოორდინატებზე რეფრაქციის გავლენის ცნობილი ფორმულები და გამოვთვალეთ რეფრაქციის სიდიდეები საათური კუთხეებისა და დახრილობების მიხედვით. ჯერჯერობით ბიჯად საათიერი კუთხეებისათვის ავიღეთ 2 საათი, ხოლო დახრილობებისათვის 10 გრადუსი როგორც ირკვევა გრძელფოკუსიანი ტელესკოპების ექსპლოატაციისას საჭირო იქნება ცხრილების დამზადება უფრო მცირე ბიჯით. ჩვენს მიერ დამზადებული ცხრილი თან ერთვის სტატიას.

გიორგი გორგოძე

პოლიმეტალური მადნის ბენეზისი

დედამიწა საოცარი პლანეტაა პლანეტებს შორის, რომლითაც ამყოფს კაცობრიობა. ფლორა, ფაუნა, წიაღისეული საბადოები, სწორედ ეს უკანასკნელნი გვაძლევენ მყარ გარანტიას დედამიწაზე სიცოცხლისა.

დედამიწის ფართობის 3/4 წყალს, ხოლო 1/4 ხმელეთს უკავია. დედამიწა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, ესენია:

ბირთვი, მანტია და ქერქი. დედამიწის ბირთვი მისი ცენტრალური ნაწილია. მისი რადიუსი არის 3500 კმ. ბირთვის ტემპერატურა 6000 °C აღწევს. მანტია გარს აკრავს დედამიწის ბირთვს. იგი ვრცელდება ქერქიდან 2900 კმ-მდე სიღრმეში, ტემპერატურა არ აღემატება 2000-2500°C. დედამიწის ზედა, მყარ გარსს შეადგენს ქერქი. მისი სისქე 10-70 კმ-მდე მერყეობს. სიღრმის მატებასთან ერთად მატულობს ტემპერატურა და წნევა.

მანტიის და ქერქის საზღვარზე ხდება ქერქის ნივთიერების კრისტალური მდგომარეობიდან მანტიის პლასტიკურ ნივთიერებაში გადასვლა და ამის გამო პირველ რიგში სიმკვრივისა და დრეკადი ტალღების გავრცელების სინქარის ცვლილება. თავისი შედგენილობით დედამიწის ქერქი არაერთგვაროვანია და ამის გამო არაერთგვაროვანია სიმკვრივის მიხედვითაც. დედამიწის საშუალო სიმკვრივე არის 5,5 გრ/სმ³.

დედამიწის ქერქის და მთლიანად მის აგებულებას სწავლობს მეცნიერების ისეთი დარგები, როგორებიცაა: გრავიმეტრია, სეისმომეტრია, მაგნიტომეტრია, გეოთერმია და ა.შ.

დედამიწის ქვედა ფენები უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე კოსმოსური სივრცე. დედამიწის ქერქში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც კავშირშია მის უფრო ღრმა ფენებში მიმდინარე მოვლენებთან, საკმაოდ საინტერესოა და ამავე დროს რთული.

დედამიწის ქერქი, რომელიც გადატვირთულია წიაღისეული საბადოებით, იქმნებოდა მეტად რთულ და ტექნოლოგიურად საინტერესო პირობებში, რომლის ფორმირებას თავის მხრივ აკონტროლებდა დედამიწის უფრო ღრმა ფენებით გამოწვეული ფიზიკურ-ქიმიური პროცესები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი ნაშრომის მიზანია, ზოგადად და მარტივად წარმოგვედგინა ადანგეს უღელტეხილილის (აფხაზეთი) ტერიტორიაზე არსებული მადნების (პირიტ, პიროტინ-პოლიმეტალური) წარმოქმნის და შემდგომ გეოლოგიურ პერიოდში მიმდინარე პროცესები.

დღევანდელ პერიოდში სპილენძ შემცველი პოლიმეტალური, ლინზისებური ფორმის მადნები განთავისუფლებულია დანალექ და ვულკანოგენურ წყებებს შორის. ლინზისებრი ფორმის მადნები ერთმანეთისაგან მოშორებით, თითქმის ვერტიკალურად არიან განთავსებულნი. მკვლევარების მიერ ჯერ კიდევ 90-იან წლებში მადნების გენეზისის შესწავლის მიზნით გამოსაკვლევი ნიმუშები მოპოვებული იქნა სხვადასხვა ადგილებიდან, კერძოდ: დღიურ-ღია ზედაპირებიდან, რომლებსაც გაშიშვლებებს ეძახიან, „შტოლნიდან“ ე.ი. გამოქვაბულიდან, რომელიც ხელოვნურადაა გაყვანილი მადნის აღმოჩენის, წიაღისეულის დაზვერვის, რაოდენობის ანუ მარაგის მიზნით. ასევე ჭაბურღილიდან „კერნის“ სახით. ყველა ამ ნიმუშებიდან დამზადდა წესიერი გეომეტრიული „კუბის“ ფორმის ლაბორატორიული ნიმუშები. შემდგომში ყველა ეს ნიმუშები დამუშავდა ანუ გაიზომა მათი მაგნიტური მახასიათებლები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

1. მადანი თავიდან წარმოიქმნა ტბის ან ზღვის ფსკერზე. პიდროთერმალური ხსნარების შემოდინების შედეგად ილექებოდა საკმაოდ დიდი სიმძლავრის მასა, რომლის წარმოშობის თავდაპირველი ტემპერატურა დაახლოებით არის 120-130 °C .

2. შემდგომ გეოლოგიურ პერიოდში მძლავრი ტექტონიკური პროცესების შედეგად, რომლის დროსაც ხდებოდა გრანიტული

მასივების შემოჭრა, რომელსაც წინ უსწრებდა მაღალი წნევისა და ტემპერატურის მქონე ჰიდროთერმალური ხსნარების გავრცელება, რამაც გამოიწვია მადანშემცველი ტერიტორიის ნაწილობრივ ტრანსფორმირება და მათში არსებული მადნის გადაკრისტალდება.

3. პოლიმეტალური მადნების ის ნაწილი, რომელთაც განიცადეს მეორადი პროცესების ზეგავლენა მათი კრისტალიზაციის ტემპერატურა მერყეობს 350-380°C - ს ფარგლებში.

კობა თათეშვილი

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა საქართველოში

მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა მრავალფეროვნება ბიოსფეროს ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი თავისებურებაა, იგი ორგანული სამყაროს ევოლუციის შედეგია.

ხშირად ისმება კითხვა რა მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას?

პირველ რიგში ჩვენ ვკარგავთ გენოფონდს ანუ ბოტანიკურად სასარგებლო მცენარეებისა და შინაური ცხოველების რეზერვს, არავისთვის არ არის გასაკვირი, რომ მთელი რიგი კულტურული მცენარეები (სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი და სხვა), და შინაური ცხოველები (ძროხა, ცხვარი, ღორი და სხვა) წარმოშობილია ველური მცენარეებისაგან და გარეული ცხოველებისაგან. ე.ი. ველურ მცენარეთა ჯიშისა და გარეულ ცხოველთა მოსპობის შემთხვევაში იკარგება სელექციური მუშაობის საშუალება.

გარდა ამისა სახეობის მოსპობა ხშირ შემთხვევაში მთელი თანასახოგადობის ე.ი. ცხოველების, მცენარეების, მიკროორგანიზმების ცვლილებებს იწვევს, რადგან ერთის ამოვარდნამ ბიოცენოზიდან შეიძლება სხვა ორგანიზმების მოსპობა გამოიწვიოს.

ბიომრავალფეროვნებას წმინდა ეთნიკური მნიშვნელობა აქვს. როგორც რიგი მეცნიერები აღნიშნავენ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს ვეშაპების, დათვების, არწივების, წეროების, ბელურების გარეშე, ვინაიდან მისი არსებობა მათზე ნაკლებადაა დამოკიდებული, მაგრამ თუ ადამიანი გულგრილია ამ ცხოველების ყოფნა-არყოფნის მიმართ ის კარგავს გაცილებით მეტს ვიდრე რეალურად შეიძლება მათგან მიიღოს. სამწუხაროდ კაცობრიობა მთელი ისტორიის მანძილზე არ ითვალისწინებდა ამ სერიოზულ გაფრთხილებას რაც გამოიხატებოდა ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა მასიურ მოსპობაში. მარტო XIX-XX საუკუნეებში ეკონომიკის განვითარებამ ახალი სივრცეების ათვისებამ, გარემოს გარდაქმნამ და ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ მრავალი სახეობა გაანადგურა. XIX საუკუნის ბიოლოს დედამიწაზე მოისპო ცხოველთა 100-ზე სახეობა, ხოლო XX საუკუნეში 40 სახეობა.

უკანასკნელ ათწლეულში კავკასიაში განადგურდა ძუძუმწოვართა მრავალი სახეობა (ლომი, ავაზა, კანჯარი, ტარპანი, ვეფხვი, ცხენირემა. ფრინველები: დურაჯი, სავათი, ხონითქის ქათამი. უკვე ცოტაა დარჩენილი ხოხობი, გნოლი, შვეარდენი, ბეგობის არწივი, ორბი და სხვა.

მცენარეთა სამყაროში, უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე იჩნება ძვირფასი ტყის მასივები (მუხა, წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი, ნაძვი და სხვა. ბიომრავალფეროვნების დაქვეითებასთან დაკავშირებით პლანეტაზე ეკოლოგების წინაშე წამოიჭრა კიდევ ერთი სერიოზული, კლიმატის გლობალური დათბობის პრობლემა.

ველური მცენარეების გენოფონდის დაცვა ხერხდება მხოლოდ მრავალი ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გაფართოვებით, ამასთანავე დიდი ყურადღება ენიჭება სახეობების ნახევრადგაკულტურებას და გაკულტურებას, რომლის წყალობითაც დღემდე შემოგვრჩა სახეშეცვლილი სახეობები, (სიმინდი, სელი, კარტოფილი და სხვა).

მცენარეთა და ცხოველთა მონიტორინგს წარმოადგენს წითელი წიგნი, რომელშიც შესულია იშვიათი და დასაცავი მცენარეები და ცხოველები.

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ მძიმე კვალი დაამჩნია დაცულ ტერიტორიებს, რადგან ვერ მოხერხდა მათი დაცვა და მოვლა აკრძალული სამეურნეო საქმიანობისაგან

დიანა ივანიძე

უახლოესი კოსმოსის პრობლემა

ჯერ კიდევ გასული მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა რობერტ შეკლიმ გენიალურად განჭვრიტა მისივე თქმით „სრულიად წარმოუდგენელი“ პროფესია ე.წ. „ორბიტული მენაგვეები“. იმ დროისათვის ეს მართლაც წარმოუდგენელი, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში ფრიად გამართლებული რამ იყო. კოსმოსის ათვისებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტებიც. კოსმოსური ნაგავი არის კოსმოსში ადამიანის მოღვაწეობის ნეგატიური შედეგი. სიტუაციას ამ შემთხვევაში ართულებს კოსმოსური სივრცის თვითგაწმენდის თვისებების არ არსებობა. ამჟამად დედამიწის მსლობელ კოსმოსურ სივრცეში არსებული ნაგავის მთლიანი მასა შეადგენს დაახლოებით 3000 ტონას. დედამიწის ირგვლივ „დაეხეტება“ 7000-ზე მეტი მსხვილი ობიექტი: 1700-ზე მეტი ამორტიზებული თანამგზავრი და 5000-ზე მეტი რაკეტამატარებლების საფეხურებისა და ძირითადი ნაკვეთების გარსმდენების ნაწილები, საწვავის ავზები, გადასასვლელი ნაკვეთურები, ლუკები და სხვ.

ნამსხვრევეკვების ზომები (ნარჩენები) იცვლება ფართო დიაპაზონში. მუდმივად დაიკვირვება 10 სმ-ზე მეტი დიამეტრისანი 8000-მდე ნამსხვრევი, 100 ათასზე მეტი 1-დან 10 სმ-მდე

ზომების მქონე ჩამონატრები 300-დან 1600 კმ-მდე სიმაღლეებზე (მათი ორბიტების დედამიწიდან დაკვირვებებით გაკონტროლება შეუძლებელია). ზომების სიმეტრიის მიუხედავად მათგან მომდინარე საფრთხე რეალურია, რადგანაც ამ „პატარა მკვლელების” სიჩქარეები შემხვედრი აპარატების მიმართ ხშირად 10 კმ-ს აღწევს (მათ შეუძლიათ სკაფანდებისა და კოსმოსური სადგურის კედლების სერიოზული დაზიანება).

კოსმოსის დანაგვიანება გადაუღახავ სიძნელეებს უქმნის ასტრონომებს მუშაობაში. ორბიტულ ხარახურას სულ უფრო ხშირად მიყვავართ „მცდარ აღმოჩენამდე”, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია რაკეტების ჩამონატრებიდან მზის სინათლის არეკვლით. გარემო, რომელიც ბროლივით წმინდა უნდა იყოს, ემსგავსება „ჭუჭყს და მარაგნაწილებისაგან მომზადებულ კოქტილს.”

გარდა ამისა, ამჟამად დედამიწის ირგვლივ მოძრაობს 40-ზე მეტი ბირთვული ენერგეტიკული დანადგარი, უმეტესად იმ თანამგზავრების რეაქტორების ნაწილები, რომლებმაც დაასრულეს თავისი მუშაობა. იმისათვის, რომ არ დაცვივდნენ დედამიწის ზედაპირზე, ისინი გაყავთ მაღალ, სტაციონარულ ორბიტებზე. იქ ყოფნისას ეს „აწაწინა ჩერნობილები” თავის ირგვლივ ასობით კილომეტრზე გამოასხივებენ რადიაციას. ამგვარად, სამეცნიერო აპარატურისა და კოსმონავტების წარმატებული, უსაფრთხო მუშაობის პერსპექტივაში კონსტრუქტორებს მოეთხოვებათ ამ გარემოს გათვალისწინება.

თუ არ იქნა გადაუდებელი ზომები გატარებული კოსმოსის შემდგომი დაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით, მაშინ უახლოეს ათწლეულებში კოსმოსური ფრენები ძალიან გაძნელდება. წელიწადში 500 ან მეტი თანამგზავრის გაშვების შემთხვევაში ნაგლეჯი ფრაგმენტების საერთო რაოდენობა გაიზრდება გეომეტრიული პროგრესიით. საქმე გვექნება დედამიწის მახლობელი კოსმოსური გარემოს დაჭუჭყიანების ჯაჭვურ რეაქციასთან.

უსაფრთხოების რა მეთოდების გატარება იქნება საჭირო? კოსმოსის დაბინძურების შემცირების ერთ-ერთი გზა არის თანამგზავრების გაშვებათა რაოდენობის შეზღუდვა.

კოსმოსში შემდგომი კვლევების უსაფრთხო განხორციელებაზე ზრუნვა მრავალი ქვეყნის პრეროგატივაა. უახლოესი კოსმოსის სისუფთავის უზრუნველყოფისათვის საჭიროა საერთაშორისო ორბიტული კოსმოსური სამსახურის ორგანიზება, რომელიც იზრუნებს ნარჩენი კოსმოსური ობიექტების უტილიზაციაზე და დედამიწის მახლობელი სივრცის სისუფთავეზე. შესაძლებელი იქნება რაკეტების ამორტიზებული საფეხურების ორბიტიდან „ჩამოტანა“ და განადგურება, ხოლო ამოწურული რესურსების მქონე თანამგზავრების გადაყვანა „ხელსაყრელ მომენტამდე“ უსაფრთხო, არააქტიურად ექსპლოატირებად ტრაექტორიებზე. შემდგომ პერსპექტივაში, შესაძლებელია, სპეციალური კოსმოსური ხომალდების შექმნა, (თავისებური „სანაგვეები ორბიტებზე“), რომლებიც უზრუნველყოფენ ამორტიზებული ობიექტების შეგროვებას და დედამიწის მახლობელ სადგურებამდე ტრანსპორტირებას მათი შემდგომი რემონტის ან უტილიზაციის მიზნით.

ასეთი სამსახურის ორგანიზებას დასჭირდება ტექნოლოგიებისა და მათემატიკოსების, პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების ფართო თანამშრომლობა. ამ პროცესის გაწევა შეუძლებელია, რადგანაც უახლოესი კოსმოსი დღესდღეობით ისედაც ეკოლოგიურად არახელსაყრელ გარემოდ შეიძლება ჩაითვალოს. დღეს ყოველანაირად ცდილობენ კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი ნორმების საფუძვლების შემუშავებას.

შორენა კუპრაძე
თეონა ჩაჩანიძე

**რობორ მოვიზილოთ უცხოური
ინვესტიციები**

საქართველო ინვესტორებისთვის საკმაოდ რთულ საინვესტიციო გარემოს წარმოადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური არასტაბილურობით. როგორც უცხოური ინვესტორების გამოკითხვიდან გამოვლინდა საქართველოს ბიზნეს გარემო მათ მიერ აღიქმება როგორც ბიუროკრატიული და არაგამჭვირვალე.

ინვესტიციურ პროცესების განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს კვლავინდებურად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის: კრედიტებზე მაღალი პროცენტი, ორგანიზაციების და საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის რთული ფინანსური მდგომარეობა, ეკონომიკის რეალურ სექტორზე მაღალი საგადასახადო განაკვეთი, საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდების რისკი, კორუფცია, კონტრაბანდა, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების და ნებართვის მიღების სირთულეები. სერიოზული კაპიტალის შემოდინებას აფერხებს აგრეთვე მთავრობის მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა უცხოელი ინვესტორებისადმი და აგრეთვე სათანადო კანონების უქონლობა ან მოკლე დროში მათი ხშირი ცვლა. სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებენ უცხოელი ინვესტორები, როგორც სერიოზულ ხელის შემშლელ ფაქტორზე საქართველოში კაპიტალის დაბანდების საქმეში.

თანამედროვე ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხი მწვავედ დგას. ეკონომიკური კრიზისი და საინვესტიციო სახსრების შემცირება, გარდაუვალს ხდის უცხოურ ფინანსურ წყაროებთან დაკავშირების აუცილებლობას. მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე ახდენს სახელმწიფო პოლიტიკა კაპიტალდაბანდებებთან მიმარ-

თებაში. ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და მისი ზრდა წარმოუდგენელი უცხოური ინვესტიციების გარეშე.

უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. საქართველოში შემოდის ინვესტიციები, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის უფრო მეტი ინვესტიციებია საჭირო.

ინვესტიციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსური საქონელი, რომლის ფასს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედება განაპირობებს. ინვესტორის ქვეშ იგულისხმება კერძო პირი, წარმატებული კომპანია ან ბანკი.

კერძო პირი ან წარმატებული კომპანია საკუთარი სახსრების ჩადებით საზღვრავს თავის საქმიანობას, ბანკი კი ძირითადად კრედიტების გაცემას აწარმოებს.

ნებისმიერი ინვესტორი სვამს კითხვას-აანაზღაურებს თუ არა განხორციელებული პროექტი რეალიზაციასთან დაკავშირებულ პირვანდელ და სამომავლო ხარჯებს? მათ შორის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობა დროთა განმავლობაში ინფლაციის გამო ეცემა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამეურნეო განვითარებაში. ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალის განვითარების დროს უცხოურ კომპანიებს, როგორც წესი, თან შემოაქვთ ახალი ტექნოლოგიები და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები. ეს კომპანიები ხელს უწყობენ მსოფლიო ბაზარზე პირდაპირ გასვლას.

საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების შემოსავლის მატება პირდაპირაა დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში სასიკეთო საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები უახლოესი წლებისათვის უნდა იყოს წარმოების მოდერნიზება და სტრუქტურული გარდაქმნა, მრეწველობის

კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საექსპორტო საქონლის წარმოების გაზრდა.

უცხოელ ინვესტორთა საქმიანობას შესაძლოა უარყოფითი შედეგებიც მოჰყვეს მაგალითად მათ შორის საგულისხმოა ე.წ. “განდევნის ეფექტი” რაც შემდეგში მდგომარეობს: ჯერ ერთი კონკურენციული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე ეს კორპორაციები თვითონ “ითრევენ” ეროვნულ ბაზრებზე არსებულ რესურსებს, მათ შორის ფინანსების საგრძნობ ნაწილს. ამის თავიდან ასაცილებლად მრავალი ქვეყნის მთავრობებს შემუშავებული აქვთ თავიანთ მიუზრუნეობაში უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობები.

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოში იმატოს უცხოური ინვესტიციების დაბანდების ტემპებმა? ჩვენი აზრით პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ისეთი კანონები, რომლითაც დაცული იქნება უცხოელი ინვესტორები. ეს პრობლემა კარგად არის მოგვარებული აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. კერძოდ თუ უცხოელი ინვესტორი კაპიტალს დააბანდებს აზერბაიჯანში და ქვეყანაში რაიმე ცვლილება მოხდება ინვესტორი გარანტირებულია, რომ უახლოესი 10 წლის მანძილზე ეს მას არ შეეხება.

ინვესტიციების დაბანდების სფეროში ადრინდელი კანონმდებლობით საქართველოშიც იყო დაწესებული გარკვეული შეღავათები, რომელიც შემდგომში გაუქმდა. ეს კი უარყოფითად დაეტყო ამ საქმეს.

ვფიქრობთ შეღავათები ამ სფეროში მომავალშიც უნდა აღსდგეს, თუ გვინდა რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსავლის ტემპებმა საგრძნობლად იმატოს, როცა ინვესტიციის ორი ძირითადი წყარო ანუ სახელმწიფო და ადგილობრივი კერძო ინვესტიციები დაშრეტილია უნდა ამოქმედდეს მესამე წყარო ანუ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

ინვესტიციების მოზიდვას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი მათგან უმთავრესია სტაბილური პოლიტიკური ატმოსფერო.

ამ ფაქტორს ინვესტიციების სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გასულ წელს საქართველოში ორ მილიარდამდე ინვესტიცია შემოვიდა სხვადასხვა სფეროებში, ესენია: მრეწველობა, ენერჯეტიკა, საბანკო სფერო, სამშენებლო ბიზნესი, კავშირგაბმულობა, მცირე რაოდენობით სოფლის მეურნეობა და სხვა. ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციები დაბანდებული აქვს დაახლოებით 40-მდე ქვეყანას.

ხათუნა ლომსაძე თამარ სამსონიძე

მონაცემთა სტატისტიკური მონაცემების მახასიათებლების პროგრამული უზრუნველყოფა

სხვადასხვა სახის ეკონომიკური თუ სამეცნიერო საქმიანობის დროს ხშირად საჭიროა მონაცემთა ისეთი სტატისტიკური მახასიათებლების გამოთვლა, როგორცაა აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირეები, მათემატიკური ლოდინი, მაქსიმუმი, მინიმუმი, დიაპაზონი (გაბნევა ანუ განი), საშუალო კვადრატული გადახრა ანუ დისპერსია და სხვა.

ამ მახასიათებელთა ცოდნა, გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ხშირად გვეჭირდება და მათი ხელით გამოთვლა მოითხოვს დიდ გონებრივ და დროით დანახარჯებს. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა კომპიუტერის პროგრამა, რომლის საშუალებით ნებისმიერი მსურველი შეიძლება მიეღოს ამ სიდიდეთა მნიშვნელობები ავტომატურად.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად დაგვაგდით ორი სტუდენტი და ჩვენ ეს ამოცანა გადავწყვიტეთ ორ ვარიანტად, ანუ თითოეულმა ჩვენთაგანმა გააკეთეთ თითო პროგრამა.

პირველ პროგრამაში გათვალისწინებულია მონაცემების და მათი სიხსშირეების კომპიუტერში შეტანა, კომპიუტერი კი

დაგვიბრუნებს ზემოთაღნიშნულ სტატისტიკურ მახასიათებლებს.

მეორე პროგრამაში კი კომპიუტერს მივაწოდებთ მხოლოდ მონაცემებს და კომპიუტერი დაგვიბრუნებს როგორც სიხშირეებს ასევე დანარჩენ სტატისტიკურ მახასიათებლებს.

შეგახსენებთ ზემოთჩამოთვლილი მახასიათებლების შინაარსს:

აბსოლუტური სიხშირე არის მთელი რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ გვხვდება ესა თუ ის მნიშვნელობა მონაცემთა სიმრავლეში.

ფარდობითი სიხშირე არის რაციონალური რიცხვი, რომელიც აბსოლუტური სიხშირის მონაცემთა საერთო რაოდენობასთან შეფარდების ტოლია.

მათემატიკური ლოდინი არის ყველა მონაცემის საშუალო არითმეტიკული.

მაქსიმუმი და მინიმუმი ცხადია ვიცით რას წარმოადგენს, დიაპაზონი ანუ განი არის სხვაობა მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის.

საშუალო კვადრატული გადახრა არის მონაცემთა მათემატიკური ლოდინიდან გადახრების (მათი სხვაობების) კვადრატების საშუალო არითმეტიკულიდან კვადრატული ფესვი.

პროგრამაში გამოყენებულია ჩვენს მიერ შედგენილი ორი ქვეპროგრამა. ესენია ვექტორის კომპონენტების ანუ მასივის ელემენტების ეკრანზე ფორმატირებულად ეკრანზე გამოტანის ქვეპროგრამა პროცედურა და სიხშირეთა გამოთვლის ქვეპროგრამა პროცედურა. ორივე ქვეპროგრამისათვის საწყის მონაცემებს წარმოადგენს რიცხვითი მასივი და მისი სიგრძის მჩვენებელი ცვლადი. სიხშირეთა გამოთვლის ქვეპროგრამას საწყისი მონაცემები უნდა მივაწოდოთ არაკლებადი მიმდევრობის სახით დალაგებული, რომლის შემდეგ გამოთვლის ის და დაგვიბრუნებს როგორც აბსოლუტურ ასევე ფარდობით სიხშირეებს.

ორივე პროგრამა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში: მოგვთხოვს საჭირო სიდიდეებს და დაგვიბრუნებს შესაბამის შედეგებს მომხმარებლისათვის თვალსაჩინო სახით.

პროგრამები დაწერილია ალგორითმულ ენა პასკალზე.
ამ პროგრამასთან მუშაობისათვის საჭიროა გვქონდეს
სამი ფაილი:

MLMEDMOD.EXE

KGD.COM

MLMEDMOD.BAT

გაეუშვებთ შესრულებაზე MLMEDMOD.BAT

პროგრამას და გაიმართება დიალოგი მომხმარებელსა და
კომპიუტერს შორის ზემოთაღწერილი წესის მიხედვით.

მანანა მადრაძე

მზის მოძრაობის ჰიპოთეზის თეორია

აღამიანებმა უხსოვარი დროიდან გამოარჩიეს ღამის ცაზე თანავარსკვლავედებს შორის „მოხეტიალე“ შვიდი მნათობი: მზე, მთვარე, მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი (ცივილიზებული ერების მეტყველებაში სწორედ მათი სახელწოდებანი დაედო საფუძვლად კვირის დღეების სახელებს), რომელთა მოძრაობის კანონზომიერებათა დადგენის მცდელობამ დიდი როლი შეასრულა ასტრონომიის, როგორც უძველესი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისით უდიდესია ბერძენ ასტრონომთა დამსახურება, რომლებმაც გარდა ასტრონომიული დაკვირვებების წარმოებისა დიდი ყურადღება დაუთმეს ბუნების მოვლენათა გამომწვევი მიზეზების კვლევასაც.

მზის სისტემის სხეულთა (თანამედროვე გაგებით) მოძრაობის კინემატიკური თეორიის დასრულება წილადხვდა დიდ ალექსანდრიელ სწავლულს პტოლემეს, რომელმაც ბერძენ ასტრონომთა თეორებისა და სხვა ქვეყნებში წარმოებული ასტრონომიული დაკვირვებების გაანალიზების საფუძველზე ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში შექმნა ასტრონომიული

თხზულება “მათემატიკური ტრაქტატი ასტრონომიაში 13 წიგნად,” რომელიც დღეს ცნობილია სახელით „ალმაგესტი“ (ქართულად ნიშნავს „ღიად ნაგებობას“). ანტიკური ხანის ასტრონომიის ამ თავისებურ ენციკლოპედიაში გადმოცემულია სამყაროს (ძველი გაგებით) აგებულების თეორია, რომელშიც მზისა და მთვარის მოძრაობის თეორია უცვლელად აქვს გადმოცემული იმ სახით, როგორც იქნა დამუშავებული ძველი დროის უდიდესი ასტრონომის ჰიპარქეს მიერ.

ჯერ კიდევ ჰიპარქემდე ბაბილონელმა და ბერძენმა ასტრონომებმა შეამჩნიეს განსხვავებანი წლის სეზონების ხანგრძლივობებში, რაც უთუოდ მზის მოძრაობის უთანაბრობით იყო გამოწვეული. ჰიპარქემ მიზნად დაისახა არისტოტელეს მოძღვრების ჩარჩოებში აეხსნა მზის ხილული მოძრაობის უთანაბრობის გამომწვევი მიზეზები. მან ამ მიზნით პირველ რიგში დაადგინა წელიწადის ხანგრძლივობა იმ დროისათვის შესაშური სიზუსტით – 6 წუთი, ხოლო შემდეგ წლის დროთა ხანგრძლივობანი. მათი ანალიზის საფუძველზე მან დაუშვა, რომ დედამიწის გარშემო წრიულ ორბიტაზე თანამბრად მოძრავი მზის ხილული მოძრობის უთანაბრობა გამოწვეულია დედამიწის ექსცენტრული მდებარეობით ორბიტის შიგნით. ამის შემდეგ მას არ გაძნელება განესაზღვრა რა მანძილზე და საით უნდა ყოფილიყო დედამიწა გადანაცვლებული მზის ორბიტის ცენტრიდან და გამოიყვანა ფორმულა, რომლის საშუალებითაც გამოითვლებოდა მზის ეკლიპტიკური გრძელი დროის ნებისმიერი მომენტისათვის, რაც მოასწავებდა იმას, რომ მზის მოძრაობის თეორია დასრულებული იყო.

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია ჰიპარქეს თეორიის სიზუსტე. მისი თეორიით განსაღვრული ეფემერიდების (მნათობთ ეკვატორული კოორდინატები დროის მოცემული მომენტებისათვის) შედარებით თანამედროვე მონაცემებთან. ამ მიზნით ასტრონომიული ყოველწლიურიდან ამოვიწერეთ ასტრონომიული თვალსაზრისით წლიური სეზონების დადგომის თარიღები და აგრეთვე დედამიწის აფელიუმსა და პერიჰელიუმში გავლის მომენტები 1986 წლისათვის. ამ მონაცემების საშუალებით ჰიპარქეს მსგავსად დავადგინეთ ე.წ. მზის ექსცენტრისიტეტი და პერიჰელიუმის

გრძელი (შესაბამისად $\nu=0.03345$ და $\delta=282^{\circ} 94413$). შემდეგ 1988 წლის ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის გამოვითვალეთ მზის ეკლიპტიკური გრძელი ჰიპარქეს მიერ გამოყვანილი ფორმულის საფუძველზე. დაბოლოს ეკლიპტიკური კოორდინატები გადავიყვანეთ ეკვატორულში და მიღებული შედეგები შევადარეთ 1988 წლის ქართული ასტრონომიული კალენდრის სათანადო მონაცემებს. შედეგების შედეგად გაირკვა, რომ სხვაობათაგან უდიდესი არ აღემატება რკალის 15 სეკუნდს, რაც მეტყვევებს ჰიპარქეს თეორიის იმდროინდელ დიდ სიზუსტეზე (ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ პტოლემეს გეოცენტრულმა თეორიამ საკმარისად დიდ დროს გაუძლო). გამოთვლები ჩატარდა პროგრამირებად 3–34 კალკულატორზე.

მანანა მადრაძე

რატომ ჩამოწიეს პლანეტა პლუტონი დიდი პლანეტების სიდიდან

პლუტონი ერთობ მკრთალ მნათობად გამოიყურება ტელესკოპში. მისი სიკაშკაშე დაახლოებით მე-15 ვარსკვლავური სიდიდით გამოიხატება. პლუტონიდან მზე უნდა მოჩანდეს როგორც ძალიან კაშკაშა ვარსკვლავი, მიუხედავად უზარმაზარი დაშორებისა, იგი პლუტონს აწვდის 250–ჯერ მეტ სინათლეს, ვიდრე სავსე მთვარე. ჩვენ შეუიარაღებელი თვალით დედამიწას ვერ დავინახავთ. ამასთანავე იქიდან ხილული დედამიწა არ იქნება დაშორებული მზეს ერთ – გრადუსზე მეტი კუთხური მანძილით.

ბოლო 10–15 წელიწადში აღმოაჩინეს რამდენიმე “მეათე პლანეტა”, რომლებიც ნეპტუნის ორბიტის გარეთ მოიქცევიან. მათი ზომები ათეულობით კმ იყო, უკანასკნელისა კი 1000 კმ–ს ბევრად სჭარბობდა, ანუ უახლოვებოდა პლუტონის ზომებს. ბუნებრივია, ყველა მათგანი ერთდროულად მეათე პლანეტა ვერ იქნებოდა. ამასთან, გამოირკვა, რომ პლუტონი

ყველა მონაცემით მათ უფრო ჰგავს, ვიდრე 8 დიდ პლანეტას. ასტრონომები უფრო სამართლიანად თვლიდნენ ციურ სხეულთა გარდამავალი კლასის შემოღებას და მასში პლუტონის “გადასროლას”, ვიდრე დიდი პლანეტების სისტემის უზომოდ გაზრდას ამ უდიდამო ობიექტებით. გასულ წელს ასტრონომებმა ზუსტად გაზომეს 2003 წელს აღმოჩენილი მინი პლანეტა ლილა, რომელიც მზიდან პლუტონზე 2,5-ჯერ შორსაა, თუმცა 240 წლის მერე 36 ა.ე. მანძილზე გაივლის პერიპელიუმში, და აჩვენებს, რომ დიამეტრით (3000 კმ) იგი 700 კმ-ით სჭარბობს პლუტონს. ამრიგად, პლუტონმა თვით კოიპერის სარტყლის წევრებს შორისაც კი დაკარგა პირველი ადგილი, ამიტომ დიდ პლანეტათა სისტემაში მისი შენარჩუნება მეტად პრობლემური გახდა.

2006 წლის ზაფხულში, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მორიგ ასამბლეაზე პრავაში, შესაბამისმა კომისიამ განიხილა პლუტონის საკითხი. გადაწყდა, პლუტონი გამოყვანილ იქნეს დიდი პლანეტების სიიდან და შეყვანილ იქნას ახლად შექმნილ, ასტეროიდებსა და დიდ პლანეტებს შორის გარდამავალ სისტემაში. ეს სისტემა შეიცავს უდიდეს ასტეროიდებს; ცერერას კვაროს და სხვ., აგრეთვე პლუტონს და ქარონს, ამჟამად საკმაოდ მცირე რიცხოვანია, მაგრამ მომავალში შეიძლება პირიქით, მრავალრიცხოვანიც გახდეს.

შეეგუება ამას ყველა ასტრონომი? საეჭვოა! ბევრი უკვე პროტესტს გამოთქვამს. თითქმის საუკუნოვანი ტრადიცია ძნელი დასაძლევია და ჩვენი თაობის ცნობიერებაში პლუტონი მუდამ პლანეტად დარჩება. მით უფრო ვერ შეეღვევიან მას ასტროლოგები, რომლებიც ამ ობიექტს სრულიად გარკვეულ მისიას “აკისრებენ” კაცობრიობის ბედის წარმართვაში (ცხადია სრულიად დაუსაბუთებლად!) მაგრამ ფაქტები სიმპათიებზე ძლიერია. ისე კი, ამ მაგალითზე ცხადი ხდება ზოგი მეცნიერული ცნებების პირობითობა. კერძოდ არ არსებობს მკაცრი კრიტერიუმი (ზომის, მასის, ფორმის და ა.შ.) რომელიც გაავლებდა ზღვარს პლანეტასა და უბრალო შემკვრივებს შორის.

პლუტონის “პლანეტურ” პოზიციებს ამაგრებს ერთი ახალი აღმოჩენა. უკვე 2005 წელს, ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპით გადაღებულ ფოტოგრაფიებზე ასტრონომებმა პლუტონის სისტემაში, ქარონს გარდა, ორი უცნობი თანამგზავრი შენიშნეს. კოიპერის სარტყელის ობიექტთა შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელთა, ბრანისა და ჰ. ვივერის გამოკვლევებით, ეს თანამგზავრები, წინასწარი აღნიშვნებით s/2005 p1 და s/2005 p2, პლუტონიდან შესაბამისად 49 000 და 65 000 კმ მანძილებზე გარემოიქცევიან წრიულ ორბიტებზე, ქარონის ორბიტის სიბრტყეში. ისინი ქარონზე რამდენიმე ასეულჯერ მკრთალებია, ზომით კი ათჯერ მაინც ჩამორჩებიან. ასეთ მცირე ობიექტების აღმოჩენის სიძნელე ასეთ გიგანტურ მანძილებზე მეტყველებს, რომ შეიძლება პლუტონის სხვა თანამგზავრებიც აღმოჩნდეს და სწორედ ამის გამო პლანეტა პლუტონი ჩამოიწერა დიდი პლანეტების სიიდან.

მანანა მალრაძე

უკვდავება

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებენ თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ასეთი პიროვნება გახლდათ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, რომელმაც საქართველოში დააფუძნა ასტრონომიული მეცნიერება. იგი დაიბადა 1907 წელს 31 ოქტომბერს და სრულიად ახალგაზრდა კაცი 1932 წლის 8 თებერვალს დაინიშნა საბჭოთა კავშირში პირველი სამთო-ასტროფიზიკული ობსერვატორიის დირექტორად, რომელსაც 60 წელი უძღვებოდა. სწორედ აქედან დაიწყო ქართული ასტრონომიის ისტორია.

განუსაზღვრელია ევგენი ხარაძის როლი აბასთუმნის ობსერვატორიის განვითარებასა და საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვების საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია მისი

მეცნიერული შედეგები და დიდი სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობა.

აღნიშვნის ღირსია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი მეცნიერებების, დიდი ყურადღება ლიტერატურის, ენის ისტორიის, არქეოლოგიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სახელმწიფო და სამართლის დარგების მიმართ.

ის იყო პიროვნება, რომელიც ყველა ადამიანში უპირველესად ღირსებას და დადებითს ეძებდა, სულიერად თუ მატერიალურად, ჭირსა თუ ლხინში, ყველას გვერდში ედგა.

უდიდესი პატრიოტის ცხოვრება მხოლოდ მეცნიერებით არ იფარგლებოდა. იგი იყო ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი. თავისი მოღვაწეობის პერიოდში ათეულობით მეცნიერი აღუზარდა ქვეყანას, მან საიმედო ხელს ჩააბარა ქართული ასტრონომია.

ბატონ ეგენი ხარაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებაში. ამ ისტორიულ მხარეში ათეული წლების მანძილზე არ წამოწყებულა მცირე თუ დიდი საქვეყნო საქმე, სადაც თავისი ღვაწლი არ შეეცანა. იგი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა კურორტ აბასთუმნის შენება-აღორძინებას, მისი დიდი დამსახურებაა აბასთუმანში საშუალო სკოლის ორი შენობის აშენება. მარტო ამით არ ამოიწურება მისი ღვაწლი აბასთუმნის საშუალო სკოლისადმი. იგი გამუდმებით ზრუნავდა მათი მატრეილურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. მისი ინიციატივით და თაოსნობით აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კოლექტივი ათეული წლების მანძილზე გვერდით ედგა, შეფობას უწევდა სკოლას. ობსერვატორია სკოლას მატრეილურადც ეხმარებოდა, მათი დახმარებით მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, სკოლას გადასცეს 500-ზე მეტი სამეცნიერო ლიტერატურა, ამასთან ბატონი ეგენი თავისი ხელფასიდან ყოველწლიურად სკოლას უწერდა სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო ეგენის დახმარებით რეგიონში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო აბასთუმნის საშუალო სკოლამ კომპიუტერები.

შეუფასებელია ყოველდღიური ზრუნვა, რასაც ბატონი ვეგენი იჩენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიმართ, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

1950 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წ. კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1984 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1959-1965 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

1972-1978 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1978-1986 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

1982-1986 წწ. იყო საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

1990-2001 წწ.-მდე იყო ობსერვატორიის საპატიო დირექტორი.

1992 წლის 21 სექტემბერს გახსნა თსუ მესხეთის ფილიალში ასტრონომიის ფაკულტეტი.

1976 წლის 25 ოქტომბერს დანიელმა ასტრონომმა, ამჟამად ევროპის სამხრეთ ობსერვატორიის მიუნხენის ცის ატლსის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, დოქტორმა რიჰარდ ვესტმა აღმოაჩინა ასტეროიდი, რომელსაც უწოდა „ხარაძე“. ეს სახელწოდება 1979 წელს დაამტკიცა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მცირე პლანეტების ცენტრმა.

აკადემიკოსი ვეგენი ხარაძე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული რამდენიმე ასტრონომიული სახელმძღვანელოს ავტორი და თანამედროვე ქართული ასტრონომიული ტერმინოლოგიის შემქმნელია, კერძოდ:

- I. ასტრონომიის საფუძვლები ორ ტომად;
- II. სამყაროს აგებულება მეცნიერების თვალთ;
- III. ასტრონომია და სამხედრო საქმე;
- IV. 14000 ვარსკვლავის ფერის მანვენებლის კატალოგი;

V. ზოგადი ასტროფიზიკის კურსი;

VI. მზე;

VII. ასტრონომიული ამოცანები უძველესი დროიდან XX ს-ის მიწურულამდე.

საშუალო სკოლის „ასტრონომია“ 1950-წლიდან.

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე გარდაიცვალა 2001 წლის 10 ოქტომბერს, დასაფლავებული დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

უკვდავია მისი სახელი, ისევე როგორც მარადიულია ჩვენი სამყარო.

ხატია მინაძე

ლითოსფერული ფილემის დინამიკა

დედამიწის ქერქი განიცდის მუდმივ მოძრაობას, რომელსაც თან სდევს ისეთი კატაკლიზმები, როგორცაა: მიწისძვრა, ვულკანური ამოფრქვევა და ცუნამი.

მოსსენების მიზანია გამოვიკვლიოთ ლითოსფერული ფილემის მოძრაობა GPS-ის მეთოდით და ამაზე დაყრდნობით დავადგინოთ სეისმურად აქტიური დედამიწის ქერქის სხვადასხვა რეგიონები. ეს გამოკვლევები საშუალებას მოგვცემს სეისმურ აქტივობაზე დამოკიდებულებით დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში განვავითაროთ ესა თუ ის ინფრასტრუქტურა.

მეცნიერთა შეფასებით დედამიწა დაახლოებით 4,5 მილიარდი წლისაა და იგი იარსებებს 9-10 მილიარდ წელს. დედამიწის ფორმას გოლი ჰქვია. თვითონ დედამიწის ქერქი არაერთგვაროვანია. მისი უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა) 8848 მეტრია და მარიანის ღრმულის სიღრმეა 10911 მ. ასევე მისი ეკვატორული რადიუსი არის 6378 კმ, პოლარული კი – 6357 კმ.

დედამიწის ქერქის ქვეშ მოთავსებულია ლითოსფერო. იგი ბერძნული სიტყვაა. ლითო ნიშნავს ქვას, სფერო-სფეროს,

ამიტომ და დედამიწა მყარი გარსი. დედამიწის ცენტრში ხდება რადიოაქტიური ელემენტების, იზოტოპების დაშლა, რაც წარმოქმნის 7000კ და 360 პასკალ წნევას. ეს ქმნის 7000 კელვინი 360 გიგა გაგარვარებულ ლავას. ამ ელემენტების ნახევარდაშლის პერიოდია მილიარდი წლები.

არსებობს კონტინენტური და ოკეანისებრი ლითოსფერო. ლითოსფერული ფილების მოძრაობას აღწერს ტექტონიკა. დიდი და მცირე ლითოსფერული ფილები „ცურავს“ გაგარვარებულ ასტენოსფეროს ლავაში. ისინი ზოგჯერ უახლოვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, ზოგჯერ ერთი მიმართულება აქვთ, ხოლო სიჩქარე სხვადასხვა, ან საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ. სწორედ ეს მოძრაობა წარმოქმნის დაძაბულობას, რომელსაც თან სდევს კატაკლიზმები ვულკანების, მიწისძვრისა და ცუნამის სახით, გარდა ამისა, დედამიწის ქერქი განიცდის დეფორმაციას.

ლითოსფეროს და ასტენოსფეროს ფენების განსხვავებულობის გამო, მათ შორის წარმოიქმნება სეისმური ძალები, რასაც მივყავართ დედამიწის ქანების რღვევასთან. სწორედ ამ მოვლენების შესწავლას ცდილობს ადამიანი, რადგან მოახდინოს პროგნოზირება. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ამ მოვლენის მიმართ ცხოველებს აქვთ წინათგრძნობა. ყოველივე ამის გამო, საინტერესოა ლითოსფერული დინამიკის შესწავლა, მაგრამ ლითოსფერული ფილების მოძრაობა ხდება წელიწადში მილიმეტრებში და სანტიმეტრებში, რის გამოც შეუძლებელია მისი შესწავლა. მის შესასწავლად დაგეგმმარა GPS გლობალური პოზიტირების სისტემა. GPS ემყარება სივრცეში მოძრავი სხეულის კოორდინატების განსაზღვრის მეთოდს. შეიქმნა აშშ-ში, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ სამხედრო მიზნებს, მაგრამ 1983 წლიდან მისი 95% უკვე გამოიყენებოდა სამოქალაქო მიზნებისათვის.

GPS-ის ძირითად საფუძველს წარმოადგენს არაუმცირეს 24 დედამიწის ორბიტალური სატელიტი, რომლებიც მთლიანად ფარავენ დედამიწის მთელ ზედაპირს. ისინი მოძრაობენ დედამიწის ზედაპირიდან 20350 კმ და მუდმივად გზავნიან რადიოსიგ-

ნალებს. (რომელთა სიხშირეებია: $\lambda_1=1575,4$ ზ და $\lambda_2=1227,6$ ზ, λ_1 განკუთვნილია სამოქალაქო მიზნებისათვის, λ_2 სამხედრო (უფრო ზუსტი) მიზნებისათვის. ე.ი.) GPS თანამზავერი აღჭურვილია ამ სიხშირეების გენერატორებით და ზუსტი ატომური საათებით.

რადიოსიგნალები ვრცელდება სინათლის სიჩქარის მსგავსად. ამ რადიოსიგნალების დასაფიქრებლად საჭიროა, რომ იგი მოხვდეს 3 სატელიტური სადგურების მხედველობის არეში, სადაც მოთავსებულია ამ სიგნალების მიმღებები. ლითონფერული ფილების მოძრაობების შესასწავლად ასეთი მიმღებები განთავსდება მდგრადი ქანების ადგილას. GPS-ში გამოყენებული უახლესი ტექნიკა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოძრაობის სხეულის კოორდინატი მილიმეტრზე ნაკლები სიზუსტით.

GPS-ის დღეს გააჩნია დიდი გამოყენების შესაძლებლობა. დაკარგული მანქანის (ან რაიმე საგნის) კოორდინატების დადგენა დროის ნებისმიერ მომენტში. ავტომობილი, რომელიც აღჭურვილია GPS- პროგრამით, თუ მას დაეუსვამთ ამოცანას ამა თუ იმ მისამართზე მიყვანისა, თვითონ შეგიჩვენებს მარშრუტს.

ლითონფერული ფილების დინამიკის შესწავლის GPS-მეთოდი საქართველოში 16 წლიანი დაკვირვების საფუძველზე აღგენს, რომ დიდი და მცირე კავკასიონი მოძრაობს შემხვედრი მიმართულებით 2 მმ/წელიწადში სიჩქარით. არსებობს 2 სმ/წელიწად სიჩქარის ფილები, სადაც არ შეიძლება მეგაპოლოსების შენება. უმჯობესია, რომ განვითარება ჰპოვოს ავროტექნიკამ.

თამარ მოსიძე

ბანტოლუმის მიახლოებითი ამოხსნა EXCEL-ში

მოცემული გვაქვს განტოლება:

$$x^3 - 0.01x^2 - 0.7044x + 0.139104 = 0$$

თავდაპირველად ავაგოთ პოლინომის ცხრილი, რომელიც იქნება [-1.1]

შუალედში, ბიჯით 0.2.

თუ ჩვენ BB2-ში აკრიფავთ $=A2^3-0,01*A2^2-0,7044*A2+0,139104$

ფორმულას და მივცემთ ენტერ ბრძანებას, ამის შემდეგ გამოვა პოლინომის შესაბამისი მნიშვნელობები. იმისთვის რომ ავაგოთ პოლინომის შესაბამისი გრაფიკი, მივცემთ `chart wizard_standard types_xy(scatter)` ბრძანებებს და ავირჩევთ სასურველ გრაფიკს:

გრაფიკიდან ჩანს, რომ პოლინომი იცვლის ნიშანს [-1;-0.8], [0.2;0.4] და [0.6; 0.8]

შუალედებში.

განტოლების ფესვების მოძებნა შესაძლებელია შემდეგი ბრძანებების დახმარებით:

სერვისი- პარამეტრების შერჩევა (ტოლს-გოალ სეეკ).

ფარდობითი ცდომილება გამოთვლებისა და ინტერაციათა რიცხვი მიეთითება:

სერვისი-პარამეტრების შერჩევა-გამოთვლები (tools_options_calculation).

ფანჯარაში ოპტიონს ჩავრთოთ კლავიშა ცალცულატიონ ველში მახიმუმ ცტერატიონს:

აკრიფოთ ინტერაციათა რაოდენობა: ველში მახიმუმ ცპანგე: აკრიფოთ სიზუსტე 0.001 მეათასედამდე ან 0.00001 მეასიათასამდე და ა.შ. შემდეგ ოკ. ფესვების საწყის მიახლოებად ავიღოთ ნებისმიერი მნიშვნელობა ნიშანცვლადობის შუალედიდან. ავიღოთ საშუალო მნიშვნელობები [-1;-0.8] დან -0.9, [0.2;0.4] დან-0.3, [0.6;0.8] დან-0.7 და შევტანოთ ისინი C2:C4 უჯრათა დიაპაზონში C2-0.9, C3-0.3 და C4-ში -0.7.

2 უჯრაში აკრიფოთ ანალოგიური ფორმულა რაც თავდაპირველად გეკონდა A2-სათვის, ოღონდ ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ C2-სთვის. ენტერ-ის მიცემით გამოვა ფუნქციის მნიშვნელობები. შემდეგ ვიძახებთ ბრძანებას tools-goal seek და გამოსულ ფანჯარაში goal seek-ში სეტ cell-ში განტოლების მარცხენა მხარეს მივუთითოთ პირველი ფესვისთვის ფუნქციის მნიშვნელობის უჯრა ანუ უჯრა D2 ასე \$D\$2. თო ვაღუე ველში აკრიფოთ განტოლების მარჯვენა მხარე ანუ 0-ი, ხოლო ველში By changing cell-ში აკრიფოთ ცვლადის(ფესვის) უჯრა C2 -\$C\$2 სახით. უჯრაში C2 გამოვა შერჩეული ფესვი მითითებული სიზუსტით, ხოლო D2-ში ფუნქციის მნიშვნელობა C2-ში. D2-ში 0.92034, C2-ში 0.00063. ფანჯარაში

goal seek-status-Si . ფუნქციის მნიშვნელობა current value-ში. მსგავსად ვიქცევით დარჩენილი ორი ფესვისთვისაც.

ანალოგიურად შეიძლება ამოიხსნას ნებისმიერი განტოლება, ოღონდ ფესვის მიახლოებითი მოძებნისას, შუალედის დადგენისას სასურველია ფუნქციის მოკლე ანალიზი, უმჯობესია გრაფიკული ანალიზი.

ბიზნესი და მამართვის ფაკულტეტი

ქეთევან გიორგაძე

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების შინაარსი და დანიშნულება

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები წარმოადგენს პრინციპებს ან მიღებულ პრაქტიკას, რომლებიც ეხება ზოგადად სამეურნეო ოპერაციებს. ზოგიერთი მეთოდი უფრო მეტად შეესაბამება ზოგიერთ სამეურნეო ოპერაციას, ზოგიერთს კი – ნაკლებად, მაგრამ ყველა მათგანი გავლენას ახდენს შემდეგ საკითხებზე:

1. რომელი აქტივები და ვალდებულებები უნდა იასახოს ბალანსში;
2. როგორ უნდა მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება;
3. რომელი შემოსავალი და ხარჯები უნდა აისახოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში;
4. რა თანხით უნდა აისახოს ხარჯები და შემოსავალი.

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, რათა შესაძლებელი იყოს არაორდინალური ოპერაციებისა და სიტუაციების ფინანსური აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგების შედგენა ემყარება კონცეფციებს ანუ პრინციპებს, რომლების წარმოადგენენ წესებისა და რეკომენდაციების ერთობლიობას. მისი ფუნდამენტური კონცეფციებია:

1. სამართლიანი წარდგენა;
2. ფუნქციონირებადი საწარმო;
3. დარიცხვის მეთოდი;
4. თანმიმდევრულობა.

სამართლიანი წარდგენა გულისხმობს რომ ფინანსური ანგარიშგება “სამარ-თლიანად უნდა იქნეს წარდგენილი”, ამის მიღწევა კი შესაძლებელია ბასს-თან შესაბამისობის დაცვით.

საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება ნიშნავს, რომ საწარმო სამეურნეო საქმიანობას განაგრძობს პროგნოზირებად მომავალში.

დარიცხვის მეთოდი ნიშნავს, რომ აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლისა და ხარჯების აღიარება უნდა მოხდეს მათი წარმოქმნისთანავე და არა მაშინ, როდესაც მოხდება ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების მიღება ან გადახდა.

რაც შეეხება თანმიმდევრულობას, ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარდგენა და კლასიფიკაცია არ უნდა იცვლებოდეს სააღრიცხვო პერიოდების მიხედვით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოს სამეურნეო ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებას, ან საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განხილვის შედეგად აშკარაა, რომ უფრო შესაბამისი ინფორმაცია იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, თუ მასში ასახული მუხლები სხვა სახით იქნება წარმოდგენილი, ან თუ რაიმე ცვლილება მოითხოვება ახალი ბასს-ით.

ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენება შესაძლებელია არაორდინალური სამეურნეო ოპერაციების ან სიტუაციების აღრიცხვისას, რადგან ისინი შეიცავს რამოდენიმე ისეთ პრინციპს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია. ამასთან მათი გამოყენება სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლებს დახმარებას გაუწევს ბუღალტრული გატარების აღქმაში.

რამდენადაც ეს მეთოდები წარმოადგენს უბრალოდ ჩამონათვალს და არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ამიტომ მათი სარგებლიანობა უფრო გაუმჯობესდებოდა მათი ინტეგრირების შემთხვევაში.

ამ მიზნით ბასს-მა გამოსცა ყფრო კომპლექსური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც საფუძვლად უდევს გარე მომხმარებლისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და განკუთვნილია იმისათვის რომ:

1. დაეხმაროს ფასს-ის საბჭოს ახალი სტანდარტების შექმნასა და არსებულის გადასინჯვაში;
2. ხელი შეუწყოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას;

3. დახმარება გაუწიოს ეროვნული სტანდარტების შემუშავებულ ორგანოებს ეროვნული სტანდარტების შემუშავებაში;

4. დახმარება გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებლებს ბასს-ის გამოყენებასა და ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომელთაც არ ეხება ბასს.

5. დახმარება გაუწიოს აუდიტორებს იმის შეფასებაში, ფინანსური ანგარიშგება ბასს-თან შესაბამისობაშია თუ არა.

ზურაბ კუპრაძე

თანამედროვე რეგიონალიზმის ანომალიები გეოეკონომიკაში

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შემდეგი ტიპიური ვარიანტები:

- ისეთი რეგიონის არსებობა, რომლებსაც გააჩნიათ “რეგიონული იდენტურობის” გრძნობა, მაგრამ არ გააჩნიათ თავიანთი პრობლემების (იმის გამო, რომ აქვთ შეზღუდული რესურსები, რეგიონული პოლიტიკური ელიტის სუსტი სტრუქტურები, ძლიერი მიჯაჭვულობა ცენტრთან და ა.შ) დამოუკიდებლად გადაწყვეტისაკენ მიდრეკილება.

- რეგიონები, რომლებიც ითხოვენ ავტონომიებს (ენა, რელიგია, ადგილობრივი ეთნიკური ტრადიციების შენარჩუნება და სხვა);

- რეგიონები, რომლებიც ახდენენ გეოეკონომიკური ინტერესების არტიკულაციას (ტარიფები, ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა, გადასახადი, გლობალური ბაზარი და სხვა);

- რეგიონები, რომლებიც გამოდიან პოლიტიკური ლოზუნგებით, რომლებიც მიმართულია კომპეტენციის და პერეოგატივების განაწილების არსებული სისტემის წინააღმდეგ;

- სეპარატისტული რეგიონები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ან უცხო სახელმწიფოების მხრიდან თავსმოხვეული,

ფორმულირებული იდეოლოგია. ასეთი ტიპის რეგიონები ორგვაროვანია: 1. გეოეკონომიკური სეცესიისაკენ, ანუ ეროვნული სახელმწიფოსაგან გამოყოფის მიდრეკილების მქონე რეგიონები (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, კოსოვო და ა.შ.); 2. ირედენტიზმისაკენ მიდრეკილების მქონე რეგიონები, ანუ რეგიონები რომლებიც ცდილობენ განცალკევებას იმ მიზნით, რომ ერთი ტერიტორიის ფარგლებში თავი მოუყარონ ერთიანი ეთნოენობრივი ჯგუფის ყველა წევრს. (XIX ს. იტალიური მოძრაობა, ისრაელის შექმნა, ქურთების პრობლემა და ა.შ).

რეგიონული სეპარატიზმი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც მშვიდობიანი (ჩეხოსლოვაკიის დაშლა, ნორვეგიის შექმნა), ასევე ძალადობის გამოყენებით (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, იუგოსლავია და ა.შ). თანამედროვე მსოფლიოში სეპარატიზმის ყველაზე უფრო ტიპიური მიზეზია:

- სახელმწიფოს ეთნორელიგიური მრავალფეროვნება (კვიპროსი, ლიბანი, საქართველო და ა.შ);

- არათანაბარი ეკონომიკური განვითარება (სლოვენია, კატალონია და ა.შ);

- გარკვეული პოლიტიკური ფასეულობების დაცვა (ტაივანი);

- არსებული რესურსების გამოყენების ამაღლებისაკენ სწრაფვა (ჩეხეთი, სლოვანია და ა.შ);

- სურვილი და შესაძლებლობა გამოასწორონ ძველი უსამართლობა (მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე და ა.შ);

- მსოფლიოში გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენის სფეროების გაყოფა, რასაც მივყავართ ალტერნატიულ გეოპოლიტიკური მიზიდულობის ცენტრის შექმნამდე (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთზე; ხორვატია გერმანიასა და ევროკავშირზე, სერბეთი რუსეთზე, კვებეკის საფრანგეთზე ორიენტაცია და ა.შ);

- სეცესიის თავიდან აცილების საერთაშორისო მექანიზმის არაეფექტურობა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სუსტი საერთაშორისო მექანიზმები.

რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ არსებობს პირდაპირი და ცალსახა დამოკიდებულება პოტენციური სეპარატიზტების

დისკრიმინაციის დონესა და მათი აქტიურობის ინტენსიობას შორის (საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ერი, ალბანელები და სლოვენელები იუგოსლავიაში და ა.შ). სეპარატიზმის მატარებლად გ. გოტლიბის აზრით, როგორც წესი გვევლინებიან: ეთნონაციონალისტები, ანუ მსხვილი და კარგად სტრუქტურირებული სოციალური ჯგუფები (კვებეკელები, ხორვატები, სლოვაკები);

- ერთმანეთთან მეომარი დაჯგუფებები (ირლანდიის რესპუბლიკური არმია, ბასკები ესპანეთში, ტამილები შრილანკაში და ა.შ);

- მრავალეთნიკური კოალიციის დაშლის წარუმატებელი მონაწილეები (მარონოტები ლივანში, კრეოლები სიერალეონში და სხვა.).

ამუამად მრავალი მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ სეპარატიზმის იდეალურმა მოდელმა თავის თავში უნდა გააერთიანოს რამდენიმე პირობა:

- რეგიონული “იდენტურობა” (“ლოიალურობა”) – კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური, კლასიკური;

- განსაკუთრებული ინტერესების არსებობა – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური, რომლებიც განსხვავდებიან ეროვნული სახელმწიფოს (ან ცენტრების) დანარჩენი ნაწილების ინტერესებისაგან;

- სახელმწიფოების დეცენტრალიზირებული ხასიათი;

- სეპარატისტების განკარგულებაში არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შიდა უსაფრთხოება.

ვფიქრობთ, მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რომელიმე სამეცნიერო სკოლა იქნება მზად, შემოგეთავაზოს იმის კომპლექსური ხედვა, თუ რასთან მიგვიყვანს და როგორ განვითარდება ეთნიკურობის, ეროვნულობისა და ტერიტორიალურობის, ტრადიციული პრინციპების ეროზია. გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე გაჩნდა ტერმინი “გლოკალიზაცია” და “ ფრაგმენტაცია”

ეს ორივე ტერმინი ახავს უჩვეულოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს იმ თანამედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პროცესებისა, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე მსოფლიო განვითარება. ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არა მხოლოდ არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური წარმონაქმნების მომავალი (ან მათ შორის საზღვრების დემარკაცია) არამედ, ჩვენ ვხედავთ რთულ და სხვადასხვაგვარ, მაგრამ იმავდროულად შედარებით უნიფიცირებულ მსოფლიო გეოეკონომიკურ წესრიგს, ვიდრე ეს არის სუვერენული სახელმწიფოების უბრალო სისტემა. ამასთან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არარეგულირებადი ეთნორეგიონალიზმის გამოვლინებას შეიძლება მოყვეს სისხლისღვრა, მედლის მეორე მხარე ისეთია, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ხშირად იჭრება სამხედრო ძალის გამოყენებით (რუსეთი ამის კარგი მაგალითია). ეს ის “სცენარი” რომლისგანაც ძლიერმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკაონ და გადავიდნენ პრობლემის მოგვარების გეოეკონომიკურ რეჟიმში.

გიორგი მელიქიძე

მარკეტინგი-საბაზრო ეკონომიკის სისტემა

საბაზრო ურთიერთობებს, ყიდვა-გაყიდვისა და გასაღების სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა სისტემის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ მეცნიერება თვით მარკეტინგის შესახებ XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

მარკეტინგის, როგორც მეცნიერების შესახებ პირველი პუბლიკაციები და ნაშრომები შექმნეს ამერიკელებმა უელსმა, ა. შოუმ, ვ. სკოტმა, შემდგომში პ. დრუკერმა, ფ. კოტლერმა, პ.

სამუელსონმა და სხვებმა. მათმა მოსაზრებებმა, შეფასებებმა და რეკომენდაციებმა დიდი როლი ითამაშა მარკეტინგის განვითარებაში.

ნიშანდობლივია, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ამერიკაში, ინგლისში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში სწრაფად დაიწყო მარკეტინგის პრაქტიკული რეალიზაცია. ცნობილი ფირმები და საწარმოები (‘ჯენერალ მოტორსი“, ‘ჯენერალ ელექტრიკი“, ‘მაკდონალდი“ და სხვა) გარდაიქმნენ მარკეტინგის პრინციპების შესაბამისად. მან ხელი შეუწყო წარმოების პოტენციალის განმტკიცებას, წარმოებისა და რეალიზაციის სისტემის სრულყოფას, მიმოქცევის სფეროს პრიორიტეტის ამაღლებას, რამაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენცია.

მარკეტინგის სხვადასხვა განმარტება არსებობს. მას განიხილავენ, როგორც სამეწარმეო საქმიანობას, როგორც შეხედულებათა სისტემას, როგორც ბიზნესის ფილოსოფიას.

ფილიპ კოტლერის განმარტებით, მარკეტინგი – ეს არის ადამიანთა საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია მოთხოვნილების, მოხმარების დასაკმაყოფილებლად, გაცვლის საშუალებით.

მარკეტინგი – ეს არის ბაზართან მუშაობა, გაცვლების განსახორციელებლად, რომლის მიზანია ადამიანის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მარკეტინგი – ეს არის საქონელზე, მომსახურებაზე, ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, იდეებზე მოთხოვნის წინასწარმეტყველება, მართვა და დაკმაყოფილება გაცვლის მეშვეობით.

მარკეტინგი წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან ბაზარი და უნდა ითარგმნოს, როგორც ბაზრის სფეროში საქმიანობა, უფრო სწორია გამოვსატოთ, როგორც ბაზართმცოდნეობა.

სხვადასხვა მეცნიერების განმარტებების, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე თანამედროვე გაგებით მარკეტინგი უნდა განიმარტოს როგორც: პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის კომპლექსური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მოგების მისაღებად-ბაზრის გამოკვლევისა და პროგნოზირების, საწარმო-ექსპორ-

ტიორთა შიდა და გარე გარემოს შესწავლის, ბაზარზე საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავების საფუძველზე.

მარკეტინგულ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის სწორად განსაზღვრას. მარკეტინგის სტრატეგია – არის საწარმო მწარმოებლისა და ექსპორტიორის მიზნის ფორმირება, მიღწევა და ამოცანათა გადაწყვეტა ცალკეული ბაზრის და თითოეული საქონლის მიხედვით გარკვეულ პერიოდში (გრძელვადიანი, საშუალოვადიანი) საწარმო-კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საბაზრო სიტუაციებისა და საწარმოს შესაძლებლობების სრული შესაბამისობით. მარკეტინგის ტაქტიკა-არის საწარმოს ამოცანების ფორმირება და გადაწყვეტა თითოეულ ბაზარზე და თითოეული საქონლის მიხედვით კონკრეტულ პერიოდში (მოკლევადიანი), მარკეტინგისა და მიმდინარე საბაზრო სიტუაციის შეფასების საფუძველზე, კონიუნქტურის და სხვა ფაქტორების (ფასების ინდექსის ცვალებადობა, კონკურენციული ბრძოლის გამწვავება, მოთხოვნილების სეზონური დაცემა და სხვა) გათვალისწინების შესაბამისად, ამოცანების მოთხოვნები, მარკეტინგი ანუ ბაზართმცოდნეობა, მარკეტინგული ურთიერთობები, წარმოადგენს ამოსავალ ურთიერთობებს და ძირითად კრიტერიუმებს ბიზნესის საერთო სისტემაში და უპირატესად განსაზღვრავს წარმატებებს ბიზნესურ საქმიანობაში.

მოსიძე მაია

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა – საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების საქართველო სტრატეგიის სტრატეგია

საქართველოს თანმიმდევრული ინტეგრაცია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს სამოქმედო გეგმა წარმოადგენს. იგი ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების განხორციელებას.

საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა სამოქმედო გეგმის შესრულების შემდეგი პრიორიტეტები:

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამშვიდობო პროცესში ევროკავშირის მზარდ როლს. საქართველომ კონფლიქტების მოგვარებისთვის ახალი მიდგომები და პრინციპები წარმოადგინა, კერძოდ, პირდაპირი დიალოგი აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხარეებთან. საქართველო მზადაა მხარი დაუჭიროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციის ურთიერთშეთანხმებულ პროგრამებს.

მიგრაცია და საზღვრის დაცვა

საქართველო მიგრაციის მართვის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას ცდილობს, რაც გულისხმობს მიგრაციის და საზღვრის მართვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას.

სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

ეკონომიკის ინსტიტუციური დერეგულაცია და პრივატიზაციის პროცესის გაგრძელება, მეწარმეობაზე ზემოქმედების მინიმიზაცია, ტექნიკური უსაფრთხოების სისტემების ოპტიმიზაცია და ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყანაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და ინვესტიციების მოზიდვას, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დიალოგის გააქტიურება და ევროკავშირთან ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ენერგეტიკის სექტორის განვითარება

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გათვალისწინებით, ენერგო-სექტორის განვითარება მნიშვნელოვან პრიო-

რიტეტს წარმოადგენს. ამავე დროს დღის წესრიგში დგას საქართველოს პიდროენერგეტიკული პოტენციალის და ენერჯის განახლებადი წყაროების უკეთ გამოყენებისა და ენერგოეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

დემოკრტიის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. მათლმსაჯულება და კანონის უზენაესობის განმტკიცება.

ვარდების რეკოლუციამ აჩვენა, რომ დემოკრტიისა და თავისუფლებისკენ სწრაფვა ქართული საზოგადოების მთავარი ღირებულებაა. საქართველო

ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული არეალის განუყოფელი ნაწილია. ევროპული ღირებულებები და ტრადიციები საქართველოს ფუძემდებლურ ეროვნულ ღირებულებებშია ასახული, შესაბამისად დემოკრტია, ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ჩვენი ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტებია. სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასამართლო ხელისუფლების მოდერნიზებას სისტემური რეფორმის საშუალებით.

ნათია ჯანაშვილი

დასაქმების პრობლემები სამცხე-ჯამახეთის რეგიონის მახალითზე

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ხასიათის მაკროეკონომიკური მაჩვენებელია.იგი გამოხატავს ადამიანთა მოთხოვნილებას არა მარტო შემოსავლებზე, არამედ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაზე და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას განსაზღვრული დონისას.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედი დასაქმების კანონის პირველი პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სრულად განაგებდეს თავის შესაძლებლობებს

მწარმოებლური და შემოქმედებითი შრომის სფეროში, ხოლო საზოგადოების როლი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ყველასათვის თანაბარი სამართლებრივი პირობები მოქალაქეთა შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

დასაქმების კანონის მეორე პრინციპით განსაზღვრულია მოქალაქეთა შრომაზე უფლების რეალიზაციისათვის პირობების შექმნაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

დასაქმება შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად თუ იგი სრულად შეესაბამება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ინტერესებს და მისი ინტენსიფიკაციის შედეგებს, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ჯანმრთელი მომავალი თაობისა და მაღალკვალიფიკაციურ მუშაკთა კვლავწარმოებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენს შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალურად გამოყენება და დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერების ზრდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ჩვენს ქვეყანაში რთულ პირობებში წარიმართა. 90-იანი წლების დასაწყისიდან მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა შეიქმნა რეგიონებში.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ახალციხის რაიონშიც მკვეთრად დაეცა წარმოება და შემცირდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, ხოლო ეს ვითარება უფრო მეტად გაუარესდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მიიღეს კანონი პრივატიზაციის შესახებ. შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სხვა, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაში შედიოდა პრივატიზებულ იქნა კერძო მწარმოებლის მიერ, შედეგად მას მოყვა მუშაკთა დიდი ნაწილის გამონთავისუფლება სამუშაო ადგილებიდან.

მიმდინარე ეტაპისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ უმუშევრობის პრობლემა თითქმის ყველა ასაკის, სქესისა და პროფესიის მქონე ადამიანებს შეექმნათ, ასევე ცნობილია, რომ

მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ვეღარ გაუძლო ასეთ პირობებში ცხოვრებას და საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ, იქ წასულთა უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა, მაგრამ აღსანიშნავი და სავალალოა ის ფაქტი, რომ ისინი არ მუშაობენ სპეციალობით, მათ უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნების სურვილიც კი აღარ აქვს.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით 2004 წლისათვის ახალციხის შრომითი რესურსების რაოდენობა 25400 კაცი იყო; დასაქმებულები-17000 კაცი. აქედან დაახლოებით სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული 6100 კაცი, კერძო სექტორში 10900 კაცი, სამუშაოს მაძიებლად 8400 კაცი გვევლინება.

ჩვენი აზრით დასაქმების პრობლემა ახალციხის რაიონში მოითხოვს მეტად სერიოზულ მიდგომას. საჭიროა დასაქმების სფეროში ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მეტნაკლებად მოაგვარებს დასაქმების პრობლემას. ამისათვის საჭიროა შრომის ბირჟების საქმიანობის გააქტიურება. მათ უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მოწოდება თავისუფალი ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების არსებობის შესახებ.

დასაქმების პრობლემის გადაჭრის მთავარ ფაქტორად მიმანია მეწარმეობის, ბიზნესის სფეროების გაფართოება, რომელიც მოქმედებდა და პრიორიტეტული იყო ჩვენი რეგიონისათვის.

საჭიროა ღონისძიებების გატარება ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეში. მათ უნდა გაუადვილონ სწავლიდან შრომაზე გადასვლის პირობები. მათი უმრავლესობა სწავლის დამთავრების შემდეგ მიდის საზღვარგარეთ, რადგან ჩვენი რეგიონი ვერ უზრუნველყოფს მათ დასაქმებას. ახალგაზრდების მასობრივად გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი უარყოფით მოვლენად ითვლება, რადგან იგი აქვეითებს როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის შრომით პოტენციალს, ასევე ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს, როგორც მოსახლეობის ისე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.

მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესმა უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი დასაქმების პრობლემის მოგვარებაში. ამრიგად, დასაქმების პრობლემა არა მარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის

უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება. რაც უფრო მჭიდროდ დასახლებული რეგიონია მით უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, ხოლო აგრარულ რეგიონებში კი უმუშევრობის დონე მცირდება, იმიტომ რომ აქ უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ეს ამცირებს ნაწილობრივ უმუშევრობის დონეს.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამის რეალურ სურათს გვაძლევს ის, თუ რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა და მომავლისთვის რა არის დაგეგმილი.

მაია ხუციშვილი

თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოში

დღეისათვის საკმაოდ აქტუალური თემაა თავისუფალი ეკონომიკური ზონების, ანუ თ.ე.ზ.-ის შექმნა არა მხოლოდ მთელ მსოფლიოში, არამედ ჩვენს ქვეყანაში. ეს საკითხი XX საუკუნის II ნახევრიდან, კერძოდ, II მსოფლიო ომის შემდეგ გახდა აქტუალური.

ამჟამად, მსოფლიოში ათასზე მეტი სხვადასხვა სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონაა. ისინი თითქმის ყველა კონტინენტზეა განთავსებული და ათასობით კილომეტრ ფართს იკავებენ. განვითარებულ ქვეყნებში სამასზე მეტი ეკონომიკური ზონა მოქმედებს, – მათ შორის: აშშ-ში – 145, ინგლისში – 25, შვეიცარიაში – 26, ესპანეთში – 22, იტალიაში – 11, საფრანგეთში – 10, ფინეთში – 7, გერმანიაში – 6. აღსანიშნავია, რომ სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჰონგკონგმა მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონა გამოაცხადა. ამის წყალობით იგი მ.შ.პ.-ს მანევრებლით ერთ სულ მოსახლეზე უსწრებს დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიას, გერმანიას,

ასევე იაპონიას. . . დღეისათვის ჰონგკონგში წლიური საქონე-
ლბრუნვა 600 მლრდ. დოლარია. მისი ეკონომიკა მსოფლიოში
მეთერთმეტე ადგილზეა, სადაც დარეგისტრირებულია მილიონ
ორას ათასზე მეტი კომპანია. ჰონგკონგის საფონდო ბირჟა
მსოფლიო ბირჟებს შორის სიდიდით მეშვიდე ადგილზეა. 2007
წლის თებერვალში მისი კაპიტალიზაცია 1.69 ტრლნ აშშ
დოლლარს შეადგენს. 2006 წელს ჰონგკონგის ბირჟა მსოფ-
ლიოში მეორე ადგილზე იყო ლონდონის ბირჟის შემდეგ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ქვეყნის ტერიტორიის
ნაწილია, სადაც სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის საფუძე-
ველზე იქმნება ხელსაყრელი პირობები სხვადასხვაგვარი საგა-
რეო-ეკონომიკური ოპერაციებისათვის. თ.ე.ზ.-ები იქმნება, რადგან
გაიოღდეს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა ქვეყნებს
შორის. ისინი მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით მიმოფანტული
კაპიტალის მიზიდვის თავისებურ “ხაფანგს” წარმოადგენს.
მათი შექმნა ძირითადად ვაჭრობის წახალისებამ, სავაჭრო
ოპერაციების დაჩქარებამ და შესაბამისი ხარჯების შემცირებამ
გამოიწვია.

ძალაშია შესული პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც
ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის სექმნას გულისხმობს.
ეს 2008 წელს უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანას
ბევრად უფრო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს,
ვიდრე დანიას, სამხრეთ კორეას, იაპონიას და ა.შ. მაგრამ
თ.ე.ზ.-ებს დადებითი მხარეების გარდა უარყოფითიც ბევრი
აქვს.

როგორ მოიხრებენ საქართველო ჰონგკონგის მოდელს?
შეძლებს იგი თავისი სიტყვა თქვას მსოფლიო ბაზარზე?

იურიდიული მეცნიერებანი

ნათია ბაბუკიანი

მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობა საოჯახო სამართლის ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს. საქართველოს საოჯახო სამართალი მოითხოვს, რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში.

საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით, ასევე მათ ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა საოჯახო სამართლის ყველაზე უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ვფიქრობ, რომ სწორედ ეს პრინციპი მიგვითითებს იმაზე, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება წინა საუკუნეებთან შედარებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციები და საქართველოს კონსტიტუციით ანტიდისკრიმინაციული პრინციპები უდევს საფუძვლად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობათა რეგულირებას. საოჯახო სამართალი არცერთ მეუღლეს არ აძლევს უფლებას იძულებით ჩაწეროს თავის გვარზე მეორე მეუღლე, საერთო გვარი კი პრაქტიკულად უფრო ადვილს ხდის ქორწინებასთან და შვილების ყოლასთან დაკავშირებული უფლებებისა და შეღავათების განხორციელებას.

მეუღლეთა პირად ვალდებულებას წარმოადგენს აღზარდონ შვილები ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად. მშობლებს არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შვილის აღზრდასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი თუ მათ შორის არ არსებობს ურთიერთშეთანხმება. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად ინდივიდუალურ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. თანაზიარ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები ანუ მათ შეუძლიათ ქონების თანაზომიერი გამოყენება.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს როცა შესაძლებელია ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარ საკუთრებად, ქონების ასეთი ტრანსფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ ქორწინების განმავლობაში გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს წესი არ გამოიყენება, მაშინ როცა საქორწინო კონტრაქტით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

განქორწინების შემთხვევაში თუ მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ შორის არ გაყოფილა იგი შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში იყოს ან თუნდაც ორივესთან ცალცალკე, მაგრამ არათანაბარი ოდენობით, იმ დროს როცა განქორწინების შემდეგაც მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება გაყოფილი არ არის, მეუღლეებს თავიანთი წილის მოთხოვნისათვის აქვთ სამ წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამ ვადის ათვლა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის წილი გაზარდოს იმ შემთხვევაში როცა არასრულწლოვანი შვილები მასთან ცხოვრობენ ან უნდა იცხოვრონ და კიდევ იმ შემთხვევაში თუ იგი შრომისუუნაროა და მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე.

სასამართლოსათვის აღნიშნული უფლების მინიჭება მეუღლეთა ქონებრივი ინტერესების დაცვის გამოხატულებაა.

ამრიგად საოჯახო სამართალი არეგულირებს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, პირდაპირ მიუთითებს იმ ვალდებულებებზე რომელთა შესრულებაც მათ მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

ნინო თაბუნიაძე

სასამართლო ხარჯები, ბაჟი და მისგან ბანთავისუფლება

საქმის წარმოება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. რაც აუცილებელია საქმის სრულყოფილად და ეფექტურად შესრულებისთვის. ამ ხარჯებში თავისთავად იგულისხმება პროცესის ხარჯებიც. პროცესის ხარჯების ცნების შინაარსი მოიცავს სასამართლო ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს.

სასამართლო ხარჯები – ეს ის დანახარჯებია, რომელიც წარმოიშევა სამოქალაქო საქმის განხილვის და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გამო.

სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება ეკისრება როგორც მხარეებს, ასევე მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით და განმცხადებლების გამარტივებულ და უღავო წარმოების საქმეებზე.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზანია სახელმწიფოსათვის ნაწილობრივ მაინც იმ ხარჯების ანაზრაურება, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოების საქმიანობის უზრუნველყოფიდან.

სასამართლო ხარჯები თავის მხრივ შეადგენს სახელმწიფო ბაჟსა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კოდექსიკ თანახმად საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით.

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შესატანი რომელსაც იხდიან ფიზიკური დაიურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისად იურიდიული მოქმედების შესრულებისთვის და სათანადო საბუთების გაცემისთვის.

სახელმწიფო ბაჯისგან განსხვავებით, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ესაა თანხა რომელიც უნდა იყოს

გადახდილი ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულები-სათვის და ასევე იმ პირებისათვის რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. სასამარ-თლოს ხარჯების ამ ორ ტიპს შორის არის გარკვეული გამსხვავება. სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სავალდებულო გადასახადს რაც წინასწარ არის განსაზღვრული კანონით. ხოლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ესაა ხარჯები რომელიც უნდა აუნაზღაურონ იმ პირებს რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს და ისინი წინასწარ არ არის განსაზღვრული კანონით.

მე ამ ნაშრომში მინდა ყურადღება გავამახვილო სასამარ-თლო ხარჯების ერთ-ერთ სახეზე – სახელმწიფო ბაჟზე. ზემოთ მიმოვიხილე აღნიშნული საკითხი, მაგრამ ეხლა დაწვრი-ლებით ჩავუღრმავებ და დეტალურად დავამუშავებ სახელ-მწიფო ბაჟის ცნებასა და საგანს, ასევე შევხვები სასამართლო ხარჯებისაგან განთ ვისუფლების საკითხებს.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითადადგენილი წესით.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განმსაზღვრელმა 39–ე მუხლმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. შედარებით უფრო დაიხვეწა, კონკრეტულად გამოიყო ის მაქსიმალური თანხის ოდენობა რომელიც კონკრეტული მოქმედებებისთვის არის გათვალისწინებული. ძველ მუხლში გარკვეული შეუსაბამოები იყო და ალბად ესეც გახდეს ერთ-ერთი მიზეზი იმისთვის რომ გარკვეული ცვლილებები შესულიყო.

მადისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე სახელ-მწიფო ბაჟი სხვებთან შედარებით განსხვავებულია და შეადგენს ყველა ინსტანციის სასამართლიში ზემოთ ჩამოთვლილი თანხე-ბის ნახევარს. სახელმწიფო ბაჟი პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირებისათვის 3000 ლარს, ხოლო იურიდიული პირებისათვის 5000 ლარს. ახალი კოდექსისაგან განსხვავებით ძველ კოდექსში გამოყოფილი არ იყო ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საერთო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა და ორივესთვის შეადგენდა 5000 ლარს,

მადრამ დახვეწის და შესწორების წყალობით უფრო გასაგები და ეფრო დაკონკრეტებული გახდა მე-3-ე მუხლი. ასევე ჩამოთვლილია დანარჩენი ორი ინსტანციის სასამართლოთა ბაჟის რაოდენობა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირებისთვის – 5000 ლარს. იურიდიული პირებისათვის 7000 ლარს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირებისთვის – 6000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის – 8000 ლარს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თანხა შეადგენს სახელმწიფო ბაჟს და მათი გადახდა ეკისრება ყველა ვალდებულ პირს, მაგრამ შესაძლებელია პირი განთავისუფლდეს, სახელმწიფო ხარჯების გადახდისაგან ასევე შეუმცირდეს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ან ეს სასამართლო ხარჯები პატივსადები მიზეზების გამო გადაუვადდეს.

მოქალაქეს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან ათავისუფლებს სასამართლო, თუკი მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა მეტისმეტად ცუდია და თუ იგი წარადგენს უტყუარ მტკიცებულებას. ნაშინ მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განაჩენი ერთი მხრის განთავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან არ იწვევს მეორე მხარის თავისუფლებასაც. ასევე შესაძლებელია სასამართლოს კომპენტენტის ფარგლებში მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება შესაძლებელია თუკი სასამართლოს მთავარ სახდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან მაშინ მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო პასუხისაგან. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დანარჩენი ნაწილის შესაბამისად

სააპელაციო და საკაცო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან მთლიანად განთავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ხდება ზემოთ ჩამოთვლილი წესებით მხოლოდ იმ ინსტანციისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

ნინო კაჭკაჭაშვილი

მშობლის უფლების ჩამორთმევა

გახდეს მშობელი – ეს ნიშნავს შენს თავზე იტვირთო მთელი რიგი უფლება-მოვალეობანი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შვილი გაზარდო ნორმალურ პირობებში და აღზარდო იგი საზოგადოების სრულფასოვან წევრად, რადგან სწორედ რომ პროგრესულად მოაზროვნე და განათლებული თაობაა წინაპირობა სახელმწიფოს ფუნქციონირებისა წარმატებებისაკენ. ხოლო თუ მშობელი, რომელსაც აკისრია ზემოთხსენებული ვალდებულებანი, თავისი ქცევით შვილების მიმართ, ამორალური ცხოვრების წესით, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის, ალკოჰოლის გამოყენების შემთხვევაში რამენაირად აფერხებს ბავშვის(ბავშვების) ფიზიკურ და გონებრივ ჩამოყალიბებას ან თავს არიდებს მის აღზრდას, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დაინტერესებული მხარის მოთხოვნით და სასამართლოს გადაწყვეტილებით როგორც უკიდურესი ღონისძიება ჩამოერთმევა მშობლის უფლება, ანუ ამ შემთხვევაში იგი კარგავს ყველა უფლებას, რაც მას ექნებოდა როგორც მშობელს. იგი კარგავს ქონებრივ უფლებებს შვილის მიმართ, ნათესაობით ურთიერთობებს, ალიმენტის მოთხოვნის უფლებას, მემკვიდრეობის უფლებას, ხოლო შვილი, რომლის მშობელსაც მის მიმართ ჩამოართვეს მშობლის უფლება ინარჩუნებს როგორც ქონებრივ მემკვიდრეობით, ნათესაობით ურთიერთობას, ასევე მშობელი ვალდებულია მას გადაუხადოს ალიმენტი.რაც შეეხება ბავშვის ნახვის უფლებას ამ საკითხს

წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თუკი ეს ცუდ გავლენას არ მოახდენს ბავშვზე.

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა ასეთი მშობლის არსებობის შემთხვევაში აწესრიგებს ურთიერთობას, იცავს ბავშვის ინტერესებს და გარკვეულწილად აღმოფხვრის პრობლემასაც, მაგრამ ვფიქრობ თუკი ამ პრობლემას ცოტა სხვა კუთხით მიუვდგებით და მსგავს სიტუაციებს სხვა ჭრილში შევხედავთ შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ პრობლემის მოგვარება უნდა იწყებოდეს ცოტა უფრო ადრე სხვადასხვა პროფილაქტიკის საშუალებებით.

ჩემი აზრით უპრიანია ვეცადოთ მანამდე ვებრძოლოთ უარყოფითის დადგომას, ვიდრე შემდგომ უკვე ფესვგადგმულის ამოძირკვა დავიწყოთ და ამით ნაყოფის დაზიანება მოხდეს. მიტომ აქ პრობლემის გადასაჭრელად გზა უმეტესად უნდა ვეძიოთ ისევ და ისევ მშობელში და მის ფსიქოლოგიაში, ანუ რა განაპირობებს მშობლის ასეთ საქციელს, თუნდაც ამორალურ ქცევას, ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ საშუალებათა მიღების სურვილს, ხომ არაა დაკავშირებული ეს ყველაფერი სხვა პრობლემებთან, რომელთაც საბოლოოდ საკმაოდ მძიმე შედეგამდე-მშობლის უფლები ჩამორთმევამდე მივყავართ.

ამგვარი პრობლემების გადაჭრა კი საკმაოდ რთულ და ამავედროულად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის და ჩემი აზრით ამ საკითხთან მიმართებაში მუშაობა უფრო აქტიურად და ინტენსიურად უნდა წარიმართოს და როგორც ზემოთ აღვნიშნე არამგონია ამისათვის თუნდაც გაფრთხილების შემდგომ მშობლის უფლების ჩამორთმევა საკმარისი იყოს.

ეჭვსგარეშეა, რომ სასამართლოში შეტანილი სარჩელი ამგვარ საკითხზე მოსამართლეთა მიერ ძალიან სათუთად და დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული. ჩემი აზრით სამოქალაქო კოდექსში შეტანილი უნდა იქნას გარკვეული ცვლილებები, რომელთა ძალითაც მოსამართლე უფლებამოსილი გახდება იყოს უფრო ლოიალური, ანუ არსებობდეს ისეთი მუხლი სადაც მშობლის უფლების ჩამორთმევის წინაშე მყოფ მშობელს

მოსამართლე საბოლოოდ ასეტი იმპერატიულ განაჩენს არ გამოუტანს და კანონმდებლობის ძალით მისცემს მას გარკვეულ სარეაბილიტაციო გამოსაცდელ ვადას, რომლის დროსაც სავშეს (ბავშვებს) დაენიშნება პირობითი მზრუნველი, ხოლო მშობელს დროებით შეუწყდება მშობლს უფლებამოსილებები და მასთან იმუშავებენ სპეციალისტები, რომლებიც ეცდებიან გამოსაცდელი ვადის შემდგომ ამ ადამიანმა გააგრძელოს ნორმალური ცხოვრება შვილთან (შვილებთან) ერთად.

ხოლო თუ ჩვენ მშობელს ჩამოვართმევთ თავის უფლებებს,, მაშინ იგი ვეღარ შეძლებს შვილთან ურთიერთობას და მის აღზრდას ეს უფლებები კი კანონით სხვას მიენიჭება და ვაჟას სიტყვები—”ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნიადმერთადა”—ო ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს ერთ შემთხვევაში თუკი მას მიუღდებით კრიტიკული კუთხით, ვინაიდან შეიძლება შვილი მშობელზე უკეთ მზრუნველმა აღზარდოს, მაგრამ შვილის “ლამაზად” აღმზრდელი მხოლოდ დედა შეიძლება ედაროს ღმერთს და თუკი მშობელს (ამ შემთხვევაში დედას) ამის უნარი არ შესწევს ჩვენ ყველა ხერხით უნდა ვეცადოთ მის დახმარებას, რათა მან შეძლოს შვილის “ლამაზად” გაზრდა.

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ყოველივე ზემოთხსენებული მოგახსენეთ იმისათვის, რომ მე იგი მივიჩნიე საკმაოდ პრობლემატურ საკითხად და მისი გადაჭრის ჩემუელი უფრო ღმობიერი და ჩემი აზრით ამავე დროს უფრომართებული გზები დავსახე, რომელთა საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს შვილის აღზრდა მშობლის მიერ კანონმდებლობის დახმარებით, როგორც ეს ქართულ მენტალიტეტს შეჰფერის.

ადამიანის ძირითადი უფლებები და
თავისუფლებები

მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით
თვალი გართულია
ფრთიან ფანსკუნჯებით:
ფრთები, რთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გვინდა, დაუფლო
სივრცეს ნიკორწმინდას .

გ. ტაბიძე

ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის. ქვეცნობიერი თუ კარგად გაცნობიერებული სურვილია: თავისუფლების, სამართლიანობის, და მშვიდობისაკენ სწრაფვა.

შემთხვევით არ ყოფილა. გალაქტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდის“ ლექსის სტრიქონის წამძღვარება, რომელიც თავისი შინაარსით და სულისკვეთებით მთლიანად გამოხატავს თავისუფლების დაუცხრომელ სურვილს. სურვილი ერთია, მაგრამ რეალური ცხოვრება სხვაა, სადაც ზოგჯერ თავისუფლების სურვილი რომელიც კანონებს არ ემორ იღება დაუშვებელია. ამიტომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, არსებობს დადგენილი ნორმები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველა ადამიანისათვის. მოვალეობებთამ ერთად ადამიანებს აქვთ მთელი რიგი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც გარანტირებულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით ასევე საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებით

როდესაც ვსაუბრობ ადამიანის უფლებების და მოვალეობების შესახებ, საინტერესო ის არის, რომ აქ საუბარია მსოფლიოში, მცხოვრებ თითოეული ადამიანის უფლებების შესახებ. განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური

წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობის. რადგან მათ აქვთ უფლისაგან ნაბოძები საერთო მდგომარეობა, ისინი არიან ადამიანები. მნიშვნელობა არ აქვს, ქართველს, ფრანგს, გერმანელს, რუსს, ამერიკელს თუ ჩინელს, ადამიანთა მდგომარეობის ყველა წევრის თანდაყოლილ ღირსების, განუყოფელი და თანასწორი უფლებების აღიარება, რომელიც არის საფუძველი თავისუფლების სამართლიანობის და მშვიდობის.

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით, მათ მომადლებული აქვთ, გონება სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ“ – აცხადებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

როგორ გავიგოთ: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი“? რა არის თავისუფლება? სად იწყება და სად მთავრდება თავისუფლება და მთავრდება კი საერთოდ? ჩვენთვის თითოეული ადამიანისათვის რას ნიშნავს თავისუფლება და როგორ მოვიქცევით როდესაც, იმ თავისუფლებას შეგვიზღუდავენ, რომელიც ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია?

სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა და თავისუფლება იზღუდება, კანონიც იქ ამოქმედდება, როგორც ადამიანის დაცვის უმაღლესი მექანიზმი. თუკი გადავხედავთ, კონკრეტული ქვეყნის მაგალითს, სადაც ადამიანის უფლებების თან ახლავს მოქალაქის უფლებებს და მათი დაცვა, ქვეყნის უმაღლესი კანონის „კონსტიტუციის“ ხარისხშია აყვანილი, აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. სახელმწიფო რომელიც ნამდვილად ცდილობს და მიზნად ისახავს, თავისი მოქალაქეების კეთილდღეობას, უნდა იზრუნოს რომ კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები რეალიზდებოდეს პრაქტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ექნება კი აზრი კონსტიტუციის არსებობას? თუ კი კონსტიტუციით გვეუბნებიან (მუხლი 17, საქართველოს კონსტიტუცია) „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია“. ამ დროს კი არაფერს ღირებულს და ფასეულს, გინარჩუნებს სახელმწიფო, ჩემთვის მიუღებელია როდესაც საქართველოში, ქართველ ადამიანს პირადობის დამადას-

ტურებელ მოწმობაში არ გიწერენ ეროვნებას, მაშინ ვინ ვარ მე? ეს პრობლემა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით რაც რეალურად არსებობს, აქედან იწყება ჩვენი სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლების ხელყოფა.

დასავლეთის მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში. ჩამოყალიბდა სამართლებრივი სისტემა, რომლის მიხედვითაც ითვლება რომ: გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და მათ შორის საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში, პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით დაფიქსირებულია რომ მოცემული სახელმწიფოები სამართლებრივი არიან, რომ არსებულ ქვეყნებში დემოკრატიის და თავისუფლების ხარისხი მაღალპროცენტულია; არსებულ მოსაზრებას გაერო პრაქტიურად აკანონებს უჭერს მხარს და სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მეშვეობით.

რეალურად კი ჩამოთვლილ სახელმწიფოთა შორის, თითქმის ყველას. განვითარების გარკვეულ ეტაპზე. არაერთი შეცდომა დაუშვია და უხეშად დარღვეულა ადამიანის უფლებები. რომელსაც მოყოლია გამოსვლები თუ დემონსტრაციები, მაგალითად საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც საფუძველი გახდა 1789 წლის, „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა“ დეკლარაციის მიღების. სადაც წინაპლანზე წამოიწია ადამიანის თანასწორუფლებიანობამ. ასევე შეიძლება გავისხენო აშშ-ს მომხდარი 1861–1865 წლების სამოქალაქო ომი, რომელიც გამოიწვია, სწორედ ადამიანის უფლებების ხელყოფამ, შავკანიან მოსახლეობის მიმართ. რომლებიც გარიყული იყვნენ. თეთრკანიანი მოსახლეობისაგან მათ უფლება არ ქონდათ ესწავლათ სკოლაში, მიეღოთ სასურველი განათლება და თავისუფლად ემუშავად იქ სადაც სურდათ. შავკანიან მოსახლეობას აღიქვავდნენ როგორც არასრულფასოვან არსებებს. რომლებიც მონებთან იგივებოდა, დიდი ძალისხმევა და ნებისყოფა გამოიქინეს შავკანიანმა მოსახლეობამ რათა გამხდარიყვნენ აშშ-ს სრულუფლებიანი მოქალაქეები.

ეს შეიძლება იყოს, მსოფლიო პოლიტიკა, მსოფლიო ომი და სხვა, მაგრამ როდესაც საუბრობენ „მსოფლიო მოქალაქეობაზე“ რაც ჩემთვის დიდი აღშფოთების საბაბით შეუძლებელია მსოფლიო ერთი ნიშნით ხასიათდებოდეს, ყველა ვერს ახასიათებს ისეთი თვისებები რომელიც გამოარჩევს სხვა ერისაგან. რაც მრავალი ერი იარსებებს მით მეტი მრავალფეროვნება იქნება მსოფლიოში, რაც წინაპირობაა იმისა რომ საზოგადოება იყოს დემოკრატიული ხოლო სახელმწიფო სამართლებრივი.

თეონა ობოლაშვილი

დანაშაულის მომზადება და მცდელობა

საქართველოს კანონმდებლობაში, სამართლის დარგებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართალს. მისი მიზანია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც ახორციელებს შესაბამისი სასჯელის მუქარით. პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, რომ მიეცეს უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული ან მისი ქმედება უნდა შეიცავდეს დანაშაულის ჩადენის საწყის ეტაპს – დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, რომელსაც დაუმთავრებელი დანაშაული ეწოდება. დაუმთავრებელი დანაშაული ნიშნავს, რომ პირმა დაიწყო დანაშაულის ჩადენა, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დანაშაულის ჩადენის საწყის ეტაპს განზრახვა წარმოადგენს, რომლის გამომჟღავნებაც არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის საფუძველს. განზრახვა არ ისჯება, ისჯება მხოლოდ ქმედება. დაუმთავრებელი დანაშაულის პირველ სტადიას წარმოადგენს დანაშაულის მომზადება. მომზადებად ჩაითვლება დანაშაულის ჩადენისთვის განზრახ პირობების შექმნა. ესე იგი ისჯება მხოლოდ ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩასადენად რაიმე პირობას ქმნის. დანაშაულის

მომზადება დამახასიათებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის. ესე იგი დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედების შემდეგ შესაძლებელია მომავალში დანაშაულის განხორციელება. პირობების შექმნაში იგულისხმება იარაღის ან საშუალების დამზადება ან შექმნა. მაგ. მკვლელობის ჩადენის მიზნით, პირმა იყიდა იარაღი ან დაამზადა საწამლავი. გარდა ამისა, აუცილებელია საჭირო იარაღის ან საშუალების ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ შესაძლებელი იყოს განზრახული დანაშაულის ჩადენა.

იარაღის შექმნა დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი შექმნილია წინასწარ ჩაფიქრებული დანაშაულის ჩასადენად. სხვადასხვა სახის მოქმედებითაც შეიძლება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა (წაქეზება, აუცილებელი ცნობების შეგროვება, დანაშაულის ადგილზე ჩასაფრება, დაბრკოლების წინასწარ აცილება.) აგრეთვე, თანამონაწილეთა გამოძებნა, რათა დაიყოლიოს ისინი შემდგომში დანაშაულის ჩადენისათვის. მომზადებაა აგრეთვე წინასწარ რამოდენიმე კაცის მიერ, მოლაპარაკება თუ როგორ ჩაიდინონ დანაშაული.

დანაშაულის მცდელობა ქმნის რეალურ საფრთხეს, მაგნე შედეგის განხორციელებისა, ამიტომ ის უფრო საშიშია, ვიდრე დანაშაულის მომზადება. რომ ვივარაუდოთ მაგნე შედეგის დადგომა, მოცემულ ვითარებაში უნდა არსებობდეს მისი განვითარების რეალური პირობები.

საქართველოს სისხლის სამართლის მე-17 მუხლის თანახმად “დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახ მოქმედება რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად”, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დანაშაულის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ეს დებულება უნდა იქნეს გაგებული ობიექტურად. ესე იგი უნდა იყოს განხორციელებული ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია რეალურად დანაშაულის ჩასადენად. რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი. თუ რაიმე

შემთხვევითმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი. მაგალითად, პირმა განიხრახხა მაღაზიის გაქურდვა და გატყეხვას რომ აპირებდა სხვამ დაინახა და ხელი შეუშალა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, დანაშაულის მცდელობისათვის. მცდელობა შეიძლება იყოს

დასჯადი და არა დასჯადიც. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა მიზეზით არ დადგა დანაშაულებრივი შედეგი. მაგალითად, თუ პირი შეიპარა ბინაში ქურდობის მიზნით, მაგრამ სამართალდამცავებმა შეუშალეს ხელი-დასჯადი მცდელობაა.

ხოლო თუ საკუთარი სურვილით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, ეს არის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ასეთი მცდელობა არ დაისჯება.

მცდელობა მომზადებისგან განსხვავდება იმით, რომ იგი უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. იგი კონკრეტულ საფრთხეს ქმის და გულისხმობს მოქმედებას, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად არის მიმართული, მომზადებისგან განსხვავებით, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელია და გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას.

მცდელობაა, როცა მოქმედებას უნდა მოჰყოლოდა შედეგი, მაგრამ იგი არ დადგა დანაშაულის ნებისგან დამოუკიდებლად. (მაგალითად, მოკვლის მიზნით ესროლა ადამიანს, მაგრამ არ მოკვდა ან თოფი დაუმიზნა მაგრამ ვერ მოკლა რადგან ხელი აუკრეს.) დაუმთავრებელი დანაშაული კი დამთავრებულისგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს საფრთხე უკვე განვითარებულია, დაზიანებულია ობიექტი და დამდგარია ზიანი.

ამრიგად დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებია დანაშაულის მომზადება, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უმნიშვნელო საფრთხეს ქმნის და დანაშაულის მცდელობა, რომელიც ქმნის დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეს. ის უფრო მეტად საშიშია საზოგადოებრივად ვიდრე მომზადება.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მომზადებისათვის პასუხისმგებლობას საერთოდ არ აწესებს. პროფესორი თ.

წერეთელი და მაცაშვილი თვლიან, რომ დანაშაულის მომზადება საერთოდ არ უნდა დაისაჯოს, ამავეს ამბობს პროფესორი პიონტკოვსკი.იგი თვლის,რომ მომზადება არ უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისგებლობას, რადგან არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. მე არ ვეთანხმები ამ აზრს და მიმაჩნია,რომ დანაშაულის მომზადება, მიუხედავად იმისა, რომ მცირეა მისი საზოგადოებრივი საშიშროება. აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რადგან მომზადება თავისთავად გულისხმობს შემდგომში დანაშაულის ჩადენას.

ნანა ოდიკაძე

მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში აღიარებულია ადამიანის უფლება სიცოცხლეზე. ეს დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით სადაც აღნიშნულია, რომ „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. ადამიანის სიცოცხლის დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალს. კანონმდებელი იცავს ადამიანის სიცოცხლეს მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. გარდაცვალებად კი ითვლება თავის ტვინისა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ორგანული ცვლილებების მომენტი.

საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში. მკვლელობა განმარტებულია როგორც სხვისთვის მართლსაწინააღმდეგო და განზრახ სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ მკვლელობად ჩაითვლება მხოლოდ სხვა ადამიანისთვის განზრახ სიცოცხლის მოსპობა. საინტერესო ფაქტია, როდესაც მკვლელობა ხდება სწორედ სხვა ადამიანის თხოვნით. მკვლელობის შემამსუბუქებელი ერთ-ერთი გარემოებაა „მკვლელობა

მსხვერპლის თხოვნით”-ცნობილია როგორც ევთანაზია, ევთანაზია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კარგ უმტკივნეულო სიკვდილს. იგი არის ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარება ან მოურჩენელი ავადმყოფისთვის სიცოცხლის მოსპობა, მისი ძლიერი ფიზიკური ტანჯვისაგან განთავისუფლების მიზნით.

მე იმიტომ დავინტერესდი ამ მაკვალციფიცირებელი გარემოებით რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა იურიდიულ მეცნიერებაში თუ პრაქტიკაში და მსოფლიო ქვეყნებში, ამ საკითხისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს. კერძოდ ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში) ევთანაზია ჩვეულებრივ მკვლევლობად მიიჩნევა, ზოგიერთ ქვეყანაში შედარებით მსუბუქი სასჯელია დაწესებული, ხოლო ზოგიერთში (პერუ, ურუგვაი, პოლანდია) ეს ქმედება საერთოდ არ ისჯება. ევთანაზია შეიძლება იყოს ასისტირებული, ავადმყოფი თვითონ გამოთქვავს სიკვდილის სურვილს და სამეცნიერო ევთანაზია, იგი გულისხმობს მკვლევლობას იმ ავადმყოფისა, რომელიც დაიბადა მძიმე დეფექტით ან მომავლის არასათანადო პროგნოზით, ასეთი მკვლევლობა ხორციელდება მშობლების თანხმობით. ევთანაზია შეიძლება იყოს როგორც აქტიური ასევე პასიური. აქტიური ევთანაზია ნიშნავს ავადმყოფისთვის, განზრახ ისეთი პრეპარატების შეყვანას ორგანიზმში, რაც დააჩქარებს მის სიკვდილს. ხოლო პასიური ევთანაზია გულისხმობს მკურნალობის შეწყვეტას. რაც იმავე შედეგს იწვევს, მაგრამ აქტიური ევთანაზიისაგან განსხვავებით არ აჩქარებს სიკვდილს. მკვლევობა ევთანაზიად რომ დაკვალი ფიცირდეს, აუცილებელია მომაკვდავი ადამიანის დაქინებული თხოვნა, რაც გამოწვეულია მძიმე ტკივილებით. თხოვნა უნდა იყოს მომაკვდავის ნამდვილი ნების გამოხატველი. ავადმყოფი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეძლოს კონტროლის გაწევა საკუთარ მოქმედებაზე. სხვა შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობა ჩვეულებრივ მკვლევლობად ჩაითვლება. სხვა საკითხია, როდესაც ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნება ხდება ხელოვნურად, აპარატის მეშვეობით, ამ შემთხვევაში რემინატორს უნდა ჰქონდეს აპარატის

გამორთვის უფლება თუ მის გარეშე სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელია.

მაგრამ ევთანაზიის მხოლოდ სამართლებრივი კუთხით შეფასება არ არის საკმარისი, ის უნდა შევაფასოთ აგრეთვე რელიგიურ თვალსაზრისით.

რელიგიასა და ჩვენ სისხლის სამართალში არ არის შეუსაბამობა, რადგან რაც რელიგიურად დასაგმობია, ის იურიდიულადაც ითვლება დანაშაულად და შესაბამისად ისჯება. სახარებაში წერია „თქვენ გსმენიათ, ეთქვათ ძვლებს: არა კლა! ვინც მოკლაეს სასჯელის თანამდები იქნება.“ მე ვეთანხმები პროფესორ თინათინ წერეთლის აზრს იგი მიიჩნევს რომ ევთანაზიის დანაშაულად აღიარება მეტნაკლებად რელიგიურმა რწმენამ და შეხედულებამ გამოიწვია ეს სწორიც არის, იმიტომ რომ რელიგიურის უარყოფა ჩვენ სამართალში არასწორად მიმაჩნია.

ექიმებს შორის დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ ექიმს უფლება არ აქვს ავადმყოფს ადვილი სიკვდილის უფლება წაართვას, თავისი პროფესიული მოწოდების ცალმხრივი გაგებით. ვინაიდან სიცოცხლის ხელოვნური, თითქმის ძალით შენარჩუნება ხშირად ნიშნავს არა სიცოცხლის ხანგრძლივობას არამედ სიკვდილის გაჭიანურებას. გარდაუვალი სიკვდილის როგორც გაჭიანურება ისე დაჩქარება თანაბარი სიმძიმის დანაშაულია. მაგრამ ევთანაზიის მოწინააღმდეგეებს სერიოზული არგუმენტები აქვთ:

გამორიცხული არაა შეცდომა დიაგნოზში. ის რაც დღეს განუკურნებელ სენად ითვლება, ხვალ შეიძლება განკურნებადი გახდეს. ამიტომაც საინტერესო ეს საკითხი თავისი ბუნებით, ჩვენი სისხლის სამართალი ადეკვატურია განვითარებადი მედიცინის მიმართ. თუ მედიცინაში აღმოჩენილ იქნება ახალი გარემოებანი ჩვენი კანონმდებელნიც შესაბამისად იმოქმედებენ.

მე არ ვეთანხმები იმ ქვეყნების სისხლის სამართალს სადაც ევთანაზია არ ითვლება დასჯად ქმედებად, ექიმს არ აქვს უფლება ავადმყოფს გაუკეთოს სიკვდილის დამაჩქარებელი პრეპარატი, ავადმყოფის თხოვნის მიუხედავად, მისი მოვალეობაა არა სიცოცხლის მოსპობა არამედ რაც შეიძლება დიდხნით

მისი შენარჩუნება ექიმი უნდა დაეხმაროს პაციენტს ფიზიკური ტკივილების გაყუჩებაში და იხმაროს ყველა ღონე რათა პაციენტი სიკვდილს გადაარჩნოს. ექიმს არც მკურნალობის შეწყვეტის უფლება აქვს. ავადმყოფისთვის მკურნალობის შეწყვეტა და ლოდინი როდის დაიღუპება არის უზნებობა და დასაგმობია. სამართლიანია ევთანაზიის დანაშაულად აღიარება რადგან მსხვერპლის თხოვნა და სიბრალული არ უნდა გახდეს დაუსჯელობის სინონიმი. დამიანის ყველაზე ძვირფას ფასეულობას სიცოცხლე წარმოადგენს.

დღესდღეობით კი მკვლევლობა მიუხედავად მსხვერპლის თხოვნისა წარმოადგენს დანაშაულს და იმიტომ რომ მსხვერპლის თხოვნითაა-ითვლება შემამსუბუქებელ გარემოებად. ყოველივე აქედან გამომდინარე ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება და უნდა დაისაჯოს.

თეონა ქომოშვილი

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

ცხოვრება წარმოუდგენელია ადამიანების გარეშე, ასევე სამოქალაქო ურთიერთობა – სუბიექტის გარეშე. სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირი. ფიზიკური პირების არსებობისათვის აუცილებელია უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი. უფლებაუნარიანობა ეს არის მისი განუყოფელი ნიშანი, რადგან “უფლებაუნარიანობა არის უნარი გქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები”.

მართალია, უფლებაუნარიანობა ადამიანს სულ თან ახლავს დაბადებიდან სიკვდილამდე, მაგრამ ზოგადი უფლება უნარიანობის ცნება პირველად მეთვრამეტე საუკუნეში წარმოიშვა. ზოგადი უფლებაუნარიანობის დამკვიდრება თანამედროვე სამართალში მჭიდროდ უკავშირდება სამართლის სუბიექტად ადამიანის, როგორც ინდივიდის აღიარებას და მიჩნევას პიროვ-

ნებად. თანამედროვე სამოქალაქო კოდექსში უფლებაუნარიანობა სამოქალაქო ურთიერთობათა ფუძემდებლური ინსტიტუტია და მისი განუყოფელი ნაწილია.

ის, რომ ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია, თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ბანალურ ჭეშმარიტებას განეკუთვნება.

ყველა ადამიანი რომ თანასწორია, სამოქალაქო სამართლებრივ გამოხატულებას პოულობს სწორედ იმაში, რომ ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია, ეს უფლებაუნარიანობა კი იწყება დაბადებისთანავე. მაშასადამე, უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან. როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უწოდებს. დაბადების მომენტის დამთავრებიდან უფლებაუნარიანობა წარმოშობილად ჩაითვლება, ე.ი. ამ მომენტიდან იგი იძენს უნარს, იყოს სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების მატარებელი. სამოქალაქო სამართალი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს. ჩასახულის იმ ქონებრივ უფლებებს, რომელიც მას დაბადების შემთხვევაში წარმოეშობა.

ქართული კოდექსი “მემკვიდრედ ყოფნის უფლებას” უკავშირებს ჩასახვის მომენტს, მაგრამ ნაყოფის ეს უფლება-უნარიანობა შეზღუდულია, ვინაიდან ეხება მხოლოდ უფლებას (მემკვიდრედ ყოფნის უფლება) ისე, რომ ჩასახულს არ შეიძლება პქონდეს რაიმე მოვალეობა.

სამოქალაქო სამართლის გაბატონებული აზრის თანახმად უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა.

ყველა ადამიანის აღიარება უფლებაუნარიან სუბიექტად, გამორიცხავს მისი ამ უნარის შეზღუდვას პოლიტიკური მრწამსის მოტივებიდან გამომდინარე.

პოლიტიკური შეხედულებიდან გამომდინარე არც რასა და რელიგია თამაშობს უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას რაიმე როლს.

სქესთა შორის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლება-უნარიანობა კონსტიტუციური პრინციპია და იგი საფუძველია სამართლის ყველა დარგისათვის.

არსებობენ ჰომოსექსოალები, ინტერსექსოალები და ტრანსექსოალები, მათ ისევე აქვთ უფლება-უნარიანობა, როგორც ყველას ვისაც, ცოცხალი ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

უფლება-უნარიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც უნარი, ჰქონდეს პირს კონკრეტული უფლებები. აქედან გამომდინარე, უფლება-უნარიანობა ყოველთვის ზოგადია, ხოლო უფლება კი კონკრეტული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ფიზიკური პირის უფლება-უნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით, ამიტომ გარდაცვალების მომენტის ზუსტად განსაზღვრას სშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე მედიცინის მიღწევების თანახმად ადამიანის გარდაცვალება არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მხედველობაში მიიღო თანამედროვე მედიცინის დონე სიკვდილის მომენტის დადგენის საკითხში და ნორმატიულად განამტკიცა, რომ “გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა”.

უფლება-უნარიანობის შეწყვეტას იწვევს ადამიანის გარდაცვალება, ამასთან დაკავშირებით საინტერესო საკითხია, გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს თუ არა უფლება-უნარიანობის დასასრულს?

მე ვფიქრობ, რომ გარდაცვლილად გამოცხადება სწორედ სიკვდილის ფაქტის ვარაუდს ნიშნავს და იგი ყველა იმ შედეგს იწვევს, რაც გარდაცვალებას მოჰყვება, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ასევე უნდა იწვევდეს უფლება-უნარიანობის გაუქმებასაც.

ამრიგად, უფლება-უნარიანობა ის დიდი ინსტიტუტია, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანი. უფლება-უნარიანობა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, რადგან ეს არის უნარი და

ამ უნარის შექმნის შემდეგ, ადამიანები იძენენ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.

უფლებაუნარიანობა აუცილებელია და განუყოფელია ადამიანისგან, ამას ადასტურებს ის, რომ იგი ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე თან სდევს. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომელიც უფლებაუნარიანობის შეზღუდვას ითვალისწინებდეს.

უფლებაუნარიანობის შეზღუდვა დაუშვებელია გარიგებით და კანონით. არანაირ კანონს არ ძალუქს მისი შეზღუდვა. ეს ყოველად დაუშვებელია.

ყველა ინდივიდს აქვს თავისი უფლებაუნარიანობა, იგი არის გაუსხვისებელი და ყოველთვის თან სდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მარიამ ხმალაძე

არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები

XX საუკუნის 90 – იან წლებში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ჩვენი ქვეყანა გახდა თავისუფალი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს ისევე, როგორც კოლონიური რეჟიმიდან გათავისუფლებულ სხვა მრავალ ქვეყანას გაუჩნდა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრეტენზია.

იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალურ ტიპს, სხვა მრავალი ფაქტორების გადაწყვეტასთან ერთად აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, დანაშაულების აღმოფხვრა ქვეყნის მასშტაბით. პირველ რიგში კი დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვან დანაშაულებს, რომლებიც ნებისთ თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ გარემოებების

წყალობით დამნაშავეები აღმოჩნდნენ. საჭიროა ჩავწედეთ მათ სულიერ სამყაროს და გავიგოთ თუ რამ მიიყვანა ისინი დანაშაულებრივ ქმედებამდე.

ი.გოძიაშვილი ამბობს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობა საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულობაა, რომელიც ჩადენილია წინასწარ მომზადებული გეგმის გარეშე, რომელიც ხასიათდება ჯგუფურობით, უმეტესად ხდება ქალაქებში და ძირითადად ხასიათდება მამრობითი სქესის სამართალდარღვევებით.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი დამნაშავის გარკვეულ მახასიათებელს წარმოადგენს განათლებისა და კულტურის დაბალი დონე. სწავლისადმი ინტერესის შესუსტება. მისწრაფება ალკოჰოლის, იარაღისადმი და სხვა.

ძირითადი მახასიათებელი კი არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნებისა დაკავშირებულია მის ასაკთან. ამ ასაკში პიროვნებას მიუწვდომელი მიზნები ამოძრავებს. იგი ხშირად ვერ პოულობს ამ მიზნის მისაღწევად კანონიერ გზას, რადგან არ გააჩნია ამისათვის საჭირო ფული, გამოცდილება და მან ისიც კი არ იცის რა უნდა სინამდვილეში.

საზოგადოდ ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბება ოჯახიდან იწყება, ბავშვი პირველად ოჯახში ხედავს ადამიანთა ურთიერთობას, ოჯახში შეიცნობს თავის არსებობის მიზანს, თავის „მეს„

არასრულწლოვანთა ცხოვრებაში დიდი როლი ენიჭება სასკოლო აღზრდას. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სწორად აღზრდისა და განვითარებისათვის მშობლების მიერ შერჩეულ აღზრდის ფორმებს და მეთოდებს. ხშირად მშობლები თავს არიდებენ მათზე დაკისრებულ მოვლევობებს და შვილებს ინტერნატებში და სხვა დაწესებულებებში ათავსებენ. კვლევის შედეგად ცნობილია, რომ საგანგებო დაწესებულებებში გაზრდილი ბავშვები მოგვიანებით ხშირად ციხეებში, გონებრივად ჩამორჩენილთა და სულიერად დაავადებულთა სახლებში გვხვდებიან, გოგონათ უმრავლესობა პროსტიტუციაში ჩართული აღმოჩნდება.

მოზარდის ნორმალური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო სოციალური პირობების შექმნას.

ალკოჰოლი და ნარკოტიკები დამღუპველად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე, რომელთა სისტემატიური მოხმარების შედეგად მოზარდი ნარკომანად ყალიბდება.

სპეციფიკური კრიმინალური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელ გადაადგილებებს სწავლის, სამუშაოს და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო. ეს იწვევს ახალგაზრდის ოჯახიდან მიწვევტას, ხოლო ახალ გარემოცვაში მან შეიძლება უკრიტიკოდ აითვისოს უარყოფითი ზნეჩვეულებები და ჯგუფური წესები.

ასევე მოზარდის ფსიქიკაზე ზუდად მოქმედებს ძალადობის სცენების ამსახველი ფილმები.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზებს ასევე წარმოადგენს: ცხოვრებისეული გეგმებისა და მოთხოვნილებების შეზღუდულობა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ მოზარდთა უმუშევრობა. ხარვეზები სამართალდამცავ ორგანოთა მატერიალურ, საკანონმდებლო და საკადრო უზრუნველყოფის პროფილაქტიკაში.

ნათია ხუციშვილი

მეუღლეთა სახელშეკრულებლო ქონებრივი ურთიერთობები

საქართველოს საოჯახო სამართალი ამკვიდრებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ახალ სახეს სახელშეკრულებლო ქონებრივ ანუ საქორწინო საკონტრაქტო ურთიერთობას. კანონის მიხედვით მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები.

საქორწინო ხელშეკრულების დადების ვალდებულებას კანონი არ ითვალისწინებს იგი დამოკიდებულია მეუღლეთა სურვილზე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება დაიდება იგი მეუღლეებს შორის ქონებრივი უფლებებისა

და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინების შემთხვევაში, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღვრული იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. მეუღლეებს უფლება აქვთ არ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, ასეთ შემთხვევაში მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება კანონის მოთხოვნათა მიხედვით. დღესდღეობით ქართულ საოჯახო სამართალში ნაკლებად ვხვდებით ისეთ ფაქტს, როდესაც მეუღლეები წინასწარ აწესრიგებენ ქონებრივი ურთიერთობის საკითხს და დებენ ხელშეკრულებას.

საქორწინო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობების რეგულირებას. საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას, ამიტომ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ მომენტს როცა მეუღლეებს შეეძლებათ ერთმანეთთან ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერ დროს, როგორც ქორწინებამდე ისე ქორწინების პერიოდშიც, მხარეებს შორის უნდა განაწილდეს ქონებრივი უფლება მოვალეობები ერთად ცხოვრების პერიოდისათვის და განქორწინების შემთხვევისათვისაც კი.

მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების პერიოდში ხელშეკრულების დადებად შექმნილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი შეცვალონ და მომავალში თავიანთი ინტერესების შესაბამისად გაინაწილონ ქონებრივი უფლება-მოვალეობები. თუ საქორწინო ხელშეკრულება მომავალ მეუღლეებს შორის დაიდო წინასწარ, იგი ძალაში შევა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ თუ ქორწინების რეგისტრაცია

არ შედგა საქორწინო ხელშეკრულება გაუქმდება. აქედან გამომდინარე საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს. საქორწინო ხელშეკრულება იდება კანონით განსაზღვრული წესით და ფორმით, კანონი კი აუცილებლად ითხოვს მის დადებას წერილობითი ფორმით და სანოტარო წესით. კანონი კრძალავს მის დადებას ზეპირად და სანოტარო წესით დადასტურების გარეშე.

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები, მათ მიეკუთვნება: ხელშეკრულების დადების ადგილი, თარიღი და იმ პირთა ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და მხარეთა ხელმოწერები. შინაარსში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა ნიუანსია გადმოცემული.

საქორწინო ხელშეკრულება ხელმოწერის შემდეგ უნდა დადასტურდეს სანოტარო ბიუროს მიერ. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი რჩება სანოტარო ბიუროში, ხოლო თითო კი გადაეცემათ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. მეუღლეებს შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.

საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მისი მონაწილენი სამართალსუბიექტურნი იყვნენ, რადგან სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლიდან ხოლო დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით. ასეთ შემთხვევაში ქორწინების რეგისტრაციამდე საქორწინო ხელშეკრულების დასადასტურებლად აუცილებელია არასრულწლოვანი პირის მზრუნველის თანხმობა. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ კი თანხმობა არაა საჭირო რადგან მექორწინე სრული ქმედუნარიანი ხდება.

კანონი მეუღლეებს საშუალებას აძლევს, რომ მათ ხელშეკრულების საფუძველზე გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არამართი ინდივიდუალური საკუთრების ობიექტი, არამედ თანაზიარი საკუთრებაც. მეუღლეები ასევე განსაზღვრავენ შემოსავლებში თითოეული მეუღლის მონაწილეობის პირობებს. კანონი ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება მოვალეობების შეზღუდვა

განსაზღვრული დროით ან რაიმე პირობის დადგენით სხვა შემთხვევაში მათი შეზღუდვა არ შეიძლება.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს ურთიერთჩინის მოვალეობა. კანონი მათ მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს რათა აცილებულ იქნეს მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევა. ასევე კანონი კრძალავს მხარეთა შორის დავის შემთხვევისათვის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეცვლას, რადგან ის ეწინააღმდეგება ადამიანთა უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებას, ისევე როგორც ყველა ხელშეკრულება, საქორწინო ხელშეკრულებაც ნებელობითი აქტია, ამიტომ მისი დადება და შეწყვეტა მხარეთა ნებასურვილზეა დამოკიდებული. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს ერთერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა.

განქორწინება ასევე იწვევს საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას.

მიმანჩია, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საოჯახო სამართალი ზუსტად აყალიბებს იმ ქცევის წესთა სისტემას, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს კერძოდ „მეუღლეთა სახელშეკრულებლო ქონებრივ ურთიერთობებს“, რომელიც ამომწურავად არის განხილული. თითოეული შემთხვევისა თუ ფაქტის მიმართ აქვს არგუმენტირებული და ჩამოყალიბებული დასაბუთება.